www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 26 დეკემბერი, 2003 წელი. №333 (545)
ფასი 50 თეთრი

## ხაზზეა აფერისტი

"24 საათის" რედაქციას უკვე რამდენჯერმე შეატყობინეს, რომ ვინმე ნინო მასხულია რეკავს სხვადასხვა ორგანიზაციაში, თავს ასაღებს ჩვენი გაზეთის თანამშრომლად და შანტაჟითა თუ სხვა საშუალებით ცდილობს ფულის გამოძალვას.

"24 საათის" რედაქცია აცხადებს, რომ ასეთი თანამშრომელი გაზეთს არ ჰყავს და, საერთოდ, გამორიცხულია ჩვენს რედაქციასთან რაიმენაირად დაკავშირებული ადამიანისგან ამგვარი ქმედება. ამიტომ ყველა, ვინც კი ასეთ ქმედებას მიმართავს, არის აფერისტი და ბოროტად სარგებლობს ჩვენი გაზეთის სახელით.

### ეკონომიკა

## "საგადასახადო სისტემა ნაკლებად სელექციური უნდა იყოს"

"სიმდიდრის გარეგნული ნიშნების შესახებ" გადასახადის დაწესების თაობაზე სახელისუფლებო ინიციატივა მიმდინარე კვირის მთავარ ეკონომიკურ თემად იქცა. მართალია, აჟიოტაჟის პირველმა ტალღამ გადაიარა, გაჩნდა მოსაზრებები გადასახადის სახელწოდების შეცვლის შესახებ, თუმცა მისი შემოღების პერსპექტივა კვლავ დღის წესრიგშია.

A4

### უცხოეთი

## რომის პაპი მსოფლიოს მშვიდობას უსურვებს

დასავლეთის ქრისტიანულმა სამყარომ გუშინ შობის დღესასწაული აღნიშნა. კათოლიკური ეკლესიის უმთავრესი საზეიმო ცერემონია გუშინ, ვატიკანის წმინდა პეტრეს მოედანზე გაიმართა.

A5

### საზოგადოება

## დაბოღმილი დირექტორი ბედნიერი ბავშვებით სავსე ინტერიერში

დიღმის ბავშვთა სახლის 101 აღსაზრდელის საახალწლო სურვილები, ცხოვრებაში პირველად, მთლიანად ასრულდა, მაგრამ ბავშვთა სახლის დირექტორი დაბოღმილი დარჩა...

A6

### სამართალი

## „გაუფრთხილდით პოლიციის მუნდირის ღირსებას"

გრძელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს წმენდა ნარკომანი თანამშრომლებისგან. მიზანი ერთია – სისტემა ნარკომანი პოლიციელებისგან უნდა გაიწმინდოს. აქამდე თუ ძირითადი აქცენტი საქართველოს დედაქალაქის პოლიციელებზე კეთდებოდა, ორი დღის წინ ბრძოლის ასპარეზმა რეგიონებში გადაინაცვლა.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | ☂ |
| ქუთაისი | 12 | ☂ |
| ბათუმი | 16 | ☂ |
| სოხუმი | 12 | ☂ |
| ფოთი | 16 | ☁ |
| თელავი | 7 | ☁ |
| ზუგდიდი | 14 | ☁ |
| გორი | 3 | ☂ |
| ახმეტა | 7 | ☁ |
| ჭიათურა | 7 | ☂ |
| გაგრა | 12 | ☂ |
| სამტრედია | 13 | ☂ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0475 |
| ევრო | 2.5401 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6118 |
| რუბლი | 0.0700 |

# ვითარება დამაკმაყოფილებელია, დამნაშავე - დასჯილი

თამარ მჭედლიშვილი

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის ქვემო ქართლში მოგზაურობა სკანდალით დასრულდა – თანამდებობას გამოემშვიდობა ბოლნისის რაიონული პოლიციის საპასპორტო განყოფილების უფროსი, ხოლო მის წინააღმდეგ ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურაში უახლოეს დღეებში სისხლის სამართლის საქმე აღიძრება.*
*აქვე დავძენთ, რომ ამ სკანდალის თანაავტორები ჟურნალისტები იყვნენ – სწორედ მედიის წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს ის კანონდარღვევები, რომლის გამოც რაიონის არცთუ დაბალჩინოსანი პოლიციელი თანამდებობას გამოემშვიდობა.*

გუშინ, საღამოს ექვსი საათისთვის, მოქალაქეთა წინასაარჩევნო რეგისტრაციის პროცესი დასრულდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კი მთელი დღის განმავლობაში ქვემო ქართლში იმყოფებოდა და ადგილზე ეცნობოდა იმ ვითარებას, რომელიც რეგიონში იყო შექმნილი.

გაგრძელება A3 გვერდზე



ცესკო-ს წარმომადგენლები და ჟურნალისტები გაოცებულები დარჩნენ ქვემო ქართლის მოსახლეობის აქტიურობით.

# ვინ დაიკავებს აკაკი ჩხაიძის სავარძელს?

"საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელის პოსტზე ისევ ძველი კადრების დანიშვნის საშიშროება იკვეთება

*დღეს "საქართველოს რკინიგზაში" ახლად შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ათ წევრს აერთიანებს, წარმოდგენილი კანდიდატებიდან იმ ექვს პიროვნებას შეარჩევს, რომელიც გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე აცხადებს პრეტენზიას.*
*ხვალ კი მათი კონცეფციებისა და პროგრამების ღია მოსმენა გაიმართება, რომელსაც, საბჭოს წევრების გარდა, სხვადასხვა უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან.*

ნინო ნარჩემაშვილი

საინტერესოა, რომ რკინიგზის ხელმძღვანელის შერჩევის პროცესი "სტახანოვურ" ტემპებში მიმდინარეობს, რაც თავისთავად ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ პროცესის დასრულება ახალ წლამდე და, შესაბამისად, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე სურთ (შეგახსენებთ, რომ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე 11 დღის წინ გამოცხადებულ

გაგრძელება A4 გვერდზე

# ბრძოლა იწყება ჭაყოების მიერ მიტაცებული და გაუპატიურებული სამშობლოს გადარჩენისთვის

ჰენრი კუპრაშვილი

*ეროვნული უშიშროების საბჭოს ეროვნული უსაფრთხოების მიმდინარე მდგომარეობის მონიტორინგის, ანალიზისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

რა არსებითი შედეგები მოიტანა ვარდების რევოლუციამ?

1. ბოლო 80 წლის მანძილზე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში უარყოფითი პროცესების განვითარებას ხელი შეუწყო "ჯაყოს" მსგავსი ადამიანების აღზევებამ. ამ ზნეობის ადამიანი გაბატონდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული სივრცის ყველა საკვანძო და საკომანდო ადგილზე (ბოლოს იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ზოგიერთი "სახელოვანი" ადამიანი მასმედიაში ქუჩური ცხოვრების იდეალიზებას ახდენდა, ახალგაზრდობაში ქურდულ მენტალიტეტს ამკვიდრებდა).

გაგრძელება A3 გვერდზე

# უკრაინის ოპოზიცია: „დახმარებისათვის მოქალაქეებს მივმართავთ"

ლევან ღირსიაშვილი

**"შენ 2004 წელს არჩევანი არ გექნება,"** – ამ სიტყვებით იწყება ოპოზიციური პარტიის "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" ვებ-გვერდი. 24 დეკემბერს უკრაინის ხელისუფლებამ საკუთარ ხალხს არჩევანის უფლება წაართვა. ოპოზიცია სამოქმედო გეგმებზე მსჯელობს.

**"ამიერიდან ჩვენი მოქმედება გრძელვადიან პერსპექტივაზე იქნება გათვლილი და, ამასთანავე, ჩვენ შედეგიან ნაბიჯებს გადავდგამთ,"** - განაცხადა ოპოზიციის გამოკვეთილმა ლიდერმა ვიქტორ იუშენკომ ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე. სამი პარტიისაგან შემდგარმა ოპოზიციურმა გაერთიანებამ, კუჩმას მორჩილი უმრავლესობის მიერ კანონპროექტის დარღვევებით მიღების შემდეგ, საგანგებო ბრიფინგი გამართა.

გაგრძელება A5 გვერდზე


გაერთიანებული ოპოზიციის პრესკონფერენცია.

# საპარლამენტო ერთსულოვნება დღეს, შესაძლოა, დაირღვეს

გიორგი ასანიშვილი

რიგგარეშე სესიის წინა სხდომაზე, კვორუმის არარსებობის გამო, პარლამენტმა "საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთუსაფრთხოების შესახებ" ხელშეკრულების რატიფიცირება ვერ მოახერხა. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ზოგი ჭირი მარგებელიაო: მოგვიანებით, დოკუმენტში აღმოაჩინეს ტექნიკური ხარვეზი, რომელსაც გარკვეული უხერხულობების შექმნა შეეძლო. ამჟამად ეს ხარვეზი გამოსწორებულია და საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტი ხელშეკრულებას რიგგარეშე სესიის დღევანდელ სხდომაზე კიდევ ერთხელ გაიტანს სარატიფიკაციოდ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ყოფილი პარლამენტარი საკონსტიტუციო სასამართლოს დეზერტირობაში ადანაშაულებს

*ბათუმელი თამაზ დიასამიძის მოლოდინი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მისი სარჩელის წარმოებაში მიღება-არმიღების საკითხს საპრეზიდენტო არჩევნებამდე გადაწყვეტდა და სარჩელის მოთხოვნასაც დააკმაყოფილებდა, არ გამართლდა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელით, თამაზ დიასამიძე ასლან აბაშიძის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას და, შესაბამისად, მის ანტიკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ჩვენი ინფორმაციით, ამ სარჩელის მიღება-არმიღება საკონსტიტუციო სასამართლოს გუშინ უნდა გადაეწყვიტა, თუმცა, გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საკითხზე არ უმსჯელიათ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დიასამიძის სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს სასამართლო მოგვიანებით, არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ განიხილავს. საკითხის განხილვის გადადების მიზეზად საკონსტიტუციო სასამართლოში საპროცესო ვადებს ასახელებენ. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს არგუმენტი მიუღებელია მომჩივანისთვის, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა, დამდგარიყო საქართველოს ინტერესების უზენაესობის, კონსტიტუციური კანონიერების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების სადარაჯოზე. ეს კი სწორედ 4 იანვრამდე, საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა მომხდარიყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მამულიშვილნო!

## საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

## ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილს

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ბატონ ასლან აბაშიძეს

როგორც მოგეხსენებათ, 2004 წლის 4 იანვარს საქართველოში ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ქვეყნის მომავალი. ყველასათვის სასურველია, არჩევნების პროცესი იყოს დემოკრატიული, გამჭვირვალე და ყველა ქართველისათვის მისაღები, სადაც აღარ უნდა განმეორდეს წინა არჩევნების დროს დაშვებული ლაფსუსები, რომელიც გამოიხატა ტოტალურ გაყალბებაში, რამაც ერთობ აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა და რასაც შედეგად მოჰყვა ყველასათვის კარგად ცნობილი ნოემბრის აქციები.

და რადგანაც შეცდომებზე გავიზარდეთ, იგივე აღარ უნდა განმეორდეს. მიუხედავად 2 ნოემბრის არჩევნების არადემოკრატიული ჩატარების შედეგად გამოფხიზლებული, ეროვნული ღირსებების დასაცავად გამოსული ხალხის ერთ მუშტად შეკვრისა, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში კვლავაც მოიძებნებიან პოლიტიკური ძალები, რომელთაც სურთ, შექმნან დესტაბილიზაციის ახალი კერები და ქვეყანა საყოველთაო ქაოსში ჩაითრიონ. ამ ყველაფერს სათავეში ჩაუდგნენ ავისმოსურნე ის

გაგრძელება A2 გვერდზე

# გაციებული ბორში, წითელი ვარდები და ... "მიშა, მიშა!"

სოფო ბუკია

პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სადილზე ცხელი ბორში მიირთვა. მასთან ერთად, სლავური სამზარეულოს ამ საფირმო კერძს ოთხმოცამდე მიუსაფარი მოხუციც ხვრეპდა.

სასადილო "ათენი" მეტრო "დიდუბესთანაა", ულუკმაპუროდ დარჩენილი მოხუცები მას ყოველდღიურად სტუმრობენ და, როგორც თავად ამბობენ, დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ დაფინანსებული სადილით ცოცხლობენ.

გუშინ მათ განსაკუთრებულად ისადილეს, უფრო სწორად კი ვერ ისადილეს, პრეზიდენტობის კანდიდატის ცქერით გაერთნენ და ცხელი ბორში გაუცივდათ.

მოხუცებმა "ვარდების რევოლუციის" გმირს "გრანდიოზული" შეხვედრა მოუწყვეს, სათითაოდ გადაეხვივნენ, სიხარულისგან აცრემლებულ თვალებს არ აშორებდნენ და, რა თქმა უნდა, წითელი ვარდები მიართვეს. "ნაციონალების" ლიდერს ბავშვთა ანსამბლმა "გვირილამ" უმღერა, ბატონმა გივი ბარბაქაძემ კი სააკაშვილზე დაწერილი საკუთარი ლექსი წაიკითხა და შემდეგ გიტარაზე რამდენიმე სიმღერა შეასრულა.

ბორშის საჭმელად სააკაშვილმა ყველაზე ხალხმრავალი მაგიდა აირჩია, ჭიქაში ღვინო ჩაისხა და მოხუცებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

როგორც ამ სასადილოს ყოველდღიური სტუმარი, ეროვნებით უკრაინელი, 76 წლის ლუდმილა კოლესნიკოვა ამბობს, სააკაშვილი ცხოვრებაში ბევრად უფრო კარგია, ვიდრე ტელევიზორით. **"მას კეთილი, მომღიმარი სახე აქვს და ამბობს იმას, რასაც მე ვფიქრობ,"** – აღნიშნავს ქალბატონი

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პრობლემა
B1 ისტორია B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 სპეცსამსახურები B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

## მუსიკალურ-პოლიტიკური რანდევუ გურულებთან

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

სანდრა რულოვსი სამეგრელოდან ოზურგეთს ესტუმრა და სახელმწიფო თეატრში საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეხვდა. მასპინძლობა გასწია ახლადშექმნილმა დარბაზმა, რომელშიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბიზნეს-სექტორისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არიან გაერთიანებულები. დარბაზი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად და, არცთუ ორაზროვნად, პრეზიდენტობის კანდიდატს მიხეილ სააკაშვილს უჭერს მხარს. სანდრა რულოვსის თანმხლებმა პირებმა, "ნაციონალური მოძრაობის" თვალსაჩინო ფიგურებმა, ბესო ჯუღელმა და ზვიად ძიძიგურმა, გურულებს პილიტიკური შემართება მოუწონეს და გამოთქვეს რწმენა, რომ ოზურგეთელები პრეზიდენტობის ღირსეულ კანდიდატს დაუჭერენ მხარს. თავად საქართველოს პირველი ლედის წოდების უპირობო კანდიდატმა შეკრებილთ მოუწოდა, მასობრივად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და ხმა მისცენ იმ კანდიდატს, რომელიც მათ პოლიტიკურ სიმპათიებს იმსახურებს. თავის მეუღლეზე აქცენტი არ გაუკეთებია, მაგრამ ცხადზე ცხადი იყო, რომ ოზურგეთში იგი მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად ჩამოვიდა და არა ზურაბ ქელეხსაშვილისა. ასევე ცხადი იყო, რომ ადრესატი, სანდრას მიერ შესრულებული სიმღერისა - "გულს რად მიკლავ" ეჭვმიუტანლად მიხეილ სააკაშვილი იყო. შეხვედრის მუსიკალური ნაწილი მხოლოდ სანდრას მიერ ფორტეპიანოსთან შესრულებული ამ სიმღერით არ ამოწურულა. ეს მუსიკალურ-პოლიტიკური რანდევუ მართალია ხანმოკლე, მაგრამ ეფექტური აღმოჩნდა.

### საზოგადოებრივი მოძრაობა "განათლებული საქართველოსათვის" საინიციატივო ჯგუფის

## მიმართვა საქართველოს საზოგადოებრიობას

დღეს ჩვენი სინამდვილე ცხადყოფს, რომ ერი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და კეთილდღეობისაკენ მიილტვის, მაღალი ზნეობრიობისა და განათლების გარეშე მიზანს ვერ მიაღწევს.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული სავარაუდოდ მიზანმიმართული, ხოლო ხშირ შემთხვევაში უუნარო პოლიტიკის გამო, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. არ დარჩა დარგი, რომელსაც კრიზისი არ შეეხო. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი სფერო - განათლება, რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმების დაკნინება, ფასეულობათა გაუფასურება. საზოგადოების უდიდესი ნაწილი გულგრილია ადამიანის მიერ ჩადენილი ამორალური საქციელის მიმართ. პიროვნებას შეუძლია, სხვას ცილი დასწამოს და ამისათვის არც კანონით დაისაჯოს და არც საზოგადოების მხრიდან იქნეს გაკიცხული, ადამიანი შეიძლება დაუმსახურებლად, ხალხის ხარჯზე გამდიდრდეს და საზოგადოებაში პატივცემული გახდეს. კაცს შეუძლია, სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინოს და არ დაისაჯოს და ეს საზოგადოების ცნობიერების საშიში მიმართულებით ცვლაზე მიუთითებს, რაც საგანგაშოა და დროულად არის შესაჩერებელი. ეს კი მხოლოდ მაღალინტელექტუალური, განათლებული, სულიერად ამაღლებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხარჯზეა შესაძლებელი.

ასეთი საზოგადოების ჩამოყალიბების იმედს საქართველოში განხორციელებული ხელისუფლების რადიკალური ცვლილებები იძლევა. მალე საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება, რომლის მთავარი ამოცანა ქვეყნის ამ უმძიმესი მდგომარეობიდან სწრაფად გამოყვანა იქნება. ვიმედოვნებთ, დროულად ჩატარდება დემოკრატიული და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები, ჩამოყალიბდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. ასეთ პირობებში საზოგადოების წინაშე დგას ალტერნატივა: დავრჩეთ გულგრილნი, პასიურნი და ველოდოთ, რას გააკეთებს ხელისუფლება, თუ ვიყოთ აქტიურნი, ჩავერთოთ ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის პროცესებში, განსაკუთრებით კი იმ პროცესებში, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებას და განათლების, როგორც ქვეყნის პრიორიტეტული, სტრატეგიული სფეროს აღორძინებას.

ქვეყნის ძირეული ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ ვქმნით საერთო სახალხო-საზოგადოებრივ მოძრაობას - "განათლებული საქართველოსთვის", რომლის მიზანი იქნება, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული სამეცნიერო, ტექნიკური და საგანმანათლებლო პოტენციალი სრულფასოვნად ჩავრთოთ ქართული დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მაღალზნეობრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.

ჩვენი მიზანია საქართველოში ღია, თავისუფალი, სამართლიანი, დემოკრატიული, საბაზრო ეკონომიკაზე და ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული, დასავლეთის ღირებულებებზე ორიენტირებული მაღალინტელექტუალური, სულიერად და მატერიალურად მდიდარი საზოგადოების ჩამოყალიბება. სულიერება, განათლება, სამართლიანობა, კეთილდღეობა სახელმწიფოს ის ფასეულობებია, საიდანაც საზოგადოება სასიცოცხლო ძალებს იძენს. სახელმწიფო მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ძალისაა ეს კომპონენტები. მათ გარეშე ქვეყანას მომავალი არა აქვს.

ვფიქრობთ, ხელისუფლების ყველა შტოში ისეთი ძალები და პიროვნებები უნდა მოვიდნენ, რომლებიც ძირფესვიანად შეცვლიან სახელმწიფო მართვის სისტემას, ხოლო ამის შედეგად რეალურ მართვის ბერკეტებს დაკარგავენ კლანური პრინციპით გაერთიანებული, ოლიგარქიული ფენის წარმომადგენლები.

მოძრაობის მიზანია საზოგადოების ფართო ფენების გააქტიურება და ქვეყანაში ისეთი სასურველი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ პიროვნებას მისი შესაძლებლობებისა და უნარის სრული რეალიზაციის საშუალება ექნება; აგრეთვე იმ სამოქმედო პრიორიტეტებისა და ფასეულობების საჯაროდ გაცხადება, რომელსაც დაეყრდნობა ხელისუფლება და საზოგადოებისათვის მისაღები იქნება.

ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, ხელი შევუწყოთ ქვეყანაში სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, არსებული სამეცნიეროტექნიკურ და საგანმანათლებლო პოტენციალზე დაყრდნობით დავნერგოთ ახალი და მაღალტექნოლოგიური წარმოებები და თანამედროვე საინფორმაციო სისტემები. ეს, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ ახალი ცოდნის აკუმულირება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების უმთავრესი საფუძველი გახდება.

მოძრაობა ხელისუფლების ყველა შტოსათვის კადრების შერჩევის საუკეთესო საშუალება უნდა გახდეს, სადაც შერჩევისას უპირატესობა პიროვნების არა მარტო პროფესიულ თვისებებს, არამედ მისი სახელმწიფოებრივი აზროვნების სტილსა და მორალურ-ზნეობრივ თვისებებსაც მიეცემა.

სწორედ ასეთი საზოგადოების ჩამოყალიბება უნდა გახდეს მოძრაობის ძირითადი ორიენტირი. ამისათვის სწრაფი და მიზანდასახული მოქმედებაა საჭირო.

საქართველოს სახელმწიფო არ არის მარტო ხელისუფლება. სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოების შეთანხმებული, გააზრებული თანამშრომლობაა.

გავერთიანდეთ ქართული სახელმწიფოსა და მასში მცხოვრები თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**საინიციატივო ჯგუფის სახელით:**

პროფესორი რაულ კუპრავა
პროფესორი ოთარ ზუმბურიძე
პროფესორი ნიკო ჩხაიძე
პროფესორი ივანე თვალავაძე
პროფესორი ლალი ღოღელიანი
აკადემიკოსი გივი ცინცაძე
აკადემიკოსი გურამ გველესიანი
პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე
პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)

## გაცვიებული ბორში, წითელი ვარდები და ... "მიშა, მიშა!"



მოხუცები ცდილობდნენ სააკაშვილისთვის ხელი შეეხოთ და მოჰფერებოდნენ.

პირველი გვერდიდან

ლუდმილა, რომელიც ცდილობს, სააკაშვილს მიუახლოვდეს და უკრაინელი ხალხის სახელით დაბადების დღე მიულოცოს.

პრეზიდენტობის კანდიდატი მოხუცებს გამოუტყდა, სიღარიბე ჩემი პირადი მტერია და ძალიან ცოტა ხანში ჩვენს ქვეყანაში ღარიბები არ იქნებიანო.

**"ლუქსემბურგივით მდიდარი ხუთ წელიწადში არ ვიქნებით, მაგრამ, გპირდებით, ღარიბი არ ვიქნებით. თუ მე პრეზიდენტად ამირჩევენ, თქვენს პირად მეგობრად, თქვენს პირად დასაყრდენად მიგულეთ,"** – შეჰპირდა სააკაშვილი მოხუცებს და აქვე აღნიშნა, ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, პენსიები მოგემატებათო.

პრეზიდენტობის კანდიდატი სასადილოდან მქუხარე ტაშითა და "მიშა! მიშა!"-ს ძახილით გააცილეს.

სასადილო "ათენში" საახალწლო ნაძვის ხე უკვე მორთეს, სასადილო დარბაზი გირლანდებითა და ფერადი ბუშტებით გაალამაზეს. **"ბებერი ვარ, მაგრამ ახალი წელი პატარა ბავშვივით მიხარია,"** – მითხრა 81 წლის ნინა მათიაშვილმა, რომელსაც რამდენიმე ბურთი ნაძვის ხეზე, თურმე, თავად ჩამოუკიდია.

## ჟვანიას ვიზიტი ბაქოში

სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია ხვალ ბაქოში მიემგზავრება. ბაქოში იგი ქვეყნის მეთაურ ილჰამ ალიევს და პრემიერ-მინისტრ არტურ რასი ზადეს შეხვდება. სახელმწიფო მინისტრის რანგში აზერბაიჯანის ახალ მეთაურთან შესახვედრად ჟვანია პირველად მიემგზავრება. ჟვანია ჰეიდარ ალიევის დაკრძალვის ცერემონიალზე დასასწრებად ბაქოში არ ჩასულა.

გუშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო ამ ვიზიტის კონკრეტული მიზანი და თემა. ფაქტია, რომ პირად სამძიმართან ერთად, ჟვანიამ ჰეიდარის ძეს მილოცვაც უნდა გადასცეს. ილჰამ ალიევმა თავისი 42 წლისთავი ორი დღით ადრე, 24 დეკემბერს იზეიმა.

ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის თვალსაზრისით კი, ერთ-ერთი სასაუბრო თემა ორი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც უნდა იყოს. სულ ცოტა ხნის წინ "ბრიტიშ პეტროლიუმის" მიერ პროექტის განსახორციელებლად მილიარდზე მეტი ოდენობის კრედიტის გამოყოფა გადაწყდა, რომლის დაფარვაც ნავთობის მოპოვების შემდგომ 10 წლის ვადაშია განსაზღვრული.

*24 საათი*

## მამულიშვილნო!

პირველი გვერდიდან

ხელმოცარული პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთი ქმედებით ხელს უშლიან ქვეყნის კეთილდღეობისა და სტაბილიზაციისაკენ შემობრუნებას და ეს თავიანთი ავი ზრახვები სურთ, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი რეგიონის, აჭარის მოსახლეობის ხარჯზე განახორციელონ. ისინი ტელევიზიისა თუ პრესის მეშვეობით აკეთებენ ჩვენთვის მიუღებელ განცხადებებს მთელი აჭარის მოსახლეობის სახელით და ხმამაღლა გაჰყვირიან, რომ "აჭარაში არჩევნები არ ჩატარდება!" ჩვენი აზრით, ერთეულ პიროვნებებს არა აქვთ და არც უნდა ჰქონდეთ მთელი კუთხის მოსახლეობის სახელით აკეთონ ისეთი განცხადებები, რაც ლიბოს ურღვევს საქართველოს ერთიანობას.

ცენტრსა და რეგიონს შორის დღესდღეობით არსებულ სახელისუფლებო პრობლემათა ფონზე მავანსა და მავანს გაუჩნდა სურვილი დედასაქართველოსა და აჭარას შორის ახალი წყალგამყოფის აგების, და ისინიც ურცხვად აცხადებენ, რომ თითქოსდა, არის ერთიანი ქართული სივრციდან აჭარის გასვლისა თუ დაკარგვის საშიშროება. მათ გასაგონად გვინდა, ვთქვათ, ასეთი აზრი ამ კუთხის შვილთა თავში ადგილს ვერასოდეს იპოვის. მათ მიერ ამ მხრივ გაწეული გარჯა და ჯაფა ფუჭია, რისთვისაც დღე და ღამეს ათენებენ თბილისსა და ბათუმს შორის გაუთავებელი მისვლა-მოსვლით.

ჩვენი მოთხოვნაა, აჭარის მოსახლეობის უმრავლესობის ნების გათვალისწინებით, საპრეზიდენტო არჩევნები იყოს საყოველთაო და ჩვენი კუთხის ამომრჩეველსაც მოგვეცეს თავისუფალი არჩევანის გაკეთებისა და კონსტიტუციურ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა.

**ხულოს რაიონის ამომრჩეველთა სახელით**



## ყოფილი პარლამენტარი საკონსტიტუციო სასამართლოს დეზერტირობაში ადანაშაულებს

პირველი გვერდიდან

**"23 ნოემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით, ასლან აბაშიძემ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილებები მიიტაცა და უხეშად შელახა ქვეყნის მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებები. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო საპრეზიდენტო არჩევნებისას აჭარაში არ იმოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე 22-ე, 24-ე და 25-ე მუხლები, შეილახება მოქალაქეთა პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილების, ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, მშვიდობიანი შეკრებებისა და ჭერქვეშ და მის გარეთ შეკრების უფლებები. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ აჭარაში არჩევნები არ ჩატარდება. საგანგებო მდგომარეობა ხმის მიცემის პროცედურას კრძალავს,"** - აცხადებს თამაზ დიასამიძე და საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ გარიგებებში მონაწილეობის ბრალდებას უყენებს.

კონსტიტუციის მიხედვით, აჭარაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობის გაუქმების მოთხოვნის უფლება სამართლებრივი გზით შეუძლია ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის 46-კაციან ჯგუფს და სახალხო დამცველს, თუმცა ამ მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება კონსტიტუციითვე შეუძლია იმ რიგით მოქალაქესაც, რომლის უფლებებიც უხეშად ირღვევა. ბათუმელმა თამაზ დიასამიძემ სწორედ კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული ეს უფლება გამოიყენა.

**"საკონსტიტუციო სასამართლომ მისთვის დაკისრებულ სამართლებრივ მოვალეობას შეგნებულად აარიდა თავი. საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი საქციელი ძალიან ჰგავს სამხედრო ნაწილებიდან ჯარისკაცთა გაქცევის ფაქტს, როდესაც გაქცეულებს დეზერტირებს არქმევენ",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას საკონსტიტუციო სასამართლოზე დამდურებულმა ყოფილმა პარლამენტარმა თამაზ დიასამიძემ.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** "სოციალისტური პარტიის" ლიდერი, პარლამენტარი ირაკლი მინდელი ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატებს" და "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" კორუფციაში ეჭვმიტანილი "საფოსტო ბანკის" მმართველის და ჭიათურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის სერგო იაკობიძის მხარდაჭერაში ადანაშაულებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი მიხეილ მაჭავარიანი "შანტაჟს" უწოდებს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ირაკლი მინდელის ბრალდებას იმის თაობაზე, რომ 4 იანვარს ჭიათურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის მეორე ტურის არჩევნებში "ბურჯანაძე-დემოკრატები" მხარს უჭერენ კონტროლის პალატის მიერ საპენსიო თანხებით მანიპულირებაში ეჭვმიტანილს, "საფოსტო ბანკის" მმართველს სერგო იაკობიძეს.

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა პრაიმ-ნიუსს განუცხადა, თუ იაკობიძე ეჭვმიტანილია რამეში, ის კენჭს იყრიდა 2 ნოემბერსაც, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ სოციალისტები და შეეძლოთ მაშინ დაეჭირათ.

მაჭავარიანის თქმით, პარტიული მხარდაჭერა სერგო იაკობიძეს არა აქვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ხუთშაბათს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრაზე ხაზი გაუსვა მშვიდობისმყოფელების როლს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. მან ამავე დროს, არ გამორიცხა სამშვიდობო ოპერაციაში დსთ-ის სხვა ქვეყნების მონაწილეობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბერძნეთი სარაკეტო კრეისერს გადასცემს ქართულ მხარეს, აცნობა პრაიმ-ნიუსს სამხედრო საზღვაო ძალების სამხედრო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსმა ჯონი რუხაძემ. ეს არის საბრძოლო ხომალდი, რომელიც აღჭურვილია უახლესი შეიარაღებით და ყველაზე დიდია იმ გემებს შორის, რომლებიც დღეს საქართველოს გააჩნია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთში მოქმედი პარტია "ვირქის" ლიდერი დავით რსტაკიანი აცხადებს, რომ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე უშიშროების ყოფილ მინისტრს იგორ გიორგაძეს დაუჭერდა მხარს, იმ შემთხვევაში თუ მას არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კავშირი "ჩვენი აჭარა", რომლის ოფიციალური პრეზენტაციაც პარასკევს გაიმართება, კატეგორიულად მოითხოვს აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძისგან, რომ შეწყვიტოს პირობების კარნახი ცენტრისთვის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ დემოკრატიული პარტიისა" და "ტრადიციონალისტთა კავშირის" ახალჩამოყალიბებული კოალიცია განმეორებით საპარლამენტო არჩევნებში წარმატების მიღწევისთვის "სერიოზულად ემზადება".

როგორც პრაიმ-ნიუსს კოალიციის გენერალურმა მდივანმა ბაჩუკი ქარდავამ განუცხადა, ისინი კონსულტაციებს მართავენ ყველა იმ მემარჯვენე ორიენტაციის პოლიტიკურ ძალასთან, ვინც მათ პრინციპებთან ახლოსაა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტობის კანდიდატი ქართლოს ღარიბაშვილი გენპროკურატურისაგან სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაპატიმრებას ითხოვს.

ღარიბაშვილმა გენპროკურატურას საჩივრის განცხადებით ხუთშაბათს დილით მიმართა. იგი ჟვანიას თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, ტერორში, ბიზნესმენებისა და თანამდებობის პირების დაშინებაში სდებს ბრალს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკი "21-ე საუკუნის" ლიდერი, პარლამენტარი ელიზბარ ჯაველიძე პესიმისტურად უყურებს ეროვნული თანხმობის სახელმწიფო კომისიის საქმიანობას, რომელსაც ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდის მთავრობის წევრი გურამ აბსანძე ხელმძღვანელობს.

ჯაველიძემ განაცხადა, რომ "იმედი არა აქვს" გურამ აბსანძის კომისიის, რადგან უკვე შეიმჩნევა არსებითი განხეთქილება ეროვნულ ძალებში.

ელიზბარ ჯაველიძის აზრით, კომისია პოლიტიკური კონიუნქტურით არის შექმნილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისმა ხუთშაბათს აფხაზურ მხარეს შესთავაზა დაუბრუნდნენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაეროს საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციელების გაგზავნის საკითხს.

"საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციელების ყოფნა კონფლიქტის ზონაში მხარეებისათვის აუცილებელი კომპონენტია", - განუცხადა პრაიმ-ნიუსს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ.

მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გაეროს უშიშროების საბჭოს დონეზე იყო მიღებული, მაგრამ ბოლო მომენტში აფხაზურმა მხარემ უარი თქვა მის რეალიზაციაზე. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოკლედ

## საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები 2005 წელს მთლიანად საკონტრაქტო სისტემაზე გადავა

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები 2005 წელს მთლიანად საკონტრაქტო სისტემაზე გადავა.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს აცნობა სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსმა ჯონი რუხაძემ.

მისი ინფორმაციით, უკვე მომავალი წლიდან საკონტრაქტო სისტემაზე უნდა გადავიდეს სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბი და საბრძოლო ხომალდების ეკიპაჟები.

სამხედრო-საზღვაო ძალებში საკონტრაქტო სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლის პროცესი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

"სავარაუდოდ, აპრილში სამხედრო-საზღვაო ძალებში პირველი კონტრაქტების გაფორმება დაიწყება," - თქვა ჯონი რუხაძემ.

მისი თქმით, საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლას წინ უძღვის სამხედრო-საზღვაო ძალების მთელი სტრუქტურის რეფორმირება, სადაც ახლო მომავალში დამტკიცდება ახალი შტატი.

მან აღნიშნა, რომ სამხედრო-საზღვაო ძალები ბოლო დროს საკმაოდ განვითარდა და შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურა, ტექნიკური საშუალებები, კადრები და საბრძოლო ხომალდები ნატო-ს მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებში ათას ხუთასი სამხედრო მოსამსახურეა. რეფორმების გატარებაში ქართულ მხარეს საბერძნეთი და გერმანია ეხმარებიან, რომელთა სამხედრო სასწავლებლებში გადიან მომზადებას ქართველი სამხედრო მეზღვაურები.

*პრაიმ-ნიუსი*

## მიხეილ სააკაშვილი შევარდნაძეს ინაუგურაციაზე არ მიიწვევს

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი 4 იანვრის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ექს-პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს სახელმწიფოს მეთაურის ინაუგურაციის ოფიციალურ ცერემონიაზე არ მიიწვევს.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ხუთშაბათს განაცხადა მოსკოვის გაზეთ "ვრემია ნოვოსტეი"-სთან ინტერვიუში.

მისი თქმით, ედუარდ შევარდნაძე "ის პრეზიდენტი არ არის, რომელიც არჩევნების შედეგად წავიდა".

ინაუგურაციის ცერემონია 25 იანვარს გაიმართება, ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეს, როდესაც მას 76 წელი უსრულდება.

მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ მას არ მოეწონა ედუარდ შევარდნაძის ჩაი, რომელიც პარლამენტში შეჭრის დროს დალია.

"ახლა ჩვეულებრივ წყალს ვსვამ", - თქვა მან.

მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ედუარდ შევარდნაძეს არ ხვდება, მიუხედავად იმისა, რომ ორივე კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ცხოვრობს.

*პრაიმ-ნიუსი*

## სამხრეთ ოსეთის არმია გაძლიერებულ რეჟიმზეა გადაყვანილი

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები გაძლიერებულ რეჟიმზე არიან გადაყვანილი, 4 იანვარს დაგეგმილი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით.

ამის შესახებ ხუთშაბათს პრაიმ-ნიუსს აცნობა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ.

მისი თქმით, მთლიანობაში სამხრეთ ოსეთის ყველა ძალოვანი სტრუქტურა საგანგებო რეჟიმში მუშაობს, სიტუაციის სტაბილიზაციისა და კრიმინალთან ბრძოლის მიმართულებით.

ედუარდ კოკოითიმ აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის სამხედრო დოქტრინა მხოლოდ თავდაცვითი ხასიათისაა.

"სამხრეთ ოსეთი არავისთან ომს არ აპირებს, მაგრამ მზად უნდა იყოს ყველაფრისათვის, მით უმეტეს წინასაარჩევნოდ ქართული მხრიდან რევანშისტული განწყობების გათვალისწინებით", - განაცხადა მან.

მისივე თქმით, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მშენებლობა მკაცრად გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

არმიაში 6 ათასი სამხედრო მოსამსახურე იქნება, შეიარაღებული ძალები ნაწილობრივ წვევამდელებით და ნაწილობრივ კონტრაქტორების საფუძველზე დაკომპლექტდება. კოკოითის ინფორმაციით, განიხილება აფხაზურ არმიასთან ერთობლივი ანტიტერორისტული სწავლებების ჩატარების შესაძლებლობაც.

*პრაიმ-ნიუსი*

# საპარლამენტო ერთსულოვნება დღეს, შესაძლოა, დაირღვეს

პირველი გვერდიდან

დღესვე პარლამენტი, სავარაუდოდ, ყოველგვარი გართულებების გარეშე, დააკმაყოფილებს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ბურჯანაძის წარდგინებას და დათანხმდება იუსტიციის მინისტრად ზურაბ ადეიშვილის დანიშვნაზე. ასეთ გადაწყვეტილებას ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ყველა მიესალმა.

თუმცა, "ვარდების რევოლუციის" წყალობით უფლებამოსილებაგაგრძელებულ პარლამენტში დამკვიდრებული ერთსულოვნება დღეს, ალბათ, დაირღვევა - საკანონმდებლო ორგანოში იწყება საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებათა კანონპროექტების პაკეტის განხილვა. იგი ითვალისწინებს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გადასახადის, ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის, ჯანდაცვის ობიექტების ქონებისა და მოგების გადასახადის და ა.შ გაუქმებას. ამ საკითხებმა, ჯერ კიდევ საპარლამენტო დებატების დაწყებამდე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში უკვე საკმაო პოლემიკა გამოიწვია.



*დავით სალარიძე მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლების საგადასახადო ინიციატივები სერიოზულ დისკუსიას გამოიწვევს.*

მიუხედავად იმისა, რომ მსჯელობა არ შეეხება ე.წ. "სიმდიდრის გარეგნული ნიშნების" გადასახადს, დავით სალარიძის თქმით, წარმოდგენილი კანონპროექტების პაკეტიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და, ამდენად, პარლამენტში მწვავე დისკუსიის საგანი გახდება.

# ვითარება დამაკმაყოფილებელია, დამნაშავე - დასჯილი

პირველი გვერდიდან

ცესკო-ს თავმჯდომარე არც მალავდა, რომ ქვემო ქართლი, ამ მხრივ, უკანასკნელ დრომდე ერთ-ერთი საკმაოდ რთული რეგიონი იყო, რადგან ამომრჩეველთა რიცხვი აქ თითქმის არ მოწმდებოდა და ქვემო ქართლის ყოფილ ხელმძღვანელობას ხელისუფლების საარჩევნო ყულაბაში გარანტირებული 300 000 ხმა მოჰქონდა.

ბოლნისში ჩასულ ცესკო-ს თავმჯდომარეს საკმაოდ მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი დახვდა – ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობა მაღალი აღმოჩნდა და, როგორც გაირკვა, წინასწარი რეგისტრაციის პროცესი თითქმის 99 პროცენტს ჰქონდა გავლილი.

ბუნებრივია, ცესკო-ს თავმჯდომარეც და ჟურნალისტებიც პირადობის მოწმობების გაცემის პროცესით დაინტერესდნენ. სკანდალიც სწორედ აქედან დაიწყო – პოლიციის რაიონულ განყოფილებაში მისულ ჭიაბერაშვილს საპასპორტო განყოფილებასთან უზარმაზარი რიგი დახვდა, ხოლო ჟურნალისტები თავად შეესწრნენ, თუ როგორ აძლევდა ადგილობრივი მოსახლეობა ათლარიანებს საპასპორტო განყოფილების თანამშრომლებს.

**"ასე გვეუბნებიან, ფულია გადასახდელიო... მე ათი ლარი უკვე გადავიხადე... მე თხუთმეტი დამიფასეს",** – ერთმანეთს არ აცდიდნენ საუბარს აღშფოთებული ბოლნისელები, რომლებიც ტელეკამერების დანახვამ გულახდილი საუბრის ხასიათზე დააყენა. თავად ბოლნისის პოლიციის განყოფილების უფროსი კი აცხადებდა, რომ თანხას მხოლოდ ის



*ჟურნალისტებმა თვალი მოჰკრეს, თუ როგორ აწვდიდნენ მოქალაქეები საპასპორტოში ათლარიანებს.*

ადამიანები იხდიდნენ, ვისაც არჩევნების დღეს 16-18 წელი უსრულდებოდა.

**"რომელი თვრამეტი წლის გოგო მე მნახეს?"** – დამტვრეული რუსულით გვეკითხებოდა ხანშიშესული აზერბაიჯანელი ქალბატონი...

საგულისხმოა, რომ გუშინ დილით ზურაბ ჭიაბერაშვილი თავად ესაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს დავით თოდუას, რომელიც ირწმუნებოდა, მინისტრის ბრძანება მოსახლეობისთვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის უფასოდ გაცემის თაობაზე, შეუფერხებლად სრულდებაო. თუმცა, გუშინვე აღმოჩნდა, რომ თოდუას განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, სიმართლეს არ შეესაბამება (სხვათა შორის, ფულის გამოძალვის ფაქტი არა მხოლოდ ქვემო ქართლში გამოვლინდა. რამდენიმე საპასპორტო განყოფილების თანამშრომლები "ძველი მეთოდებით" თბილისის ზოგიერთ რაიონშიც მოქმედებდნენ).

მოგვიანებით, რუსთავში საგანგებო თათბირი გამართა პრეზიდენტის ახალმა რწმუნებულმა რეგიონში ზურაბ მელიქიშვილმა, რომელსაც "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, სამხარეო პოლიციის პირველი პირები და რაიონების საპასპორტო განყოფილებების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. სპეციალური დავალება მიიღო სამხარეო პროკურორმა მამუკა ცაავამ, რომელსაც მელიქიშვილმა ბოლნისის რაიონის საპასპორტო განყოფილების უფროსის ზაურ ჭითანავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსთხოვა.

დღეიდან პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემის პროცესი ზურაბ მელიქიშვილის მკაცრი კონტროლის ქვეშ წარიმართება. **"საგანგებოდ გავაფრთხილე თითოეული მათგანი, ავუხსენი, რომ ძველი მეთოდებით მუშაობას წერტილი უნდა დაესვას. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საუბარმა არ გაჭრა. ამიტომაც, უფრო მკაცრ ზომებს მივიღებ ყოველი ასეთი შემთხვევის გამოვლენის დროს,"** – განაცხადა ჩვენთან საუბარში ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა.

საერთოდ კი, ზურაბ ჭიაბერაშვილი ქვემო ქართლში წინასაარჩევნო სამზადისით აშკარად კმაყოფილი ჩანდა. ბოლნისის რაიონში რეგისტრაცია 36 ათასამდე ამომრჩეველმა გაიარა. რაიონის გამგებლის, დავით ჭიჭიკოშვილის თქმით, **"ბოლნისში ვითარება სტაბილურია და იმის მიუხედავად, რომ რამდენჯერმე ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არჩევნების ჩაშლის მუქარა გაისმა, კენჭისყრის პროცესს ხელს არაფერი შეუშლის."**

57 ათასამდე ამომრჩეველი გამოცხადდა მარნეულის საარჩევნო უბნებში. რაც შეეხება რუსთავს, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პაატა ტყეშელაშვილის თქმით, უბნებს 42 ათასმა ამომრჩეველმა მიაკითხა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, რომ წინასწარი რეგისტრაციის შედეგად**, საქმის 80 პროცენტი შესრულებულია.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით, აჭარის გარდა, რეგისტრაცია 1 600 000-მდე ამომრჩეველმა გაიარა.

თვალსაზრისი

# ბრძოლა იწყება ჯაყოების მიერ მიტაცებული და გაუპატიურებული სამშობლოს გადარჩენისთვის

პირველი გვერდიდან

გონიერი და მოაზროვნე წესიერი ქართველი კი საკუთარ ქვეყანაში ჯაყოს ძარცვისა და ექსპლუატაციის უუფლებო ობიექტად იქცა.

საინტერესოა, ჯაყოს ანტიპოდის, უაღრესად დადებითი თვისებების მქონე კეთილშობილი განათლებული ქართველის სიმბოლოს - თეიმურაზ ხევისთავის პიროვნება. იგი საქართველოს შვილია და შესაბამისად, ქვეყნის პატრონიც, დიახ, წესით სამშობლოს მან უნდა უპატრონოს. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მოძალადე, ცბიერი, დაუნდობელი, მზაკვარი და მტაცებელი ჯაყოს მსხვერპლი გამხდარა, იმდენად უსუსურ და უხერხემლო არსებად ქცეულა, რომ სამშობლოს (მარგოს) საკუთარ სარეცელზე უუპატიურებენ და იგი მას ვერ შველის. შესცქეროდა ჯაყოების მომხმარებლურ უზნეო განუკითხაობას და საკუთარ უსუსურობაში დარწმუნებული პასიურ როლს სჯერდებოდა, რადგანაც მას ქვეყნის ხსნის იმედი საბოლოოდ გადაეწურა.

ბევრს ახსოვს ალბათ, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მიხეილ ჯავახიშვილის გენიალური "ჯაყოს ხიზნების" გენიალური დადგმა განახორციელა თემურ ჩხეიძემ. სატელევიზიო ფილმის დასაწყისში მოჩანს თეიმურაზ ხევისთავის ნახევრად მთვლემარე თვალები. იგი ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს თვალის გახელას, იმდენად უმწეოა. რეჟისორი შეეცადა, ქართველს სარკეში დაენახა საკუთარი თავი და იქნებ ამის შემდეგ მაინც გამოფხიზლებულიყო. მაგრამ უშედეგო აღმოჩნდა მაშინ მისი ცდა.

ვარდების რევოლუციამ თეიმურაზ ხევისთავის გამოფხიზლება შეძლო, მას ხელისუფლებიდან ჯაყოების ჩამოცილების, სამშობლოს გადარჩენისა და დაბრუნების იმედი ჩაუსახა. და რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი უსუსურობის განცდა მოაცილა და კვლავ კაცად იგრძნო თავი. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს. თუ სამშობლოს კეთილდღეობა გვინდა, ქვეყანაში ჯაყოები კი არა, ზნეობა და კანონი უნდა ბატონობდეს. კანონია ის ქვაკუთხედი, რაზედაც სახელმწიფო შენდება და კანონის დარღვევა საკუთარი სახელმწიფოს ფუნდამენტის მონგრევისათვის მიმართული ქმედებაა. ამიტომ, საქართველოს ყველაზე დიდი მტერი სწორედ კანონდამრღვევი და კორუმპირებული ქართველია. ასეთი ადამიანების მიმართ საზოგადოებაში შეურიგებელი ატმოსფერო უნდა შეიქმნას.

მისასალმებელია, რომ ახლა ხელისუფლებაში ქუჩური და ქურდული ზნეობით "ქუჩაში გაზრდილი" და ამით მოტრაბახე კი არა, არამედ წიგნებთან "საჯაროში" გაზრდილი ახალგაზრდები მოდიან. მათ მენტალიტეტს კი არა ქუჩური, არამედ სახელმწიფოებრივად აზროვნების კატეგორიები განსაზღვრავენ.

2. რატომღაც ზოგიერთი ყურადღებას ამახვილებს "ვარდების რევოლუციაში" ამერიკელების როლზე. მაშინ, როდესაც ნამდვილი სახელმწიფო გადატრიალება რუსეთის სპეცსამსახურების აქტიური ძალისხმევით 2001 წელს მოხდა და, იმდენად ოსტატურად, რომ 2001 წლის ოქტომბერში "რუსთავი-2"-ის გამარჯვების ეიფორიაში მყოფმა საზოგადოებამ ვერც კი შენიშნა ეს გადატრიალება, ანუ, როდესაც ხელისუფლებას ჩამოაშორეს პროგრესულად მოაზროვნე პროდასავლური რეფორმატორები და ძალაუფლება ხელში აიღო პრორუსულმა კორუმპირებულმა კლანებმა. კრემლმა ამით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საქართველოში საკუთარი პოზიციების განმტკიცების თვალსაზრისით.

საერთოდ, ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინის მოსვლის შემდეგ დაიწყო რუსეთის ძლევამოსილების აღდგენისათვის აქტიური პოლიტიკური და დიპლომატიური საქმიანობა. მათ შორის, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა საქართველოზე აშშ-ს გავლენის აღკვეთა და კრემლის მიერ სრული კონტროლის აღდგენა. ამისათვის შემუშავდა კომპლექსური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა არა უხეშ და თვალშისაცემ აგრესიას, არამედ საქართველოს ხავერდოვან ინტერვენციას (ხელისუფლებაში სასურველი ძალების მოყვანა, ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდება და სხვ.).

საქართველოს ხავერდოვანი ინტერვენციის სისტემური კომპლექსური პროგრამა რამდენიმე მიმართულებით ამოქმედდა და უნდა მიღწეულიყო:

1. პროდასავლური კურსის აქტიურად გამტარებელი პოლიტიკოსებისა და პარტიების დისკრედიტაცია და "დასამარება" (გვახსოვს, ყვავ-ყორნებივით როგორ შეესივნენ ჟვანია-სააკაშვილს და ებრძოდნენ ყოვლად არაკაცური, ამაზრზენი, უბინძურესი მეთოდებით);

2. თავისუფალი მასმედიის დისკრედიტაცია და გაუვნებელყოფა (უმთავრესი სამიზნე "რუსთავი 2" იყო და არის);

3. ობიექტურობას ამოფარებული პრორუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფართო ქსელის შექმნა;

4. მოსახლეობის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური დამუშავება (ამერიკული და ზოგადად დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციისაკენ მიმართული საინფორმაციო ომი);

5. დასავლელი ინვესტორების დაფრთხობა, მათთვის აუტანელი პირობების შექმნა (განსაკუთრებით ეი-ი-ეს თელასი ამოიღეს მიზანში);

6. ეკონომიკური ექსპანსია, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდება;

7. ქართველ ბიზნესმენებში დასაყრდენის შექმნა (განსაკუთრებით "წითელ დირექტორებში");

8. საქართველოში სამხედრო ბაზების შენარჩუნება;

8. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ხავერდოვანი ანექსია და საქართველოდან ხავერდოვნად ჩამოცილება;

9. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში პრორუსული ძალების მოყვანა და ამით 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პრორუსული პრეზიდენტის გასაყვანად პლაცდარმის შექმნა;

და სხვ.

რომ არა ვარდების რევოლუცია, რომელმაც სულზე მოუსწრო ქვეყანას, საქართველოს რუსულ სივრცეში გამალებულ ვარდნას ვერაფერი ვეღარ შეაჩერებდა. ეს კი საქართველოსათვის შავბნელი პერსპექტივა იქნებოდა.

*პრაიმ-ნიუსი*

## ნინო ბურჯანაძის ვიზიტი მოსკოვში

გუშინ დასრულდა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის ვიზიტი მოსკოვში. ვიზიტის კულმინაციად იქცა შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან. ვლადიმირ პუტინმა დადებითად შეაფასა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის გადაწყვეტილება, მოსკოვში ჩასვლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ **"ეს ვიზიტი კარგის ნიშანია".**

გარღვევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში - ასე შეაფასა ეს შეხვედრა ნინო ბურჯანაძემ.

პრეზიდენტების საუბრის მთავარი თემა სავიზო რეჟიმი იყო. ნინო ბურჯანაძემ "უსამართლო" უწოდა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და აჭარის მიმართ შეღავათიანი სასაზღვრო რეჟიმის შენარჩუნებას. მან ასევე განაცხადა, რომ თბილისის გაღიზიანება გამოიწვია აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერების მიწვევამ მოსკოვში. ბურჯანაძის თქმით, რუსეთი შეისწავლის ვიზების საკითხს და უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას.

გარდა ამისა, პუტინთან შეხვედრაზე განიხილეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები. ნინო ბურჯანაძემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მხარეებმა გვერდი არ აუარეს მწვავე საკითხებს და დიალოგი გულწრფელ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

**"არავინ ითხოვს რუსეთისგან, ჩვენს ნაცვლად გადაჭრას პრობლემები, მაგრამ რუსეთის შეუძლია დადებითი როლის შესრულება კონფლიქტების დარეგულირებაში,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

გარდა რუსეთის პრეზიდენტისა, საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი გუშინ რუსეთის თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვსაც ესაუბრა. შეხვედრაზე კვლავაც ვერ მოხერხდა საქართველო-რუსეთის პოზიციების დაახლოება სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხში. სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ბაზების გაყვანას საქართველოდან, სულ ცოტა, 11 წელიწადი სჭირდება. ქართული მხარე კი ასეთ ვადად სამ წელიწადს ასახელებს.

მოსკოვში ვიზიტი დასრულდა ნინო ბურჯანაძის პრესკონფერენციით, რომელზეც 80-მდე მედიასაშუალებამ გაიარა აკრედიტაცია.

*24 საათი*

## დიდი მიღება "ხანუკის" დღესასწაულზე



*მიღებაზე საერთო კმაყოფილების ატმოსფერო სუფევდა.*

*"ხანუკი" ისრაელში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დღესასწაულია, რომელსაც მთელი მსოფლიოს ებრაელები აღნიშნავენ. ეს დღე დაწესებულია ისრაელელთა იმ ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავად, როდესაც ებრაელებმა მტრის მიერ წართმეული ტაძარი დაიბრუნეს. დღესასწაულთან დაკავშირებით ისრაელის რეზიდენციაში მიღება გაიმართა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

საღამოსთვის "დიდი მიღების" დარქმევა სრულიად გადაუჭარბებელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისრაელის ელჩის რეზიდენციას, ქართველ ებრაელთა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად, ეწვივნენ მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია და გია ბარამიძე. ისრაელის ელჩმა რივკა კოჰენმა დიდი მადლობა გადაუხადა საპატიო სტუმრებს და პირველი სანთლის ანთების პატივი მიხეილ სააკაშვილს მიაგო. ამ მისიის შესრულების შემდეგ მთავარმა რაბინმა აბრაამმა სააკაშვილს კიპაც უბოძა.

მეორე სანთელი ბადრი პატარკაციშვილმა აანთო, რომელიც მიღებაზე დიდი საჩუქრით გამოცხადდა. როგორც აღმოჩნდა, პატარკაციშვილმა საჩუქრად თოვლის ბაბუა მოიტანა. ვიცი, რომ ისრაელში თოვლის ბაბუა არ იციან, მაგრამ მე ხომ აქ მოვიტანეო, - იხუმრა ცნობილმა ბიზნესმენმა.

ამის შემდეგ სტუმრები ჟურნალისტების ალყაში მოექცნენ.

მიხეილ სააკაშვილი: **"ისრაელი არის საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი მეგობარი და პარტნიორი, მაგრამ, ამის გარდა, არის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკაში. ამიტომ მასთან კარგი ურთიერთობა არის ჩვენი წარმატებისა და უსაფრთხოების ერთერთი საწინდარი. ჩვენ, მართლაც, მოვახერხეთ ისრაელთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარება და ეს ქართველი ხალხის ისტორიული დამსახურებაა. ისრაელელ ბიზნესმენებს აღარაფერი შეუშლით ხელს იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციები ჩადონ."**

ზურაბ ჟვანია: **"მე მინდა, საქართველოში მცხოვრებ ყველა ებრაელს და, საერთოდ, მთელ ებრაელობას მივულოცო მათთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დღესასწაული – "ხანუკი". მინდა, ვუსურვო მათ ბედნიერება, მშვიდობა და გამარჯვებები."**

ბადრი პატარკაციშვილი: **"მიმაჩნია, რომ დღეს არის რელიგიური დღესასწაულების კულმინაცია. დღეს არის ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების დღე; დღეს არის "ხანუკის" დღესასწაული, რომელსაც მთელი ებრაული სამყარო აღნიშნავს; დღეს არის შობის ბრწყინვალე დღესასწაული, რომელსაც აღნიშნავს კათოლიკური სამყარო. ასეთი რამ ხშირად არ ხდება და, ჩემი აზრით, ეს არის ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვაშენოთ და არ უნდა ვანგრიოთ. ამიტომ მე ვუსურვებდი ჩემს ხალხს, ვაშენოთ და გავუკეთოთ ერთმანეთს სიკეთე."**

რივკა კოჰენი: **"ისრაელში ამ დღესასწაულს ოჯახურ წრეში ვიხდით - ვიკრიბებით და ვანთებთ სანთლებს. ეს დღესასწაული ყოველთვის ემთხვევა დეკემბრის თვეს და ძალიან მნიშვნელოვანია. ამ დღესასწაულის სიმბოლური მნიშვნელობა გამოიხატება სინათლეში, რაც ასოცირებულია სასწაულთან, რომელიც, დაახლოებით, 26 საუკუნის წინათ მოხდა. ებრაელმა ხალხმა მოიპოვა დიდი გამარჯვება და დაიბრუნა თავისი ტაძარი. ანთებულ სანთლებს ჩვენ ფანჯრის რაფაზე ვდგამთ, რომ ყველამ დაინახოს და გზა გაუნათდეთ. ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს მრავალი არაებრაული თემის წარმომადგენელი სტუმარი გვეწვია; დიდი მადლობა მათ."**

## ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ და იგორ გიორგაძემ კონსულტაციები გამართეს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილ ლიდერს ირინა სარიშვილი-ჭანტურიას კონსულტაციები ჰქონდა უშიშროების ყოფილ მინისტრთან, ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილ იგორ გიორგაძესთან.

როგორც ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, საუბარი შეეხო როგორც იგორ გიორგაძის უშიშროების მინისტრად ყოფნის დროს მომხდარ ტერაქტებს, ასევე საქართველოში ამჟამად არსებულ ვითარებას.

მისი თქმით, მათ ხელთ არსებული ბევრი ინფორმაცია და ამ ინფორმაციის ანალიზი ერთმანეთს დაემთხვა.

"ბევრი საკითხის გარშემო პოზიციები არის ერთნაირი, თუმცა რამდენად გადაიზრდება ეს თანამშრომლობაში, ამას მომავალი გამოაშკარავებს", - განაცხადა სარიშვილი-ჭანტურიამ.

ამასთან, მისთვის აღმოჩენა არ ყოფილა ის ფაქტი, რომ მისი და მისი მეუღლის, "ედპ"-ს ლიდერის გიორგი ჭანტურიას წინააღმდეგ 1994 წლის 3 დეკემბერს განხორციელებული ტერაქტი, რის შედეგადაც გიორგი ჭანტურია დაიღუპა, "მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა კვირაიას დაკვეთა იყო".

ირინა სარიშვილი-ჭანტურია არ აკონკრეტებს შეხვდა თუ არა იგი იგორ გიორგაძეს საქართველოს ტერიტორიაზე.

*პრაიმ-ნიუსი*

## სახელმწიფო ენერგოსისტემაში მუშაობის შედეგები შეაჯამეს

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ირლანდიელმა მმართველებმა 2003 წლის განმავლობაში მუშაობის შედეგები შეაჯამეს. როგორც "ინტერ-პრესს" კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ბრაიან ქრონლიმ განუცხადა: **"ჩამოყალიბდა და მოწესრიგდა მუშაობის სრული ჯგუფი, ჩამოყალიბდა პატარა სატრეინინგო ცენტრი. ამ ხნის განმავლობაში 260 თანამშრომელზე, დაახლოებით, 120 ათასი ლარი გავცით".** მისი თქმით, სისტემის კომერციული დანაკარგები მნიშვნელოვნად შემცირდა და შესაბამისად გაიზარდა საბითუმო ბაზრის და ელექტროსისტემისთვის გადახდის მაჩვენებლები. **"აღრიცხვის სამსახური მთლიანად რეორგანიზებულია. მისი ძალისხმევით მოხერხდა "გადაცემის" დანაკარგების მნიშვნელოვნად შემცირება და მათი ზუსტი აღრიცხვიანობის მოწესრიგება. საფინანსო დეპარტამენტმა შეიმუშავა დებიტორთა და კრედიტორთა მართვის ჯგუფი. მსოფლიო ბანკისა და KFW-ს დაფინანსებით დაიწყო გადაუდებელი სარემონტო სამუშაოებისთვის თანხების გამოყოფა,"** - განაცხადა ქრონლიმ. შეგახსენებთ, რომ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" ირლანდიური კომპანია 5-წლიანი მართვის უფლებით მიმდინარე წლის მარტში შევიდა. **ინტერ-პრესი**

## თბილისის ენერგომომარაგებაში შეზღუდვები მოიხსნება

"ენგურჰესის" დაზიანებული აგრეგატი სისტემაში ჩაირთო, რის გამოც ელექტროსისტემაში სიმძლავრე გაიზარდა. როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებენ, სიმძლავრის მომატება ელექტრომომარაგებაზე დადებითად აისახება.

როგორც "ინტერ-პრესს" სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, "ენგურჰესის" მეოთხე აგრეგატის ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ იგი დაზიანებული აღარ არის, ამიტომ საღამოს პიკის საათებში მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, ძირითადად, დედაქალაქს მიეწოდება.

**"შეზღუდვები უკვე დღეს შესამჩნევი აღარ იქნება და ელექტრომომარაგება გაუმჯობესდება,"** - მიანიშნა "თელასში", სადაც აღნიშნავენ, რომ ამგვარი განცხადების იმედს "სახელმწიფო ელექტროსისტემიდან" მიღებული დაპირება იძლევა.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ენერგოგენერაციაში შემცირების გამო საქართველოს ენერგოსისტემაში ავარიული გენერაციის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია არ ჰყოფნიდა. მიუხედავად იმისა, რომ "თელასი" ელექტროენერგიის იმპორტს სომხეთიდან და რუსეთიდან ახორციელებს, დედაქალაქის ელექტრომომარაგება მაინც შეზღუდვით ხორციელდება. **ინტერ-პრესი**

## პენსიონერები - განვითარებული ქვეყნების უმძიმესი ტვირთი

ადამ მქედლიძე

მომავალ წელს იაპონიის ბიუჯეტის დეფიციტი 45 პროცენტს მიაღწევს. ასეთი კატასტროფული მაჩვენებლის მიზეზი გახდა პენსიონერთა რაოდენობის სწრაფი ზრდა. ფისკალურ ვითარებას არაფერი ეშველა მიუხედავად იმისა, რომ ამომავალი მზის ქვეყანამ ეკონომიკური კრიზისის გამო მნიშვნელოვნად შეამცირა სამხედრო ხარჯები, საგარეო დახმარება და საზოგადო მომსახურების გასავალი. იაპონიაში შექმნილი ამგვარი ვითარება კიდევ ერთხელ აფრთხილებს სხვა განვითარებულ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობა ასეთივე სწრაფი ტემპით ბერდება.

2004 წლისათვის იაპონიის ბიუჯეტი 82.11 ტრილიონი იენი (760 მილიარდი დოლარი) იქნება, საიდანაც მთავრობას 36 ტრილიონის სესხება მოუწევს. ბიუჯეტის დეფიციტი იაპონიისათვის ბოლო ხანს არც ისე უჩვეულო საქმეა, მაგრამ მომავალი წლისათვის ამომავალი მზის ქვეყანას 4,2 პროცენტით უწევს სოციალურ დაზღვევაზე ხარჯების გაზრდა, რაც დეფიციტს ასეთ ასტრონომიულ თანხამდე ზრდის. და ეს მაშინ, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ გამოსულა ეკონომიკური სტაგნაციიდან, მთავრობა კი სტაგნაციის დასაძლევად ხშირად უშვებს ე.წ. ეკონომიკის მასტიმულირებელ, მრავალტრილიონიან პაკეტებს, რის შედეგადაც ქვეყნის შიდა ვალი უკვე მთლიანი შიდა პროდუქტის 140 პროცენტს შეადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამომავალი მზის ქვეყნის მთავრობა ყველანაირად ცდილობს სხვა ხარჯების შეკვეცას. თავდაცვის ბიუჯეტი 1 პროცენტით შემცირდა და 4,9 ტრილიონ იენს შეადგენს (მიუხედავად შემცირებისა, ეს მაინც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში), საგარეო დახმარება 5 პროცენტით შემცირდა; 3,5 პროცენტით შეიკვეცა ისეთი გასავალი, როგორიცაა ხიდების, გზების შეკეთება.

ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას დაემთხვა არც ისე დამაიმედებელი პროგნოზი მომავალი წლისათვის. თუკი წელს ეკონომიკური ზრდა იაპონიაში 2 პროცენტი იქნება, გაისად ეს მაჩვენებელი 1,8 პროცენტს მიაღწევს. არაა გამორიცხული, რომ ბიუჯეტის დეფიციტის გამო შექმნილმა უარყოფითმა ფსიქოლოგიურმა გარემომ დამატებითი პრობლემები შეუქმნას იაპონურ მეწარმეობას და ეკონომიკური სტაგნაცია კიდევ უფრო გააღრმავოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პენსიონერთა პრობლემები სხვა განვითარებულ ქვეყნებსაც აწუხებს და შექმნილი ვითარებიდან ყველა ცდილობს გამოსავლის პოვნას; მაგალითად, გერმანიის მთავრობის მიერ შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა ქვეყნის საპენსიო სისტემის რეფორმირებისათვის ერთობ რადიკალური წინადადებები წამოაყენა; კერძოდ, კომისია სახელმწიფოს სთავაზობს საპენსიო ასაკის 67 წლამდე გაზრდას, 2005 წლამდე პენსიების გაცემის შეჩერებას და სისტემაში კერძო სექტორის უფრო ფართოდ დაშვებას. კომისია ირწმუნება, რომ ამგვარი რეფორმების გარეშე საპენსიო სისტემა ერთ მშვენიერ დღეს უბრალოდ აღარ იარსებებს ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა: საშუალო ასაკის ზრდა, შობადობის დაბალი მაჩვენებელი და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი.

### მონიტორინგი

პენსიების დაფინანსება 23 ნოემბრისთვის

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

სოციალური ფონდის [illegible] და სოციალური პროგრამების ხარჯები 23 ნოემბრისთვის

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | 59,613 | 49,855 | 83.6% |
| [illegible] | 11,948 | 7,752 | 64.9% |
| [illegible] | 40,839 | 35,793 | 87.6% |
| [illegible] | 5,910 | 5,409 | 91.5% |
| [illegible] | 916 | 901 | 98.3% |
| [illegible] | 5,395 | 2,783 | [illegible] |
| [illegible] | 1,176 | 260 | 22.1% |
| [illegible] | 1,550 | 1,074 | 69.3% |
| [illegible] | 167 | 88 | 52.8% |
| [illegible] | 500 | 361 | 72.2% |
| [illegible] | 4,462 | 2,681 | 60.1% |
| [illegible] | 327 | 235 | 71.9% |
| [illegible] | 1,665 | 1,438 | 86.4% |
| [illegible] | 1,500 | 477 | 31.8% |
| [illegible] | 320 | 58 | 18.1% |
| [illegible] | 650 | 473 | 72.7% |

# ვინ დაიკავებს აკაკი ჩხაიძის სავარძელს?



ზაალ ბალაშვილის ფოტო

*ახლად შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო "სტახანოვური" ტემპებით მუშაობს.*

პირველი გვერდიდან

კონკურსში სულ ოცდახუთმა პრეტენდენტმა შეიტანა განაცხადი. თითოეულმა მათგანმა, განაცხადთან ერთად, სხვადასხვა ორგანიზაციის - არა პოლიტიკური გაერთიანებების - შესაბამისი რეკომენდაციაც წარადგინა). გარკვეულ ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ რკინიგზის ირგვლივ არცთუ ჯანსაღმა ინტერესებმა მოიყარა თავი, ისიც აძლიერებს, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის თანამდებობის დაკავების მსურველთა შორის საკმაოდ ოდიოზური ფიგურებიც არიან – მაგალითად: რკინიგზის ყოფილი გენერალური დირექტორი რემი ვაშაკიძე, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ხელმძღვანელი ვახტანგ ბეგიაშვილი, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე დავით გურგენიძე, რკინიგზის გენერალური დირექტორის თანაშემწე კონსტანტინე ნინიძე, გენერალური დირექტორის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებელი რამაზ გიორგაძე, გენერალური დირექტორის მოადგილე თენგიზ დონაძე და ა.შ. ერთი სიტყვით, კონკურენტთა 25- კაციან სიაში რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილი პირები და ძველი, კორუმპირებულ საქმიანობაში გარეული კადრებიც მოხვდნენ, რომლებიც ვერანაირად აკმაყოფილებენ მოთხოვნას რეპუტაციის ფაქტორის შესახებ; მეტიც, ამ ადამიანებს, რომელთა უმრავლესობაც აკაკი ჩხაიძის ერთგული თანამებრძოლი გახლდათ, არასოდეს გამოუხატავთ თავიანთი პოზიცია ან პროტესტი "საქართველოს რკინიგზის" სისტემაში თუ ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული კორუფციული, ანტისახელმწიფოებრივი და ხალხის საზიანო ქმედებების გამო.

ძნელად მისახვედრი არ არის, რომ ყოფილი ხელმძღვანელობისა და მთავრობის კადრებს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოში (გამორიცხული არ არის სხვა ზემდგომ ორგანოშიც) უმაგრებენ ზურგს. ის ფაქტი, რომ სამეთვალყურეო საბჭოს გენერალური დირექტორის არჩევამდე სულ ორიოდე დღით ადრე არა აქვს გადაწყვეტილი კენჭისყრა ღია იყოს თუ დახურული, თავისთავად მრავლისმეტყველია.

მრავლისმეტყველია ისიც, რომ რკინიგზის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნი კადრებისთვის აუცილებელ კრიტერიუმად პროფესიული გამოცდილება იქნა დასახელებული, რაც, ექსპერტთა ნაწილის აზრით, ამ თანამდებობაზე "არარკინიგზელის", მაგრამ პროფესიონალი მენეჯერის დანიშვნას გამორიცხავს.

მოკლედ, საეჭვოა, რომ რკინიგზასთან დაკავშირებით, რომელიც დროებითი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო საწარმოთა შორის "სამოდელო საწარმოდ" იქნა შერჩეული, ისეთი მოდელი იქმნება, რამაც წარსულისგან თავის დაღწევას შესაძლოა, სულაც არ შეუწყოს ხელი.

რაც შეეხება თავად რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას: დასწრების უფლება ჟურნალისტებსაც მიეცათ, ოღონდ, საბჭოს წევრის - ალექსანდრე დანელიას თქმით, განხილვის მსვლელობისას შეკითხვების დასმისა და ჩარევის გარეშე. კვირას გამოვლინდება საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის ვინაობა.

ეს განცხადებები სამეთვალყურეო საბჭოს პირველ სხდომაზე გაკეთდა. მათივე ინფორმაციით, პრაქტიკულად გადაწყვეტილია შპს „საქართველოს რკინიგზის" სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბების საკითხი.

გუშინ ალექსანდრე დანელიამ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია აღნიშნულ თანამდებობაზე სოროსის ფონდის ხელმძღვანელის, კახა ლომაიას დანიშვნის შესახებ. მისი თქმით, ლომაიას გვარი კონკურსანტთა სიაში არ ფიგურირებს, ასევე არ განიხილება ედვარდ სურმანიძის კანდიდატურა, რის შესახებაც წერდა პრესა.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: შპს "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი დირექტორის აკაკი ჩხაიძის სახელფასო ანაზღაურება ოფიციალურად 1200 ლარი იყო. მისი მოადგილეები 800-ლარიან ხელფასებს იღებდნენ, ხოლო მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 300 ლარს უტოლდებოდა. საინტერესოა, რა ოდენობის ხელფასი დაენიშნება ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, სერიოზული თანხებისა და კაპიტალბრუნვის მქონე საწარმოს – "საქართველოს რკინიგზის" ახალ ხელმძღვანელს. კონკურსის პირობებში ასეთი პუნქტი არ არის დაფიქსირებული. ალექსანდრე დანელიას თქმით, ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა.

# შოთა ვაშაკიძე: "საგადასახადო სისტემა ნაკლებად სელექციური უნდა იყოს"

*"სიმდიდრის გარეგნული ნიშნების შესახებ" გადასახადის დაწესების შესახებ სახელისუფლებო ინიციატივა მიმდინარე კვირის მთავარ ეკონომიკურ თემად იქცა. მართალია, აჟიოტაჟის პირველმა ტალღამ გადაიარა, გაჩნდა მოსაზრებები გადასახადის სახელწოდების შეცვლის შესახებ, თუმცა მისი შემოღების პერსპექტივა კვლავ დღის წესრიგშია. დღეს "24 საათი" ამ საკითხთან დაკავშირებით შემოგთავაზებთ აშშ-ში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, საერთაშორისო ასოციაცია "კვალის" პრეზიდენტის, პროფესორ შოთა ვაშაკიძის პოზიციას:*

თამარ ხორბალაძე

**– რამდენად მისაღებია "სიმდიდრის გარეგნული ნიშნების შესახებ" გადასახადის შემოღება?**

- კერძო საკუთრებაზე (property tax) გადასახადები რომ დაწესდეს, საჭიროა, იყოს კერძო საკუთრების აღრიცხვის კარგად განსაზღვრული მექანიზმი. ამერიკის კანონმდებლობის მიხედვით, დასაბეგრ საკუთრებაში შედის საცხოვრებელი ადგილი – მიწა და შენობა, მაგრამ არა ბინის მოწყობილობა. დაბეგვრის პროცენტს განსაზღვრავს საცხოვრებელი ფართის მდებარეობა და განსხვავდება იგი ადგილის პრესტიჟულობის მიხედვით. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს გადასახადი ხმარდება ლოკალური ინფრასტრუქტურის განვითარებას (გადასახადის დიდი წილი მიაქვს საგანმანათლებლო დაწესებულებებს) და არ შედის ფედერალურ და შტატის ბიუჯეტში. გადასახადის ოდენობა მტკიცდება ქალაქისა და რაიონის მმართველობის მიერ, ხალხის აქტიური მონაწილეობით.

კერძო საკუთრებაზე გადასახადის ადმინისტრირება საქართველოში, ალბათ, საკმაოდ რთული იქნება: უნდა შემუშავდეს სპეციალური იურიდიული და საბუღალტრო აღრიცხვის ბაზა; უნდა შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც თავს მოუყრის ინფორმაციას დაბეგვრის მექანიზმის შესახებ და თითოეულ მოქალაქეს დეტალურად განუმარტავს მას. თუ ეს არ გაკეთდა, ადვილი შესაძლებელია, რომ მოხდეს მისი არასწორი იმპლემენტაცია და იქცეს კორუფციის წყაროდ.

**– როგორ გესმით ამ გადასახადის შინაარსი?**

- როგორც აღვნიშნე, აშშ-ში ამ გადასახადის ძირითადი მიზანია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება – სკოლების, გზების, კომუნალური მომსახურების, ადგილობრივი უსაფრთხოების – პოლიციის, სახანძრო რაზმებისა და სხვა ინსტიტუტების დაფინანსება. ამ ინფრასტრუქტურის განვითარებაში მოსახლეობას შეაქვს თავისი კუთვნილი საკუთრების პროპორციული წილი. შესაბამისად, მდიდრები მეტს იხდიან, ღარიბები – ნაკლებს, თუმცა პროპორციულობის პრინციპი მეტ-ნაკლებად დაცულია.

**თქვენი აზრით, სად გადის "სიმდიდრის ზღვარი" საქართველოში?**

- სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობა ორ პოლარიზებულ ფენად არის დაყოფილი: მდიდრებად და ღარიბებად. არ არის საშუალო ფენა. ასე რომ, ზღვარის გავლება დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ, საზოგადოების ასეთი მკვეთრი პოლარიზება საგადასახადო სისტემისთვის დიდ პრობლემებს ქმნის: საგადასახადო სისტემის ძირითადი პრინციპია სამართლიანობა (და არა სამართლის აღდგენა). საგადასახადო სისტემა რაც შეიძლება ნაკლებად სელექციური უნდა იყოს. თუ მისგან საზოგადოების დიდი (ღარიბი) ნაწილი გათავისუფლდა, გადამხდელების (მდიდრების) თვალში იგი უკვე დამსჯელი მექანიზმის სახეს შეიძენს, რაც ძალზე ნეგატიურად იმოქმედებს საზოგადოებაზე, რომელიც ისედაც საკმაოდ უარყოფითად აღიქვამს საგადასახადო სისტემას.

**– რა თანხის ქონების დაბეგვრით შეიძლება დაიწყოს ამ გადასახადის დაწესება და როგორ წარმოგიდგენიათ დასაბეგრი თანხის ოდენობა?**

- საგადასახადო კანონმდებლობა რაც შეიძლება მარტივი და გასაგები უნდა იყოს. სხვადასხვა საგადასახადო სეგმენტის შემოტანა, მცოცავი ტარიფების დაწესება, სხვადასხვა ტიპის ტაქსაცია... ეს ყველაფერი საკმაოდ ართულებს საგადასახადო სისტემას და ხალხისთვის გაუგებარს ხდის, იზრდება საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის და კორუფციის რისკიც. საგადასახადო სისტემა საზოგადოების ყველა ფენას უნდა შეეხებოდეს და ყველამ უნდა იცოდეს, რომ გადასახადების გადახდა ყველა მოქალაქის ვალია. გამონაკლისს შეიძლება მხოლოდ მცირე პროცენტი წარმოადგენდეს.

სიმდიდრის ნიშნით დასაბეგრი თანხის ოდენობა უნდა განისაზღვროს საზოგადოების საშუალო შემოსავლების დონესთან თანაფარდობით. სამწუხაროდ, საქართველოში იმდენად დიდია სხვაობა საზოგადოების ფენებს შორის, რომ ასეთი "საშუალოს" განსაზღვრა დიდ პრობლემას წარმოადგენს.

**– ამ გადასახადის გადახდა გაათავისუფლებს თუ არა არამართლზომიერად მიღებული ქონების მეპატრონეებს პასუხისმგებლობისგან? საერთოდ, რა არის, თქვენის აზრით, არამართლზომიერი ქონება და როგორ წარმოგიდგენიათ მისი დაბრუნება ხალხისათვის?**

- არამართლზომიერად მიღებული ქონების გადასანაწილებლად საგადასახადო სისტემის გამოყენება აბსოლუტურად დაუშვებელია. ეს საგადახადო კანონმდებლობის ფუნქცია არ არის. ამისთვის არსებობს სასამართლო, სამართალდამცავი ორგანოები და სხვა ანალოგიური ბერკეტები.

წარსულის "ცოდვებზე" პასუხისგება უნდა მოხდეს სასამართლოს წესით, ინდივიდუალურად და არა ზოგადი საგადასახადო კანონმდებლობით, თუმცა საკმაოდ ძნელია, წარსულისგან მემკვიდრეობით მიღებული "ცოდვებისგან" თავის დაღწევა, მით უმეტეს, რომ საქართველოში არ არსებობს კარგად განვითარებული სააღრიცხვო მექანიზმები. საჭიროა ძლიერი და გამჭვირვალე საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც გამყარებული იქნება აღმასრულებელი ძალაუფლებით. პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არამართლზომიერი ქონების მოხვეჭის მექანიზმების პროფილაქტიკას, რათა აღმოიფხვრას ასეთი "ცოდვების" ჩადენის პერსპექტივა. თუ ეს არ მოხდა, ხალხის სახელით ხალხისთვის წართმეული ქონება ისევ არამართლზომიერი ქონების მიღების წყარო გახდება.

# იქმნება ახალი საფონდო მონსტრი

ანი გახარია

მსოფლიოს ორი უმსხვილესი საფონდო გიგანტი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა (NYSE) და NASDAQ Stock Market-ი გაერთიანებას აპირებს. როგორც Wall Street Journal-ი იუწყება, მათ შორის პირველი მოლაპარაკებები უკვე შედგა, კერძოდ - NASDAQ-ის გენერალური დირექტორი რობერტ გრეიფელდი NYSE–ის ხელმძღვანელობას შეხვდა. მართალია, ორივე მხარე ოფიციალური განცხადებებისგან თავს იკავებს, მაგრამ გრეიფელდმა შესაძლო გაერთიანების შესახებ უკვე საქმის კურსში ჩააყენა აშშ-ს ფასიანი ქაღალდების და აქციების კომისიის თავჯდომარე უილიამს დონალდსონი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის საფონდო ბაზარი ორი უმსხვილესი ბირჟის გაერთიანებით რადიკალურად შეიცვლება.

ეს ორი საფონდო ბირჟა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აშშ-ს და მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით უმსხვილესი საფონდო ბირჟებია. NYSE-ის ბირჟაზე დღესდღეობით - 6400 კომპანიის, ხოლო NASDAQ-ზე 3600 კომპანიის საფონდო ოპერაციები მიმდინარეობს. ორივე მათგანის ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა 63 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ორივე ბირჟის გაერთიანების სამომავლო პრინციპი ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის, რადგან მათი მუშაობის სტილი საკმაოდ განსხვავებულია. ერთი მათგანი - ძველი მეთოდებით, ხოლო მეორე - თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით აწარმოებს და აკონტროლებს ყიდვა-გაყიდვის პროცესს. გაერთიანების ერთ-ერთ წინაპირობად ის სირთულეებიც იქცა, რომელიც ამ ბოლო დროს კომპანიებს შეექმნათ. როგორც ოფიციალური ორგანოები აცხადებენ, ამგვარი გაერთიანებები საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა და შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს ამერიკის ეკონომიკაზე. ასე რომ, ამ გაერთიანებაში არა მარტო იუსტიციის სამინისტრო, არამედ შესაძლებელია, კონგრესი და ფედერალური სარეზერვო სისტემაც ჩაერიოს.

### მოკლედ

## სემეკ-მა "ფეროს" პრეტენზია არ გაიზიარა

ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ არ დააკმაყოფილა ს/ს "ფეროს" მოთხოვნა ელექტროენერგიის მრიცხველის სავარაუდო აჩქარების გამო ზედმეტად დარიცხული ელექტროენერგიის ჩამოწერის შესახებ.

"ფეროს" მტკიცებით, მრიცხველი, რომლითაც ქარხანას ელექტროენერგია მიეწოდებოდა, სწრაფად ბრუნავდა, ამიტომ ორგანიზაცია სემეკ-ისგან ზედმეტად გადახდილი 500 ათასი დოლარის ჩამოწერას ითხოვდა. სემეკ-მა "ფეროს" მოთხოვნის რეალობის გასარკვევად ოქტომბერში სპეციალური კომისია შექმნა.

სემეკი დაეყრდნო კომისიის დასკვნას, რომელმაც სერიოზული დარღვევები გამოავლინა. როგორც "ინტერ-პრესს" სემეკ-ში განუცხადეს, კომისიის დასკვნის თანახმად, სერიოზული დარღვევებია გამოვლენილი საბითუმო ბაზრის, "სახელმწიფო ელექტროსისტემის", "ფეროსა" და "საქსტანდარტის" თანამშრომლების მხრიდან, ამიტომ სემეკ-მა აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გაყალბების პროცესში მონაწილე პირთა მიმართ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება მოსთხოვა. "ფერო" აღნიშნული საკითხის გარკვევას ამჯერად უკვე სასამართლოს მეშვეობით შეეცდება. **ინტერ-პრესი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ფრაქცია "აღორძინების" წარმომადგენელი ელიზბარ ჯაველიძე საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მომზადებულ "საგადასახადო კოდექსში" შესატან ცვლილებებს, რაც მთელი რიგი გადასახადების გაუქმებას და ახლების შემოღებას ითვალისწინებს, მიუღებლად მიიჩნევს და მას დღევანდელი ხელისუფლების წინასაარჩევნო ფარსს უწოდებს. ჯაველიძე კატეგორიულად ეწინააღმდეგება მიწის გადასახადის გაუქმებას. "მიწათმოქმედების ქვეყანაში მიწის გადასახადის გაუქმება მიწის გაუფასურებას გამოიწვევს," - აღნიშნა ჯაველიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნულმა ბანკმა სპეციალური დებულება შეიმუშავა კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო რისკის რეგულირების მინიმალური სტანდარტების დაწესების მიზნით. ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს მიერ შემუშავებული "კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების" პროექტის თანახმად, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, ლიმიტები და გარკვეული შეზღუდვები დააწესოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,0450 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. სულ ვაჭრობაში ექვსი კომერციული ბანკი მონაწილეობდა - ორი გამყიდველის და ოთხი მყიდველის სტატუსით. დაიდო ხუთი საბირჟო გარიგება, რომელთა საერთო მოცულობამ 680 000 აშშ დოლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზრის შესაქმნელად აუცილებელი გარემოს მომზადება ეროვნულ ბანკში წელიწადნახევარია მიმდინარეობს. მეორადი ბაზრის ჩამოყალიბების მექანიზმები მომავალი წლიდან ამოქმედდება. ამის შესახებ "ინტერ-პრესს" საქართველოს ეროვნული ბანკის ფულადსაკრედიტო ოპერაციების სამმართველოს უფროსმა გუგა ხელაიამ განუცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციით, 2003 წლის პირველი დეკემბრისათვის შვილობილი კომპანია ცხრა კომერციულ ბანკს ჰქონდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საფონდო ბირჟაზე დღეს სავაჭროდ წარდგენილი 17 კომპანიის აქციებიდან მხოლოდ ორის აქციები გაიყიდა. სამი გარიგებით გაიყიდა სასტუმრო "აჭარისა" და "საქართველოს ბანკის" აქციები, რომელთა საერთო მოცულობამ – 4 443 ცალი, ღირებულებამ კი 7 019,4 ლარი შეადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ზამთრის გათბობის პროგრამის ფარგლებში მიღებული 3 მილიონი აშშ დოლარიდან 2 მილიონ დოლარს რუსეთისგან ელექტროენერგიის შესაძენად გამოიყენებს. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ავთანდილ დვალიშვილის განცხადებით, რუსული დენის იმპორტი ახალი წლის დადგომამდე დაიწყება, რაც გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას საშუალებას მისცემს, ახალი წლის დღეებში და არჩევნების დღეს 51 რაიონს 24-საათიანი ელექტრომომარაგება ჰქონდეს. **მედია-ნიუსი**

## შობა ერაყულად

შობა ერაყელმა მებრძოლებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს. ბაღდადში რამდენიმე ათეული რაკეტა ისროლეს, რომლებიც სასტუმროებს, საელჩოებს და ამერიკის საოკუპაციო ჯარების შტაბ-ბინას მოხვდა.

სადამის დაპატიმრების შემდეგ, ეს ყველაზე უფრო მსხვილი თავდასხმა იყო. მას წინ უსწრებდა ქალაქში პროკლამაციების გავრცელება, რომლებშიც ერაყელებს მოუწოდებდნენ, შინ დარჩენილიყვნენ.

ტერაქტების სერიის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის - ათი ერაყელი და ერთი ამერიკელი.

ერაყელმა მებრძოლებმა მიზანში ირანის, თურქეთისა და გერმანიის საელჩოები ამოიღეს. საბედნიეროდ, მათ მიერ ნასროლმა რაკეტებმა მხოლოდ ფანჯრის მინები ჩაამსხვრია.

რაკეტები ესროლეს, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასა და საოკუპაციო ჯარების შტაბ-ბინას, თუმცა რაკეტები მიზანს ასცდა და ახლომდებარე ქუჩებში რამდენიმე ადამიანი შეიწირა.

რაკეტები მოხვდა ბაღდადის ორ სასტუმროს: შერატონსა და ჰაიატსაც, თუმცა ორივეში მყოფი ადამიანები უვნებელნი გადარჩნენ.

კოალიციის სარდლობა მომხდარს სადამის მომხრეებსა და უცხოელ ტერორისტებს აბრალებს.

## გაზის აფეთქება ჩინეთში

191 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ათასი მოიწამლა ჩინეთში ბუნებრივი გაზის საბადოს აფეთქების შედეგად. მთავრობის განკარგულებით, ევაკუირებულია საბადოს ახლომახლო მცხოვრები 16 ათასი ადამიანი.

აფეთქება სამშაბათს მოხდა, მაგრამ მის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ გუშინ გავრცელდა. ოფიციალური პირების ცნობით, აფეთქება საბადოს ბურღვის დროს მოხდა.

მოწამლულთა ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია.

მოძველებული ტექნოლოგიების გამო, სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები ჩინეთში ძალიან ხშირად ხდება. მხოლოდ მიმდინარე წლის ცხრა თვეში ამ მიზეზით 96500 ადამიანი დაიღუპა, – იუწყება “როიტერი”.

## ტერაქტი ისრაელში

გუშინ ისრაელსა და პალესტინაში ერთმანეთის მიყოლებით ორი თავდასხმა მოხდა. ჯერ ებრაულმა შვეულმფრენებმა გაუხსნეს ცეცხლი მანქანას, რომელშიც პალესტინელები იყვნენ. საპასუხოდ, პალესტინელმა კამიკაძემ თელ-ავივში თავი აიფეთქა და სამი მშვიდობიანი ებრაელი მოკლა.

ისრაელის ცნობით, დაცხრილულ მანქანაში პალესტინური რადიკალური ორგანიზაციის წარმომადგენელი იჯდა, რომელიც ისრაელის წინააღმდეგ ტერაქტს ამზადებდა.

რაც შეეხება თელ-ავივში განხორციელ ტერაქტს, იგი საღამოს 6 საათზე, გეჰას რაიონში მოხდა. შედეგად, სამი ადამიანი დაიღუპა და 12 დაიჭრა, მათ შორის - რამდენიმე სერიოზულად.

# რომის პაპი მსოფლიოს მშვიდობას უსურვებს

დასავლეთის ქრისტიანულმა სამყარომ გუშინ შობის დღესასწაული აღნიშნა. კათოლიკური ეკლესიის უმთავრესი საზეიმო ცერემონია გუშინ, ვატიკანის წმინდა პეტრეს მოედანზე გაიმართა. შობის საღამოს დადგომა მოედანზე შეკრებილ მრევლს რომის პაპმა, იოანე პავლე მეორემ მიულოცა და საშობაო მესაზე ტრადიციული მშვიდობის სანთელი აანთო. გუშინვე მან ტრადიციული საშობაო მიმართვა გააკეთა.

ვატიკანში, წმ. პეტრეს ეკლესიასთან, უსაფრთხოების საგანგებო ზომები მიიღეს, რადგან, იტალიის ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ტერორისტები საშობაო აფეთქებებს გეგმავდნენ. ამიტომ, სამართალდამცველებმა მთელი ღამით გადაკეტეს ბაზილიკასთან მისასვლელი გზები. თუმცა, ამას ათასობით მლოცველისათვის ხელი არ შეუშლია, საშობაო ღონისძიებებში მონაწილეობა მიეღოთ.

რომის პაპის მიმართვის ძირითადი თემა მშვიდობა და დედამიწის ზურგზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება იყო. “ჯერაც ბევრი სისხლი იღვრება მიწაზე, ძალიან ხშირია ძალადობა და კონფლიქტი,” - აღნიშნა იოანე პავლე მეორემ. პონტიფიკი შეეხო მსოფლიოს ცხელ წერტილებს და სინანული გამოთქვა, რომ



ტრადიციული საშობაო მესა ვატიკანის წმინდა პეტრეს მოედანზე.

წმინდა მიწაზე დაპირისპირების აღმოფხვრა არ ხერხდება. რომის პაპი შეეხო ერაყის თემასა და ტერორიზმს. “გვიხსენ ჩვენ მესამე ათასწლეულის უდიდესი ბოროტებისაგან, გვიხსენ ჩვენ ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტებისაგან,” - ნათქვამია პაპის ლოცვაში. იოანე პავლე მეორეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საშობაო ღონისძიებების ხანგრძლივობა ოდნავ შემცირებული იყო, თუმცა საშობაო მილოცვა 83 წლის პონტიფიკმა, ტრადიციულად, 63 ენაზე შეასრულა.

# უკრაინის ოპოზიცია: „დახმარებისათვის მოქალაქეებს მივმართავთ”

პირველი გვერდიდან

როგორც ცნობილია, უმაღლესმა რადამ ხმათა უმრავლესობით მიიღო კანონპროექტი, რომლის თანახმადაც 2006 წლიდან ქვეყნის პრეზიდენტს, ხალხის ნაცვლად, პარლამენტი აირჩევს. 24 დეკემბერს ოპოზიციის სადღეღამისო პროტესტმა მარცხი განიცადა. უმრავლესობას მხარი აქამდე ოპოზიციად ცნობილმა კომუნისტებმაც აუბეს, რამაც გაერთიანებული ოპოზიცის ლიდერების რისხვა გამოიწვია.

**“ის, რაც პარლამენტში მოხდა, დანაშაულია, რასაც სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს. ეს არის დანაშაული სახელმწიფოს და უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ,”** - განაცხადა “ჩვენი უკრაინას” ლიდერმა ვიქტორ იუშენკომ, რომელიც დასავლელი ექსპერტების მიერ ქვეყნის მომავალ პრეზიდენტად განიხილება.

მან უმაღლეს რადაში ჩატარებულ სახელდახელო კენჭისყრას “შოუ” უწოდა, სადაც ყველანაირი სამართლებრივი ნორმა და რეგლამენტი დარღვეული იყო. **“ამის შემდეგ უკვე ცხადია, თუ როგორი სცენარით ჩატარდება პრეზიდენტის არჩევნები მომავალ წელს. კენჭისყრის დროს არ იყო დაცული არანაირი ლეგიტიმური პროცესი, არ არსებობდა არანაირი კანონიერი ქმედება. უმრავლესობის უდიდესმა ნაწილმა საერთოდ არ იცის, თუ რა დოკუმენტს მისცა ხმა და ვერ აცნობიერებს, თუ რა საფრთხეს უქმნის ეს პროცესი სახელმწიფოს,”** - დასძინა იუშენკომ.

მან ასევე აცნობა ჟურნალისტებს, რომ ოპოზიციას ხელთ აქვს დეპუტატთა ხელმოწერების სია, სადაც თითქოს მათ ხმა მისცეს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, მაგრამ სია მხოლოდ 219 ხელმოწერისგან შედგება, მათგან ხუთი კი თვალნათლად ფალსიფიცირებულია. იუშენკომ ჟურნალისტების და საზოგადოების ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ ე.წ. კენჭისყრის დროს დარბაზში არ იმყოფებოდნენ ხმის დამთვლელი კომისიის წევრები, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რათა საბოლოო ოქმში მათი გვარებიც ჩაეწერათ. ამასთანავე, სიაში შეტანილია ერთი დეპუტატი – სუხოი, რომელიც რამდენიმე დღეა, ზაპოროჟიეში იმყოფება და იქ საავადმყოფოში გადის მკურნალობას.

### კომუნისტების საქციელი - ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს

24 დეკემბრამდე უკრაინელ კომუნისტებს შეურიგებელი ოპოზიციის იარლიყი ჰქონდათ. 24 დეკემბრის შემდეგ კი ცხადად გამოჩნდა მათი ნამდვილი სახე. **“მე მიჭირს იმ ფაქტის კომენტირება, თუ რატომ აძლევს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ხელისუფლებას სამ ოლიგარქიულ კლანს,”** - განაცხადა პრესკონფერენციაზე გაერთიანებული ოპოზიცის ერთ-ერთმა ლიდერმა იულია ტიმოშენკომ. თუმცა, ამავე დროს, მან გამოთქვა იმედი, რომ კომპარტიის წევრთა დიდი ნაწილი პარტიის ხელმძღვანელობის პოზიციას არ იზიარებს. ამავე მოსაზრებას გამოთქვამს სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი იოსიფ ვინსკი. ცხადია, ხელისუფლების რიგებში კომპარტიის გადაბარება ოპოზიციისათვის დიდი დანაკარგი იქნება, რადგანაც საბჭოთა კავშირის მემკვიდრეს ფაქტობრივად უკრაინაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ელექტორატი ჰყავთ.

### ოპოზიცია დახმარებისათვის ხალხს მიმართავს

**“უკრაინა საკონსტიტუციო გადატრიალების ფაქტის წინაშე დგას. ოლიგარქიულმა კლანებმა გაააქტიურეს თავიანთი მცდელობები ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით. 24 დეკემბერს სახელისუფლებო უმრავლესობამ და კომუნისტებმა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცესი იმ პროცედურების დარღვევით დაიწყეს, რომელიც თავად კონსტიტუციით არის დაწესებული,”** - ნათქვამია გაერთიანებული ოპოზიციის ერთობლივ განცხადებაში. აქვე ოპოზიცია საზოგადოებას მოუწოდებს, ხელისუფლების, ოლიგარქიული კლანების და კომუნისტების ერთობლივ მოქმედებას სამართლებრივი შეფასება მისცენ. **“ჩვენი უკრაინის,” “სოციალისტური პარტიის” და “იულია ტიმოშენკოს ბლოკის” ფრაქციების ოპოზიციონერი დეპუტატები გააგრძელებენ მოთხოვნას, რათა პრეზიდენტის არჩევის უფლება მხოლოდ ხალხს ჰქონდეს. ამასთანავე, ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ამომრჩევლის ნებით და დახმარებისათვის უკრაინის მოქალაქეებს მივმართავთ,”** – აი, ასე სრულდება გაერთიანებული ოპოზიციის მიმართვა ხალხისადმი.

მართალია, აქ არავითარ კონკრეტულ სამომავლო გეგმაზე საუბარი არ არის, მაგრამ უკვე იგრძნობა ის პრინციპული ტონი, რითაც უკრაინის გაერთიანებული ოპოზიცია მომავალში იხელმძღვანელებს.

### საქართველო მონაგონი იქნება.....

**“დღეს მე ხშირად მეკითხებიან, შესაძლებელია თუ არა უკრაინაში “ქართული ვარიანტის” მიხედვით პოლიტიკური მოვლენების განვითარება. მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ქართული ვარიანტი - ეს არის ყველაზე რბილი და ყველაზე ხავერდოვანი ყველა იმ ვარიანტს შორის, რაც უკრაინაშია მოსალოდნელი,”** - აცხადებს იულია ტიმოშენკო და ამით უკვე ყველაფერი ნათელი ხდება. უკრაინის ოპოზიცია უკან დახევას არ აპირებს.

**“ჩვენ, დემოკრატიული ოპოზიციური ძალები, მივმართავთ უკრაინის მოქალაქეებს თხოვნით, რათა დაგვიჭირონ მხარი და მონაწილეობა მიიღონ საპროტესტო აქციებში. ხელისუფლებამ მშვენივრად გაიგო და გააცნობიერა, რომ პირდაპირ და საყოველთაო არჩევნებში მის არც ერთ წარმომადგენელს არა აქვს გამარჯვების მცირედი შანსიც კი. ამიტომაც ისინი მზად არიან, რათა ხალხს წაართვან ხმის უფლება, არჩევანის გაკეთების უფლება და მზად არიან, ამით შეურაცხყონ სახელმწიფო. მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ. არ დავუშვებთ, რომ მოქალაქეებს პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის უფლება წაართვან,”** - აცხადებს ტიმოშენკო.

და ბოლოს:

**“ჩვენ გაერთიანებული ოპოზიცია სპეციალური დანიშნულების რაზმად უნდა ვაქციოთ, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრავს ვადებს და წინასწარ დამტკიცებული გეგმით შეასრულებს ამოცანას - უკრაინაში დემოკრატიის გადარჩენას.”**

ამდენად, უკვე ყველაფერი ნათელია. ოპოზიცია კუჩმას მიერ ხელისუფლების უზურპირებას არ დაუშვებს. მას ამის რესურსები, ცხადია, გააჩნია. პირველ რიგში, ეს რესურსია ხალხის მხარდაჭერაა. მეორე მხრივ, აუცილებელია ადეკვატური საერთაშორისო რეაქცია, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდება, თუკი უკრაინელი ხალხი თავად მონდომებას საკუთარ ბედზე ზრუნვისას. ასე იყო საქართველოში და ასე იქნება უკრაინაშიც.

# სიკვდილს გადარჩენილი მუშარაფი ძალაუფლების შეზღუდვას თანხმდება

პაკისტანის პრეზიდენტი გუშინ თავდასხმას გადაურჩა. პაკისტანის ქალაქ რავალპინდიში პრეზიდენტის კორტეჟის სიახლოვეს ორი ძლიერი აფეთქება მოხდა. დაუზუსტებელი მონაცემებით, 14 ადამიანი დაიღუპა და 18 დაიჭრა. თავად მუშარაფი და მისი თანმხლებნი არ დაზიანებულან. აღსანიშნავია, რომ ტერაქტი სწორედ იმ ადგილას მოხდა, სადაც პრეზიდენტის კორტეჟს 14 დეკემბერს ერთხელ უკვე დაესხნენ თავს. ქალაქი რავალპინდი დედაქალაქ ისლამაბადთან ახლოს მდებარეობს და ამ გზაზე პრეზიდენტი ხშირად დადის. აფეთქებების უკან ისლამისტური დაჯგუფებების ხელი იკვეთება.



მუშარაფი მუნდირს გაიხდის.

გუშინდელი აფეთქება, სავარაუდოდ, ხელს არ შეუშლის ქვეყნის პარლამენტში დღეს დაგეგმილ საკონსტიტუციო ცვლილებებს. პაკისტანის პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა პირობა დადო, რომ მომავალი წლიდან უარს იტყვის სამხედრო თანამდებობაზე და ქვეყნის სამოქალაქო მეთაურობით დაკმაყოფილდება. იგი ასევე თანახმაა, უარი თქვას იმ საგანგებო უფლებებზე, რომელიც 1999 წელს, სამხედრო გადატრიალების გზით ჩაიგდო ხელში. მუშარაფმა 2002 წელს რეფერენდუმზე 5 წლით გაიგრძელა პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის ვადა. მას შეუძლია, ერთპიროვნულად დანიშნოს სამხედრო მეთაურები, დააკომპლექტოს მთავრობა და დაითხოვოს ეროვნული კრება. მის კონტროლქვეშ მყოფ უშიშროების საბჭოს უფლება აქვს, მთავრობის მუშაობაში ჩაერიოს. ოპოზიციასთან შეთანხმებით, ამიერიდან მუშარაფმა ეს ნაბიჯები კანონმდებლებს უნდა შეუთანხმოს. 2005 წლის ბოლოს იგი სამხედრო მუნდირსაც გაიხდის.

მუშარაფის დათმობა კომპრომისს წარმოადგენს ქვეყნის პარლამენტში გავლენიანი ისლამური კოალიციის მიმართ, რომელიც აქამდე საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას ბოიკოტს უცხადებდა. ახლა კი ეს ძალა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მომხრეა. ბიბისი-ს ცნობით, მუშარაფმა პაკისტანის მოსახლეობისადმი პირდაპირ სატელევიზიო მიმართვაში აღნიშნულ გადაწყვეტილებას “დემოკრატიისათვის სასარგებლო” უწოდა”. “მე თავად ვამბობდი, რომ სამხედროფორმიანი პრეზიდენტი დემოკრატიული არაა, თუმცა ეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით იყო განპირობებული. ახლა კი მე გადავდგი ეს ნაბიჯი, რაც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლიტიკურ კონსენსუსს,” – თქვა მუშარაფმა.

“ამ ნაბიჯით პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ იგი ყოველთვის დემოკრატიის მომხრე იყო,” - აღნიშნა ქვეყნის ინფორმაციის მინისტრმა შეიხ რაშიდ აჰმედმა. თუმცა, საეჭვოა, მუშარაფს ეს გადაწყვეტილება თავისით, საგარეო და საშინაო ზეწოლის გარეშე მიეღო. მუშარაფის პოპულარობა პაკისტანში მას მერე შეირყა, რაც სამხედრო გადატრიალებიდან ოთხი წლის თავზე ქვეყანაში მოსახლეობამ სასიკეთო ცვლილებები ვერ დაინახა. პაკისტანის პრეზიდენტი ავღანეთის სამხედრო კამპანიაში იძულებული იყო, აშშ-სთვის დაეჭირა მხარი, რითაც გავლენიანი ისლამისტური დაჯგუფებები გადაიმტერა, რისი დასტურიც პრეზიდენტზე ბოლო დროს გახშირებული თავდასხმებია.

მუშარაფს, ალბათ, ამ ტერაქტების უკან მდგომ ძალებთან გარიგების იმედი ნაკლებად აქვს. პირიქით, მან აშშ-ს აღუთქვა, რომ “ალ-ქაიდასთან” დაკავშირებულ დაჯგუფებებს უკომპრომისოდ შეებრძოლება. მისეული რეფორმების მთავარი სამიზნე ასევე ისლამური, თუმცა მხოლოდ პოლიტიკურად აქტიური ძალები არიან. ისლამურ კოალიციასთან მოლაპარაკებებით მიღწეულ შეთანხმებას პაკისტანის პარლამენტი დღეს მოიწონებს. პარლამენტი, რომლის მუშაობაც მხოლოდ შარშან გახდა შესაძლებელი, მომავალ წელს პრეზიდენტისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოტანას აპირებდა. ეს პროცედურა, ფორმალურად, შეიძლება შედგეს კიდეც, მაგრამ ახლა წამყვანი ისლამური კოალიცია ამბობს, რომ ისინი მუშარაფის გადადგომას აღარ მოითხოვენ. კოალიციის ლიდერები შეთანხმებას მიესალმებიან და მას ქვეყნის განვითარებისათვის ისტორიულს უწოდებენ. “ჩვენს ქვეყანაში პირველად ხდება, რომ სამხედრო მმართველი საკუთარი ნებით თანხმდება ძალაუფლების შეკვეცაზე,” - ამბობს ისლამური კოალიციის ლიდერი ლაქუთ ბალოჩი.

მუშარაფზე, სავარაუდოდ, საგარეო ზეწოლამაც იმოქმედა. ერთი მხრივ, რეგიონში იზრდება აშშ-ს ინტერესები და ვაშინგტონს ურჩევნია, მისი მოკავშირე რეჟიმი, სულ მცირე, ფორმალურად მაინც იყოს დემოკრატიული. მეორე მხრივ, ნოემბერში ნიგერიაში გამართულ დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის სამიტზე პაკისტანმა ამაოდ სცადა, თანამეგობრობაში საკუთარი ადგილი დაებრუნებინა. თანამეგობრობის წევრის სტატუსი პაკისტანს, სწორედ 1999 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, დროებით შეუწყვიტეს. თანამეგობრობა დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონიების ფორმალური გაერთიანებაა, სადაც ყოფნა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის ხშირად ეკონომიკურად და პოლიტიკურადაა მომგებიანი. პაკისტანში იმედოვნებენ, რომ დაგეგმილი ცვლილებები აღნიშნული პრობლემის მოგვარებასაც წაადგება.

დასავლეთში არ არსებობს ერთგვაროვანი პოზიცია პაკისტანის მსგავსი ქვეყნების დემოკრატიზაციის შესახებ, რადგან შიშობენ, რომ რეჟიმის გავლენის შემცირებით, თავდაპირველად, რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები ისარგებლებენ. ამას გუშინდელი აფეთქებაც ადასტურებს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის ფართო მასების ჩართვის გარეშე პოლიტიკური სისტემის ხანგრძლივი სტაბილიზაცია ვერ მიიღწევა. ამდენად, პაკისტანის ნაბიჯები დემოკრატიისაკენ მაინც მისასალმებელია. სკეპტიციზმს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ თავისი არსებობის 55 წლის მანძილზე პაკისტანი რამდენჯერმე უკვე შეუდგა დემოკრატიზაციის გზას, თუმცა ეს მსვლელობა ყოველთვის სამხედრო გადატრიალებით წყდებოდა.

# სერბიაში გადამწყვეტი არჩევნები ახლოვდება

სერბ დემოკრატებს, რომლებმაც სამი წლის წინ მილოშევიჩი დაამხეს, მომავალ კვირას დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ არცთუ ისე კარგად აქვთ საქმე.

პროგნოზების თანახმად, მართალია, დემოკრატიული ძალები ერთობლივად შეძლებენ უმრავლესობის მოპოვებას, მაგრამ, სავარაუდოდ, ულტრა-ნაციონალისტური "რადიკალური პარტია" ყველაზე მეტი ხმის მოგროვებას შეძლებს. რადიკალების ლიდერი ვოისლავ შეშელი ჰააგის ციხეში ზის და იქიდან ხელმძღვანელობს საარჩევნო კამპანიას. მასთან ერთად, პარლამენტში არჩევის შანსი ამავე პარტიიდან აქვს მის ყოფილ უფროსს, სლობოდან მილოშევიჩს.

რადიკალებს იმედი აქვთ, რომ მოსახლეობა, რომელიც უკმაყოფილოა იმით, რომ ახალმა მთავრობამ სიღარიბის დაძლევა და სწრაფი ეკონომიკური პროგრესის მიღწევა ვერ შეძლო, მთავრობას ზურგს შეაქცევს და ისევ უკვდავ ნაციონალისტურ იდეებს აიტაცებს. ციფრებით სერბიული სიღარიბე ასე გამოიხატება: საშუალო ხელფასი "სულ რაღაც" 300 დოლარს შეადგენს და მოსახლეობის 30 პროცენტი უმუშევარია.

რეფორმატორები, რომლებიც მილოშევიჩის დროს ერთიან ფრონტს წარმოადგენდნენ, დღეს რამდენიმე პარტიად დაიშალნენ და ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა სულ უფრო უჭირთ. ეს კი რადიკალური რეფორმების გატარებას ართულებს.

დემოკრატიულ პარტიებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ სერბიისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, კერძოდ, უნდა გაგრძელდეს თუ არა ჰააგის ტრიბუნალთან თანამშრომლობა და უნდა მიეცეს თუ არა დამოუკიდებლობა ჩერნოგორიას.

სოციოლოგების თქმით, რადიკალური პარტია, სავარაუდოდ, ხმების ერთ მეოთხედს მოიპოვებს. მართალია, ისინი ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, მაგრამ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე მაინც სერიოზულ გავლენას იქონიებენ.



ჯინჯიჩის მკვლელობასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი ამჟამად მიმდინარეობს.

ყველაზე უფრო წინააღმდეგობრივი საკითხი ისევ ჰააგის ტრიბუნალისათვის სერბი სამხედრო დამნაშავეების გადაცემაა. ჰააგასთან თანამშრომლობა დასავლური დახმარების მიღების ერთადერთი იმედია, მაგრამ, ამავე დროს, ხალხში პოპულარობის დაკარგვის ყველაზე სწრაფი და უეჭველი გზაცაა.

"მხოლოდ სერბეთის რადიკალური პარტია იძლევა იმის გარანტიას, რომ ჰააგაში არც ერთი სერბი აღარ მოხვდება," – რადიკალური პარტიის მოქმედი თავმჯდომარის (ნამდვილი, როგორც ვთქვით, ციხეში ზის) ამ მოწოდებას ამომრჩევლები ოვაციით ხვდებიან.

იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი კოშტუნიცაც იძულებულია, ჰააგის წინააღმდეგ გამოვიდეს და მას "სერბიის სტაბილურობისათვის საფრთხე" უწოდოს.

ახალი მთავრობა უფრო ნაციონალისტური იქნება, ვიდრე წინა, – ამბობენ დასავლელი დიპლომატები.

რეფორმები სერბეთში ჯინჯიჩის მკვლელობის შემდეგ შეჩერდა. მკვლელობასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი ამჟამად მიმდინარეობს. ჯინჯიჩის მკვლელობა, როგორც ჩანს, ელიტარული საპოლიციო ქვედანაყოფის "წითელი ბერეტების" ნახელავია. ეს ქვედანაყოფი კრიმინალურ სამყაროსთან კავშირებითაც იყო ცნობილი.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი სერბიაში აცხადებს, რომ ახალმა მთავრობამ ბევრი რამის მიღწევა შეძლო და, ფაქტობრივად, გაკოტრებული სახელმწიფო კრახისაგან იხსნა. "საქმეები ახლა გაცილებით უკეთაა, ვიდრე სამი წლის წინ, მაგრამ აბა სცადეთ, და იპოვეთ ვინმე, ვინც ამას ხმამაღლა იტყვის," – დასძენს იგი.

# ნუ იყიდით გოჭს და ინდაურს ბაზრის გარეთ

### სანიტარული ინსპექცია გვაფრთხილებს

*ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიებზე ანტისანიტარიული მდგომარეობა გაუარესდა. ამასთან, შეუმოწმებელი პროდუქტების გაყიდვამაც იმატა. სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა გასულ კვირას კუსტარული წესით შებოლილი 108 კილოგრამი სიგა და სახლში დამზადებული კონსერვები ამოიღო. შესაბამისი სამსახურები თხოვნით მიმართავენ მოსახლეობას, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიებზე საკვები პროდუქტების შეძენისაგან თავი შეიკავონ.*

თამარ დვალი

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონს ანტისანიტარიის პრობლემა ყველაზე მეტად აწუხებს. იმის გასარკვევად, ტარდება თუ არა კონკრეტული ღონისძიებები პრობლემის მოსაგვარებლად, თბილისის მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიის სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამმართველოს უფროსს ზაზა ჩეჩელაშვილს დავუკავშირდით. მისი თქმით, ანტისანიტარიული მდგომარების გამო, გასულ კვირას თბილისში რვა ბაზრისა და ბაზრობის ადმინისტრაცია იქნა დაჯარიმებული. ასევე, დაჯარიმდნენ ინდივიდუალური მეწარმეებიც. **"ახალი წლის მოახლოებასთან ერთად რეიდებს სისტემატური ხასიათი მივეცით. რეიდის მიზანია სარეალიზაციო ქსელიდან კუსტარულად დამზადებული კონსერვებისა და შებოლილი თევზის ამოღება. შეუმოწმებელი თევზი სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოდის, რომლის ვარგისიანობაზეც პასუხისმგებლობას არავინ იღებს. ერთი კვირის განმავლობაში 108 კილოგრამი კუსტარულად შებოლილი სიგა ამოვიღეთ და გავანადგურეთ. ბაზრის ტერიტორიაზე ლაბორატორია 24 საათის განმავლობაში მუშაობს და, თითქმის, ყველა პროდუქტი მოწმდება. მის გარეთ კონტროლი კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მინდა, მოსახლეობა გავაფრთხილო, რომ ბაზრის გარეთ ნუ შეიძენენ ხორცეულს და რძის ნაწარმს. სხვა დროს ასეთი პროდუქტის გარეთ გაყიდვას ნაკლებად ახერხებენ, მაგრამ საახალწლოდ ეს ტერიტორია გოჭებით და ინდაურებით ივსება და კონტროლიც შეუძლებელი ხდება,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ჩეჩელაშვილმა. მისივე თქმით, ბოლო პერიოდში უკვე სამჯერ მოხდა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის გადაკეტვა და საფუძვლიანი დასუფთავება; ეს ტერიტორია საღამოობითაც ყოველდღიურად სუფთავდება. თუმცა, დღის განმავლობაში ამ ადგილს სისუფთავის აღარაფერი ეტყობა. ჩეჩელაშვილი გვპირდება, რომ საახალწლოდ პროდუქტზე კონტროლი გამკაცრდება და ანტისანიტარიასთან ბრძოლაც გაძლიერდება.

*თვალსაზრისი*

# კითხვები მეანობის სახელმწიფო პროგრამის გარშემო

*მეანობის სახელმწიფო პროგრამის გარშემო მსჯელობა გრძელდება. აქტიური მეან-გინეკოლოგები ყველანაირად ცდილობენ, ახალი ხელისუფლების ყურადღება ამ პრობლემისკენ მიმართონ და მნიშვნელოვან ცვლილებებსაც მიაღწიონ.*

კახა ლაზარეთელი
*მეან-გინეკოლოგი*

შობადობა და მშობიარეთა მომსახურება ყველგან სახელმწიფო ზრუნვის საგანს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ უარი თქვა უფასო მედიცინაზე. მედიცინის დაფინანსების ზოგადი ფორმა შეიცვალა დარგობრივი ანუ პროგრამული დაფინანსებით. დაიწყო ჯანდაცვის ობიექტების პრივატიზაცია და ამ სფეროში გაჩნდა ახალი, კერძო, კომერციული სტრუქტურები.

შეიქმნა უსაფრთხო დედობის პროგრამა და დაფინანსდა სამშობიარო სახლები, სადაც, სახელმწიფოს პარალელურად, მოქმედებდა სოციალისტური წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული არალეგალური გადასახადი (ადრე მას ქრთამს ეძახდნენ). ამ პერიოდში აქტიურად იხსნებოდა ახალი, კერძო სამშობიარო სახლები, სადაც თავი მოიყარეს საუკეთესო სპეციალისტებმა. მათ პაციენტებს შეუქმნეს კომფორტი და დაიწყო გამალებული კონკურენცია. ერთ მხარეს იდგნენ უსახური "სოციალისტური გიგანტები", რომელთაც მხარს უმაგრებდათ სახელმწიფო დაფინანსება და იაფფასიანი (იგულისხმება არალეგალურად გადასახდელი თანხა), ყოველგვარ კომფორტს მოკლებული მომსახურება. მეორე მხარეს იდგნენ ახალგაზრდა მეწარმეთა ინიციატივით შექმნილი, კერძო სამშობიარო სახლები, რომლებიც თავიდანვე მუშაობდნენ მხოლოდ ლეგალურად. კონკურენციაში უპირატესობა ახალმა კერძო სტრუქტურებმა მოიპოვეს, მაგრამ ვითარება თანდათან შეიცვალა "სოციალისტური გიგანტების" სასარგებლოდ (1998-1999 წლები). ამას ქვეყანაში ობიექტური მიზეზები ჰქონდა - კერძოდ, უმძიმესი საგადასახადო კოდექსი, რომელიც კლავდა ლეგალურ ბიზნესს. გაცილებით კომფორტული იყო სახელმწიფო დაფინანსებაზე ყოფნა და ფულის "ლევად" კეთება. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სამშობიაროს უკან მოიაზრებოდა კონკრეტული "კრიშა", რომლებთან ჭიდილი კერძო ბიზნესისათვის შეუძლებელი გახდა. მთელი ადმინისტრაციული რესურსი მოქმედებდა ბაზრის "გიგანტების" სასარგებლოდ. ამ ფონზე დაიწყო მათი მოდერნიზაცია - ჰუმანიტარული აპარატურითა და ინვენტარით განახლება, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. მოკლედ, ამ "კრიშიანმა" სამშობიარო სახლებმა დაიწყეს დიდი ფულის ტრიალი: ერთი მხრივ, სახელმწიფო დაფინანსება და, მეორე მხრივ, დემპინგური ფასები (არალეგალური) უზრუნველყოფდნენ ბაზრის მონოპოლიზაციას, ბაზრის დაპყრობა კი, თავისთავად, ზრდიდა როგორც ლეგალურ ანუ სახელმწიფო შემოსავალს, ისე არალეგალურ - შავ ფულს. ისინი გახდნენ წარმატებული ბიზნესმენები. ჯერ სახელმწიფო სამშობიარო სახლებში გახსნეს კერძო სტრუქტურები, შემდეგ მოახდინეს მთლიანად ამ დაწესებულებათა პრივატიზება.

იმისათვის, რომ ასეთმა "წარმატებულმა" "კრიშიანმა" სამშობიარო სახლებმა შეინარჩუნონ ბაზარზე პრივილეგირებული მდგომარეობა, მოიგონეს სახელმწიფო დაფინანსების მუდმივად შენარჩუნების გზაც. ამისათვის სახელმწიფომ (უფრო სწორედ, "კრიშებმა") მოიგონა ტენდერის ჩატარების ისეთი სქემა, რაც უზრუნველყოფდა მათ წარმატებულ არსებობას მარადიულად.

სქემა კი საკმაოდ მარტივი იყო: სახელმწიფო ყოველწლიურად აცხადებს ტენდერს მათთვის, ვისაც სურს სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა. ოღონდ, ტენდერში გაიმარჯვებს ის სამშობიარო სახლი, ვისაც დატვირთვა აქვს მეტი - ანუ ეს მუხლი მარტივად ამბობს, რომ თუ დაფინანსება არ გქონდა, დატვირთვა არა გაქვს. თუ დატვირთვა არა გაქვს, დაფინანსება არ გექნება. ასე შექმნეს ის მანკიერი წრე, რომლის გარღვევა თეორიულადაც კი შეუძლებელია.

ასე შეიქმნა თბილისში 3-4 სამშობიარო სახლისთვის "სათბური", რითაც მათ მოახერხეს მთელი ბაზრის 90%-ის დაპატრონება.

ამიტომ მე ვუსვამ შეკითხვებს სახელმწიფო მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას, ფინანსთა მინისტრს ბატონ ზურაბ ნოღაიდელს, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ბატონ ამირან გამყრელიძეს:

1. უნდა გაუქმდეს თუ არა ტენდერის შედეგები?
2. სახელმწიფომ უარი უნდა თქვას თუ არა იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რასაც, ყველამ იცის, რომ ისედაც ვერ შეასრულებს?
3. უნდა გაჯანსაღდეს თუ არა ბიზნესგარემო?
4. უნდა გაუქმდეს თუ არა ასეთი ტენდერების მავნე პრაქტიკა?

მდგომარეობა ადვილად შეიძლება შეიცვალოს უკეთესობისაკენ. ამისათვის საჭიროა:

1. გაუქმდეს ტენდერის შედეგები.
2. სახელმწიფომ უარი თქვას ამ პროგრამის 100%-ით დაფინანსებაზე. შეირჩეს მოსახლეობის უკიდურესად გაჭირვებული ფენის 10% - ლტოლვილები, უმუშევრები, მარტოხელა დედები და ა.შ. და სახელმწიფომ ამ ეტაპზე მხოლოდ მათზე აიღოს ზრუნვის ვალდებულება.
3. შეირჩეს ერთადერთი სამშობიარო, რომელიც მოემსახურება აღნიშნულ კონტიგენტს. მას უნდა აეკრძალოს ყოველგვარი კომერციული საქმიანობა.

უფრო სამართლიანი კი იქნება - თუ ადამიანს პოლისი აქვს, იმშობიაროს იქ, სადაც მას უნდა. პოლისით განსაზღვრული თანხა იქ გადაიხადოს, სადაც მას სურს.

იბადება ერთი შეკითხვაც - პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მიმართ:

1. ირღვევა თუ არა კონსტიტუციით მინიჭებული ადამიანის არჩევანის თავისუფლება მაშინ, როდესაც რაღაც სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ადამიანს ვაიძულებთ, უნდა თუ არა წავიდეს ამა თუ იმ კლინიკაში და საკუთარი ბედი მიანდოს იმას, ვისიც არ სჯერა?

# დაბოღმილი დირექტორი ბედნიერი ბავშვებით სავსე ინტერიერში

ნინო ცინცაძე

*5 წლის ლევან ნუცუბიძეს საახალწლო საჩუქრად დიდი სამხედრო ავტომატი და 30 ზომა "ბოტასი" უნდოდა, ეკა ლორთქიფანიძის საახალწლო ოცნება 39 ზომა "ბოტასი" იყო, ნინო ეშმაკურაშვილის კი 46 ზომა "კურტკა". ასეთი საახალწლო სურვილები დიღმის ბავშვთა სახლის 101 აღსაზრდელს ჰქონდა და ცხოვრებაში პირველად მათ ეს სურვილები შეუსრულდათ.*


"მწვანე ტალღა" ბავშვთა სახლში.

"მწვანე ტალღის" თანამშრომელს, ქეთი ბეჟიაშვილს რამოდენიმე ხნის წინ დიღმის ბავშვთა სახლიდან რეპორტაჟის წაყვანა მოუხდა. სამსახურში იქიდან ძალიან დათრგუნული დაბრუნდა და გადაწყვიტა ბავშვებისათვის რამე გაეკეთებინა. მალე რადიოს საშუალებით გავრცელდა მიმართვა: "ყველას, ვისაც მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დახმარება სურს!" მიმართვაში ეწერა, რომ ეს ბავშვთა სახლი სახელმწიფო დაფინანსებაზეა და უკვე ორი თვეა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკვებზე გამოყოფილი თანხები არ მიუღია. მიმართვაში ეწერა ისიც, რომ ბავშვებისათვის საყოფაცხოვრებო ნივთებზე გამოყოფილი ფული სეკვესტრში მოჰყვა.

ამ აქციას უამრავი ადამიანი გამოეხმაურა, მოჰქონდათ და მოჰქონდათ საჩუქრები, გროვდებოდა ფული. მიმართვის წერილი საქართველოში არსებულ ყველა მსხვილ ორგანიზაციაში დაიგზავნა. მას პირველად Coca-Cola გამოეხმაურა 40 სათამაშოთი ბიჭებისათვის, 40-ით კი გოგოებისათვის; ამას მოჰყვა Mercy Corb-ი, Petrofag-ი და ა.შ. პოლიტიკური პარტიებიდან "მწვანე ტალღელების" მიმართვას მხოლოდ ლეიბორისტული პარტია გამოეხმაურა. მათ საკუთარ თავზე 10 ბავშვის სურვილების შესრულება აიღეს. დღეს რადიოში ნევროლოგმა ბაკურ კოტეტიშვილმაც დარეკა და თქვა, რომ ყველა ბავშვს ჩაუტარებს ნევროლოგიურ შემოწმებას და მათთან მუდმივი კონტაქტი ექნება. დიღმის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების მიმართ ყველაზე დიდი ზრუნვა ისრაელის მოქალაქემ მერაბ ფიჩხაძემ გამოიჩინა. მან ასერთივე ბავშვს შეუგროვა საჩუქრები და ისრაელიდან გამოუგზავნა, თუმცა მისი ძღვენი, 250 კილოგრამი ტვირთი, ახლაც საბაჟოზეა "გაჭედილი" და არავინ იცის, რა ბედი ეწევა.

გუშინ რადიო "მწვანე ტალღის" ოფისი ლაპლანდიელი თოვლის ბაბუის სამუშაო "ოფისს" უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივი რადიოს ოფისს. დერეფანსა და ოთახებში სათამაშოებისა და ტანსაცმლის გროვები იდგა. საჩუქრები სასწრაფოდ ხარისხდებოდა, პოლიეთილენის პარკებში ლაგდებოდა და გვარ-სახელი ეწერებოდა. ბავშვთა სახლის ყველა ბინადარს საჩუქრად სწორედ ის უნდა მიეღო, რაც მან ინატრა. ბოლოს ასერთივე პარკი შეგროვდა და შეიკრა, ყველას სურვილი მაქსიმალურად ზუსტად იყო გათვალისწინებული. მხოლოდ ექვსი წლის პატარა გოგონას აკლდა მზის სათვალე და კიდევ ერთ გოგოს ჩექმა, 37 ზომა. სათვალე და ჩექმა "მწვანე ტალღის" თანამშრომლებმა იქვე, მეტრო "დელისთან" იყიდეს და საჩუქრებით გადატენილი მიკროავტობუსი დიღმისკენ გაემართა...

დიღომში საჩუქრებით დატვირთულ მანქანებს უზომოდ გახარებული ბავშვები და საშინლად გაბრაზებული, ძვირფას ქურქებში გამოწყობილი პედაგოგები და დირექტორი დახვდნენ. თურმე, საჩუქრების შეგროვებას "მწვანე ტალღის" თანამშრომლებმა დიდი დრო მოანდომეს და მასწავლებლებს ბავშვების დაკავება გაუჭირდათ. თანაც მეორე "ტრაგედიაც" მოხდა. დიერქციას კონცერტი ჰქონდა დაგეგმილი და ჩაეშალა. მაგრამ, აშკარად იგრძნობოდა, რომ დირექტორისა და მასწავლებლების უსიამოვნება სხვა მიზეზითაც იყო გამოწვეული. მათ არ მოსწონდათ, რომ საჩუქრები იქვე იხსნებოდა და ბავშვებს პირდაპირ ხელში გადაეცემოდა. საჩუქრების გადაცემის ცერემონიამ "პატარა ინციდენტის" გარეშე ვერ ჩაიარა. გაირკვა, რომ დიღმის ბავშვთა სახლის დირექტორს, ქალბატ ნონა მაღრაძეს დასასაჩუქრებელ ბავშვთა სიაში საკუთარი შვილიშვილიც ჩაუწერია. ამ ამბის "გასკდომა" ქალბატონ ნონას საშინლად არ ესიამოვნა. ბევრი იჩხუბა, თქვენი არაფერი მინდა, აქედან მოშორდითო და შემდეგ ცერემონიის დასრულებამდე წნევიანი და დაბოღმილი იჯდა.

სამაგიეროდ ბავშვები იყვნენ ძალიან ბედნიერები. 15 წლის კახა ნიკორაშვილი: **"ასეთი რაღაც ჩვენთან პირველად ხდება, ადრე ვილაცეები კი მოდიოდნენ და რაღაცეები მოჰქონდათ ხოლმე, მაგრამ ასე ყველას სურვილი არასდროს შესრულებულა. მასწავლებელმა კი გვითხრა, რაც გინდათ ის ჩაწერეთო, მაგრამ, მე ვიფიქრე, ორი რამე რომ ჩავწერო, მაინც არ მომიტანენ და ერთ თბილ "კურტკას" ჩავწერ-მეთქი. მერე, ფული ჩამივარდა, ავდექი და ეს "კურტკა" ვიყიდე, არ მქონდა იმედი... ახლა, აი, თბილი "კურტკაც" მომიტანეს და კიდევ სხვა რაღაცეებიც".** 14 წლის მარიკა მღებრიშვილმა საჩუქრად სათამაშო კომპიუტერიც მიიღო, 37 ზომა ბოტასიც და ბარბის სახლიც, მიუხედავად იმისა, რომ ბარბის სახლი მის სურვილებში არ ეწერა. როდესაც ბავშვებმა დაინახეს, რომ მათი ოცნებები ნამდვილად ასრულდა, უფრო გათამამდნენ და ახალ-ახალი სურვილების შეკვეთაც გაბედეს. "მწვანე ტალღის" თანამშრომლები მათ სურვილებს ისევ იწერდნენ იმ იმედით, რომ ადამიანების გულისხმიერება მხოლოდ საახალწლო გუნება-განწყობილებით არ შემოიფარგლება.

# ჯავრიშვილის სასწაულის მოლოდინში

ზაზა ფაჩუაშვილი

*თვალის მოკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა - "ოფთალმიჯში" გუშინ, პირველად საქართველოში, გაკეთდა კერატოკომპლექსის გადანერგვის უნიკალური ოპერაცია. შედეგის შესახებ ინფორმაცია, ჯერჯერობით, ნაადრევია, თუმცა ქირურგი და, რაც მთავარია პაციენტი იმთავითვე ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი.*


ქირურგი და მისი პაციენტი ოპერაციის წინ.

**"23 წელია, იმ იმედით ვცხოვრობდი, რომ როდესმე თვალები ამეხილებოდა. ახლა გაჩნდა ამის შესაძლებლობა და იმედი მაქვს, რომ ოპერაცია წარმატებული იქნება,"** – განაცხადა 47 წლის ბოლნისელმა რევაზ ლაზარიშვილმა, რომელმაც მხედველობა 1981 წელს დამწვრობით მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგა. მას მოსკოვში ოთხჯერ გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ მხოლოდ დროებითი შედეგი მიიღეს - რამდენიმე თვეში პაციენტმა მხედველობა ისევ დაკარგა. ეს ის შემთხვევა გამოდგა, როცა ჩვეულებრივი რქოვანის გადანერგვას აზრი არ ჰქონდა, ახალი მეთოდი კი მსოფლიოში ჯერ არ არსებობდა. რამდენიმე წლის წინათ კი მოსკოვის ფიოდოროვის თვალის კომპლექსში, "ოფთალმიჯის" ხელმძღვანელის გიორგი ჯავრიშვილის უშუალო მონაწილეობით, შეიმუშავეს ახალი მეთოდი.

გიორგი ჯავრიშვილი: **"ეს მეთოდი ჩემი სადოქტორო დისერტაციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისი არსი მდგომარეობს კერატოკომპლექსის გადანერგვაში, როცა რქოვანის გადანერგვა და მისი პროტეზირება ერთდროულად ხდება. მოსკოვის გარდა, ასეთი ოპერაციები ჯერ არსად გაუკეთებიათ; იქაც მხოლოდ 27 ოპერაცია ჩატარდა, რომელთაგან 12 თქვენმა მონამორჩილმა გააკეთა. წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიიღებს ორგანიზმი უცხო სხეულს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ამისათვის და კერატოკომპლექსს სპეციალურ ხსნარებში ვამუშავებთ. ამ ოპერაციისთვის მეც და პაციენტიც 6 თვის განმავლობაში ვემზადებოდით და წარმატების დიდი იმედი გვაქვს."**

გადასანერგი მასალა მხოლოდ მოსკოვში მზადდება. მისი შეკვეთისა და ტრანსპორტირების ხარჯები ბოლნისის გამგეობამ გაიღო. რაც შეეხება პაციენტს, იგი არაფერს გადაიხდის, ვინაიდან, ჯავრიშვილის განცხადებით, აღნიშნული ოპერაცია მხოლოდ მორალური მოგების მიზნით კეთდება.

# ლეიბორისტთა წინასაახალწლო გათვლები

ნანა ქადაგიშვილი

"ლეიბორისტებმა" 2 ნოემბრის წინასაარჩევნო თემა - უკანონო გადასახადები სკოლებში, წინასაახალწლოდაც გაიხსენეს, მაგრამ კანონის დამრღვევი პედაგოგების ვინაობის დაკონკრეტება 2004 წლისთვის გადადეს, - ახალი წელი არ ჩავუშხამოთო. თუმცა, უკანონო გადასახადების ამკრეფთა ვინაობაზე მეტად "ლეიბორისტების" გამოთვლებმა დაგვაინტერესა.

**"სკოლებში შექმნილი სამეურვეო ფონდები, დიდი ხანია, ნებაყოფლობითის ნაცვლად, სავალდებულო გადასახადით ივსება. ეს გადასახადი 1 ლარიდან 40 დოლარამდე მერყეობს. წელს, არჩევნებამდე ორი თვით ადრე, ჩვენი ფრაქციის ინიციატივით, საკრებულოში შეიქმნა ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელმაც თბილისის სკოლების სამეურვეო ფონდების ხარჯები გადაამოწმა. აღმოჩნდა, რომ მშობელთა მიერ გადახდილი ფულიდან სკოლას ერთი თეთრიც არ ხმარდება. საქართველოს სკოლებში სულ 697 408 მოსწავლე სწავლობს. მათმა მშობლებმა, საშუალოდ, თვეში 5 ლარიც რომ გადაიხადონ, წელიწადში 42 მილიონი ლარი გამოდის. ეს თანხა ერთეულების ჯიბეში მიდის. არადა, 42 მილიონი ყველა პედაგოგზე რომ გადავანაწილოთ, თითოეულს საახალწლო საჩუქრად 583 ლარი გამოუვა; ან საზაფხულო ბანაკები გავხსნათ და მოსწავლეები დავასვენოთ,"** – განაცხადა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრმა, სოსო შატბერაშვილმა. თუმცა, სკოლაში ცარცი, დაფა და, თუნდაც, ფარდაც რომ საყიდელია და ბევრ სკოლაში, მით უმეტეს - რაიონებსა და სოფლებში, კომუნალურ და სამეურნეო ხარჯებს ადგილობრივი ბიუჯეტები რომ ვერ აფინანსებს, "ლეიბორიტებს", როგორც ჩანს, არ გახსენებიათ.

ნაახალწლევს შეპირებულ პრესკონფერენციაზე შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელები, ალბათ, უფრო კონკრეტულ და დასაბუთებულ არგუმენტებს მოგვაწვდიან. ჯერჯერობით კი შატბერაშვილმა ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ შემოწმებული სკოლებიდან მხოლოდ 53-ე სკოლა დაასახელა, - სახელმწიფო სკოლაა და მოსწავლეებს მაინც ფულს ახდევინებენო. სხვათა შორის, ამ ფაქტს არც განათლების სამინისტრო უარყოფს. **"სახელმწიფო სკოლას ფასიანი სექტორის გახსნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუკი იგი მოსწავლეებს, სტანდარტულის გარდა, სხვა მომსახურებასაც სთავაზობს, მაგრამ ბავშვს ამ სკოლაში სტანდარტის ფარგლებში უფასოდ სწავლაც უნდა შეეძლოს. 53-ე სკოლის ხელმძღვანელობამ კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს სკოლა სახელმწიფოა, მხოლოდ არასტანდარტული სწავლება დააწესა და, შესაბამისად, აქ უფასო სექტორი აღარ არსებობს,"** – განგვიმარტეს სამინისტროში.

# აღსაყდრების დღე

საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გუშინ აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების დღე.

როგორც საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანმა გიორგი ანდრიაძემ განაცხადა, პატრიარქის აღსაყდრებიდან 26-ე წლის აღსანიშნავად საქართველოს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში საზეიმო წირვა აღევლინა. თავად უწმინდესმა წირვა-ლოცვა აღავლინა საპატრიარქოში მდებარე "კარის" ტაძარში.

ანდრიაძის თქმით, დღის ოთხი საათის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქს საერო და სასულიერო პირები ეწვივნენ, რომლებმაც უწმინდესს ინტრონიზაციის დღე მიულოცეს..

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ერისკაცობაში ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი, 1933 წლის 4 იანვარს დაიბადა. სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს უწმინდესი ბერად აღიკვეცა და სახელად წმინდა ილია წინასწარმეტყველის საპატივცემულოდ ილია ეწოდა. ამის შემდეგ იგი ხელდასმულ იქნა იეროდიაკვნად, მოგვიანებით კი - მღვდელ-მონაზვნად.

სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად. სხვადასხვა სასულიერო იერარქიის გავლის შემდეგ მამა ილია მეორე აფხაზეთის ეპარქიაში გადაიყვანეს და მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს.

საქართველოს პატრიარქის დავით V გარდაცვალების შემდეგ, 1977 წლის 9 ნოემბერს, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ილია მეორე დადგინდა პატრიარქის მოსაყდრედ, 1977 წლის 23 დეკემბერს არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. იმავე წლის 25 დეკემბერს მოხდა მისი ინტრონიზაცია, რის შემდეგაც პატრიარქს მიეკუთვნა სახელი ილია მეორე (ილია პირველი საქართველოს ეკლესიას 1600 წლის წინ, 390-400 წწ მართავდა). **ინტერ-პრესი**

*ორი სიტყვით*

**თბილისი**. დედაქალაქის უბნებს ელექტროენერგია კვლავ შეზღუდვებით მიეწოდებათ. „თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, ქვეყნის ელექტრომომარაგებაში არსებული კრიზისის გამო, საჭირო რაოდენობის ელექტროენერგიას ვერც „თელასი" იღებს. გუშინ დილიდან ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა დედაქალაქის რაიონებს. კომპანია ცდილობს, ცენტრალური სადისპეტჩეროდან მიწოდებული ელექტროენერგია ქალაქის უბნებზე თანაბრად გადაანაწილოს და რაიონებს რიგრიგობით, რამდენიმე საათიანი შეზღუდვებით მიაწოდოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. სააქციო საზოგადოება „თბილქალაქგანათება" საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში საგანგებო რეჟიმში მუშაობას შეუდგა. ცენტრალურ გამზირებზე მიმდინარეობს ფერადფერადი რამდენიმე ასეული ნათურის ხეებზე დამონტაჟება, ხოლო 27 დეკემბერს ღამით საცდელ-შემოწმებითი დათვალიერება იგეგმება. დედაქალაქში 1500-მდე გარეგამანათებელზე ახალ, ეკონომიურ ნათურებს დაამონტაჟებენ. ამ ნათურებს ერთ-ერთი გერმანული ფირმა ამზადებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნაძალადევის რაიონის სამ ქუჩაზე წყალსადენის ქსელის შეკეთების სამუშაოები მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს.

წყალსადენი და საკანალიზაციო ქსელი შეიცვლება ზაქარაიას ქუჩაზე, სადაც ჩაიდება ერთი კილომეტრის სიგრძის ახალი მილსადენი. ამით ზაქარაიას ქუჩაზე მცხოვრები 106 ოჯახის წყალმომარაგება გაუმჯობესდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ „საქსტანდარტმა" შპს „თერგის" ტერიტორიაზე წინასაახალწლო ვაჭრობის შემოწმება ჩაატარა. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ისეთ პროდუქციაზე, რომელზეც ამჟამად ყველაზე დიდი მოთხოვნაა - სასმელები და საკონდიტრო ნაწარმი; გამოსაკვლევ პროდუქციას ლაბორატორიაში ჩააბარებენ.

შარშან ჩატარებული შემოწმების შედეგად სწორედ სასმელებში გამოვლინდა ყველაზე მეტი დარღვევა. ბაზარი სავსეა ფალსიფიცირებული, კუსტარულად დამზადებული, უხარისხო ღვინოებით და ლიმონათებით, რაც მომხმარებლის ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის. ერთი ლიტრი ნამდვილი ღვინის ფასი 1-2 ლარი ვერ იქნება, ხარისხიანი ლიმონათი კი 10 თეთრად არ გაიყიდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის საფინანსო სამმართველოს დაფინანსებით, ვაკეში ნაფარეულის ქუჩაზე საკანალიზაციო კოლექტორის შეცვლის სამუშაოები მიმდინარეობს, რაც ახალ წლამდე უნდა დამთავრდეს. ახალ წლამდე უნდა დასრულდეს, ასევე, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილზე წყალსადენის 100-მეტრიანი მონაკვეთის შეცვლა. ამისთვის თბილისის ბიუჯეტიდან 60 ათასი ლარია გამოყოფილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლიფტებისა და სახურავების აღდგენის პროგრამა მომავალ წელსაც გაგრძელდება. დედაქალაქის მერიის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული პროგრამისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 2.683.000 ლარი. გეგმით გათვალისწინებული 250.000 კვ.მ სახურავიდან შეკეთებულია 230.000 კვ.მ სახურავი. რაც შეეხება ლიფტებს, გეგმით გათვალისწინებული 700 ლიფტის ნაცვლად, დაუფინანსებლობის გამო, აღდგენილია მხოლოდ - 341. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**ცხინვალი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის ოური ახმეტოვის განცხადებით, კონფლიქტის ზონის ორ სოფელში - კეხვსა და მელიქკენში დამატებითი საგუშაგოები გაიხსნა. სოფლებში რუსული ბატალიონის თითო ათეული უკვე განლაგდა, მონიტორინგს კი ქართველი და ოსი სამშვიდობოები განახორციელებენ. საგუშაგოები, რომლებიც თავის დროზე სამშვიდობო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებლის სვიატოსლავ ნაბზდოროვის განცხადებით დროებით გაუქმდა, მხოლოდ სამი დღით, რეგიონში მოსალოდნელი კრიმინალური ვითარების შესაძლო გაუარესების გამო გაიხსნა. სოფელი კეხვი ჯავის რაიონს ესაზღვრება, მელიქკენი კი - სოფელ ერგნეთს, სადაც ცნობილი ბაზრობა მდებარეობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმ "ალფას" ყოფილ მეთაურს, მე-5 საპყრობილეში მყოფ ჯონ შავიშვილს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა. ნათესავები მისი ექიმის მეთვალყურეობის დაწესებას მოითხოვენ. შავიშვილის მეუღლის ნანა მეზობლის განცხადებით, დაკავებული საპყრობილეში მე-5 დღეა შიმშილობს. გარდა ამისა, იგი კიბრის კორსეტს ატარებს, ვინაიდან ტრავმის შემდეგ ერთი მალა აქვს ამოღებული, სამზე კი ინპლანტატი აქვს ჩასმული. ყოფილი "ალფელი", ამჟამად კერძო დაცვის სააგენტო "GGK"-ის ნდობის პირი შავიშვილი, რამდენიმე პირთან ერთად, 18 დეკემბრის იარაღის უკანონო ტარებისა და სამართალდამცველებთან დაპირისპირების ბრალდებით დააკავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე მოქმედი პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ზურაბ ადეიშვილი აცხადებს, რომ იგი საკმაოდ რთულ პოსტზე ინიშნება, თუმცა სერიოზული იმედი აქვს, რომ სისტემაში ვითარების რადიკალურად გაუმჯობესებას და ბევრი რამის შეცვლას შეძლებს. ადეიშვილი კონკრეტულ გეგმებზე არ საუბრობს და აცხადებს, რომ უფრო ვრცლად დანიშვნის შემდეგ ისაუბრებს. იუსტიციის მინისტრის პოსტიდან რამდენიმე თვის წინ გადადგა როლანდ გილიგაშვილი. შემდეგ ადეიშვილი თანამდებობაზე მაინც დაინიშნა. პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან შინ საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცაშვილი წარადგინეს, თუმცა იგი 1999 წლის მოწვევის პარლამენტს დაუბრუნდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კლანურ დაპირისპირებას სოხუმში უკვე ცნობილ საზოგადოება "სოხუმმელსაწყო" ადმინისტრაციული შენობა ემსხვერპლა. აფხაზი შენაძრომები, ქუთაისის მაცხოვრებლები, სავარაუდოდ, მე-5 კატეგორიის ხანძარი გაუჩნდა. მეთვალყურეობის მიმდინარეობდა, მისი ჩაქრობა ვერ მოხერხდა. აფხაზი სამართალდამცველი ორგანოების მიმდინარე დაკვირვებისა აქტივობას ხდიან. გაერთიანება "სოხუმმელსაწყოს" გენერალური დირექტორი ასლან გიგაშვილი ადმინისტრაციის ზოგიერთი რაოდენობის ზედამხედველობის გაუთვლელ ქმედებად აფასებს და მომხდარში პრეზიდენტ არძინბას კლანის იმ წარმომადგენლებს ადანაშაულებს, რომლებიც, მისი და პარლამენტის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგობის მიუხედავად, საწარმოს პრივატიზაციას გეგმავდნენ. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებამდე "სოხუმხელსაწყოში 2200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე იყო დასაქმებული და საწარმო ყოველწლიურად 230-250 მილიონი რუბლის პროდუქციას აწარმოებდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** "მარტო ხონის რაიონში 12 ყაჩაღური ბანდაა, რომელთა ალაგმვაც მოხდება მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაციის დროს," – აცახდებს უშიშროების მინისტრი. ხაბურძანიას თქმით, კრიმინალებთან ერთად, ის სამართალდამცველებიც მკაცრად დაისჯებიან, რომლებიც დამნაშავეთა სამყაროსთან კავშირში არიან შემჩნეულნი. იმერეთში ჩასატარებელი სპეცოპერაციებისთვის რეგიონში დამატებითი ძალებია შეყვანილი. უშიშროების მინისტრი გუშინწინ შიდა ქართლს ეწვია, შემდეგ ქუთაისს სტუმრობდა, გუშინ კი სამეგრელოში გაემგზავრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ზესტაფონის შინაგან საქმეთა ხანძარსაწინააღმდეგო რაზმის უფროსი ენვერ ლაბაძე ამხილეს. როგორც სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, სახანძროს უფროსმა მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა ორგანიზაციის კუთვნილი 2746 ლარი. ენვერ ლაბაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ჯერჯერობით, მისთვის აღმკვეთი ღონისძიება არ შეუფარდებიათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. ზაალ ლომიძის ოჯახს ორი დაუდგენელი პირი დაესხა თავს. ლომიძემ, ოჯახის წევრებთან ერთად, ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწია, რა დროსაც ერთ-ერთმა ის ცეცხლსასროლი იარაღით მარჯვენა ბარძაყის არეში დაჭრა. გასროლის შემდეგ ბოროტმოქმედები მიიმალნენ, მათ ოჯახიდან ვერაფერი წაიღეს. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლის მეორე ნაწილით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იმერეთის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა სამტრედიაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი შოთა ტაბიძე. რეგიონის კრიმინალური პოლიციის უფროსის კობა შარვაძის განცხადებით, რამდენიმე დღის წინათ ექვსკაციანი შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ნანა მელქაძის ოჯახს. აღნიშნული დაჯგუფება სწორედ ტაბიძის კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობდა. მიმდინარეობს ყაჩაღობასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი ჯგუფის ძებნის ღონისძიებები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის პირველი განყოფილებისა და საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ანაგის ქ. №4-ში მცხოვრები, ნასამართლევი, 35 წლის ამირან კობიძე, რომელმაც 23 დეკემბერს, 21 საათზე, ორ ბოროტმოქმედთან ერთად, პუშკინის ქ. №25-ში მდებარე საათების მაღაზიიდან ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მაღაზიის მფლობელს - იოსებ მაჭავარიანს გასტაცა 21 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საათი და ავტომანქანა „პაჯერო". **მედია-ნიუსი**

# „გაუფრთხილდით პოლიციის მუნდირის ღირსებას," - აფრთხილებს გენერალური ინსპექციის უფროსი კოლეგებს




*დავით ჯინჯოლავა და ირაკლი კლდიაშვილი დამნაშავეების გამოვლენის ახალ მექანიზმებზე საუბრობენ.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გრძელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს წმენდა ნარკომანი თანამშრომლებისგან. მიზანი ერთია – სისტემა ნარკომანი პოლიციელებისგან უნდა გაიწმინდოს. იცვლება მხოლოდ უღირს თანამშრომელთა გამოვლენის მექანიზმები. აქამდე თუ ძირითადი აქცენტი საქართველოს დედაქალაქის პოლიციელებზე კეთდებოდა, ორი დღის წინ ბრძოლის ასპარეზმა იმერეთის დედაქალაქში, ქუთაისში გადაინაცვლა.*

თამარ კაციტაძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, რომელსაც ინსპექციის უფროსის მოადგილე ირაკლი კლდიაშვილი ხელმძღვანელობს, ქუთაისში მოულოდნელად, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მომზადებული ნარკომანი თანამშრომლების სიით ჩავიდა.

**"იმერეთის რეგიონის პოლიციის უფროსს ზურაბ ჩიქვანიძეს ვუთხარით, მოეწვია სიაში დასახელებული ცხრა პოლიციელი, რომლებზეც წინასწარ გვქონდა ინფორმაცია, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები არიან, რათა მათ უფროსის კაბინეტშივე გაევლოთ შემოწმება. ამისათვის ნარკოლოგიური სამსახურის თანამშრომლები თბილისიდან წავიყვანეთ",** – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ირაკლი კლდიაშვილმა.

შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ სიაში დასახელებული პოლიციელებიდან ექვსი მართლაც იყო ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. ესენი არიან: იმერეთის სამხარეო პოლიციის ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურების თანამშრომლები – ლაშა დემეტრაძე, ლევან ჟღენტი, ივანე ხურციძე, გოჩა კუპრეიშვილი, გოდერძი სალარიძე და გოჩა ქათამაძე. ექვსივე მათგანი, მინისტრის ბრძანებით, მაშინვე დაითხოვეს პოლიციის რიგებიდან. თანამდებობა დატოვეს პოლიციელებმა ნუგზარ გაბუნიამ (იგი შემოწმების დაწყებამდე კაბინეტიდან გაიპარა) და ნუკრი კეკუამაც, რომელიც უფროსის გამოძახებაზე საერთოდ არ გამოცხადდა.

**"ჩვენი ინფორმაციით, ორივე პოლიციელი შემოწმების პერიოდში ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო და ამიტომაც აარიდა თავი ტესტირებზე გასვლას",** – ამბობს კლდიაშვილი.

თანამშრომლებისგან განსხვავებით, ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გავლა არ გასჭირვებიათ თავად იმერეთის პოლიციის უფროსს და კრიმინალური პოლიციის უფროსს კობა შარვაძეს. მათ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება არც დაუდგინდათ.

**"ამგვარი შემოწმებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა მას ექნება არა კამპანიური ხასიათი, არამედ მოულოდნელი. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებლები წინასწარ ინფორმირებულნი არიან და შემოწმების დროს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ აღარ არიან ხოლმე",** - განაცხადა გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით ჯინჯოლავამ.

ჯონჯოლავას თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროშიც და თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოშიც, ამიტომ დროთა განმავლობაში შემოწმებას ის თანამშრომლებიც გაივლიან, ხოლო მუნდირის დატოვება მოუწევს ყველა დამნაშავეს, განურჩევლად ჩინისა და თანამდებობისა.

**"ნარკომანი და დამნაშავე პოლიციელების წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო გენერალური ინსპექცია ვერაფერს გახდება. მინდა, დახმარება ვთხოვო მასმედიასა და საზოგადოებას. თითოეული მოქალაქე უნდა იბრძოდეს იმისათვის, რომ პოლიცია უღირსი თანამშრომლებისგან გაიწმინდოს",** - ამბობს ჯინჯოლავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ნარკომანიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა მხოლოდ ნარკომანი კოლეგების გამოვლენას არ გულისხმობს. მინისტრის ბრძანებით, ნარკოტიკების მოხმარების მიზნით უნდა აღიკვეთოს ქუჩებში ხალხის უმიზეზო და უსაფუძვლო ჩხრეკა.

**"პოლიციელს პიროვნების გაჩხრეკა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ოფიციალურად გაფორმებული ოპერატიული ინფორმაცია გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგვიკავშირდით და ასეთი პოლიციელი თავად დაემშვიდობება თანამდებობას",** – გვპირდება შს გენერალური ინსპექციის უფროსი.

თანამდებობისათვის შეუფერებელი პოლიციელების გამოვლენა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ მიზნით უჩვეულო ექსპერიმენტების ჩატარებაც კი დაიწყო.

დავით ჯინჯოლავამ გუშინ ამ ექსპერიმენტის დეტალები გაამხილა. ორი დღის წინ დედაქალაქში პოლიციის ყველა საგუშაგოს თითქოსდა გატაცებული მანქანების ნომრები გადაეცა. გადაცემულნომრიანი მანქანები კი თბილისის ქუჩებში თავისუფლად მოძრაობდა და ზოგიერთ საგუშაგოზე პოლიციელებს სიგნალსაც აძლევდა, მაგრამ რამდენიმე უბანში პოლიციელებს მათი გაჩერება აზრადაც არ მოსვლიათ. როგორც გენერალური ინსპექციის უფროსი ირწმუნება, თანამდებობებს ასეთი არაპროფესიონალი თუ გულგრილი პოლიციელებიც დაემშვიდობებიან.

**"ჩვენ არ ვაპირებთ, შევეგუოთ პოლიციის რიგებში უღირს თანამშრომლებს, ამიტომ მოვუწოდებ ყველა სამართალდამცველს, გაუფრთხილდნენ პოლიციის მუნდირის ღირსებას,"** – გააფრთხილა დავით ჯინჯოლავამ საკუთარი კოლეგები.

# ექიმები გამომძიებლებს მირცხულავას დაკითხვას უკრძალავენ

**"გამოძიება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ბრალის წაყენებას იმ დრომდე ვერ შეძლებს, სანამ ის არ გამოჯანმრთელდება და ხელახლა არ დაიკითხება",** - აცხადებს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის, ენერგეტიკის ექსმინისტრის დავით მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია.

დავით მირცხულავა თბილისის კარდიოლოგიის ინსტიტუტში მეორე დღეა წევს მიკროინფარქტის დიაგნოზით. მას გაძლიერებული ბადრაგი იცავს. ავადმყოფის დაკითხვა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მირცხულავას მკურნალი ექიმები გამომძიებლებს ავადმყოფთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას კატეგორიულად უკრძალავენ. კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ბეჟან წინამძღვრიშვილის განმარტებით, ინტენსიური თერაპიის ბლოკში მყოფ ეჭვმიტანილ მირცხულავას, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმე თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით არის აღძრული, ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში ინტენსიური მკურნალობა დასჭირდება. "ამ პერიოდში მისი დაკითხვა გამორიცხულია", – აცხადებენ ექიმები.

ექსმინისტრისთვის კანონით გათვალისწინებული ბრალის წაყენების 48-საათიანი ვადა დღეს იწურება. **"ამ ეტაპზე მირცხულავა ეჭვმიტანილია და მისთვის ბრალი ოფიციალურად ჯერ არ წაუყენებიათ, თუმცა ამისთვის გამოძიებას ერთთვიანი ვადა გააჩნია",** - აცხადებენ გენერალურ პროკურატურაში. ავადმყოფი ეჭვმიტანილის ადვოკატის განცხადებით, ყოფილი მინისტრი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

სამართალდამცველთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ მათ მოეპოვებათ მირცხულავას მიერ საელჩოში აღებული უცხოეთის ვიზა, როგორც აღმოჩნდა, სიმართლეს შეეფერება, თუმცა საქმე ისაა, რომ სემეკ-ის თავმჯდომარემ იტალიის საელჩოში 6-თვიანი ვიზა სამ ოქტომბერს აიღო, რადგან იგი ენერგეტიკის რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით რომში მიმდინარე მეორე მსოფლიო ფორუმს დაესწრო. სემეკ-ის წევრთან - პაატა ცინცაძესთან ერთად, მირცხულავა რომში 5 ოქტომბერიდან 12 ოქტომბრამდე იმყოფებოდა. ვიზის არსებობის ფაქტი გენერალური პროკურატურის ერთ-ერთ არგუმენტად ითვლება, რომელმაც გამოიწვია მირცხულავას დაკავების აუცილებლობა. **24 საათი**

# მაღლაკელიძის გატაცების საქმეში ახალი დეტალებია

შსს-ში აცხადებენ, რომ "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თამაზ მაღლაკელიძის გატაცების საქმეზე გარკვეული სირთულეებია, თუმცა მისი გახსნის შანსი რეალურია.

შს მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის განცხადებით, არსებობს გარკვეული საიმედო ოპერატიული ინფორმაციები, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათი გამხელა მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია.

ამასთან, გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე გატაცების ფაქტს ფულის გამოძალვას უკავშირებს, თუმცა არც ბანკში და არც სამართალდამცავ ორგანოებში არ ფლობენ ინფორმაციას, რომ ვინმე გამოსულიყო კავშირზე გამოსასყიდის მოთხოვნით.

გენპროკურორის პოზიციით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გატაცებამდე ერთი დღით ადრე მოხდა "გაერთიანებული ქართული ბანკის" ვაკის ფილიალზე თავდასხმა.

თამაზ მაღლაკელიძე 5 დეკემბერს, გამთენიისას, თბილისის საბურთალოს რაიონიდან ათამდე დაუდგენელმა შეიარაღებულმა ნიღბოსანმა გაიტაცა. თავდაპირველად გავრცელებული ვერსიით, მაღლაკელიძის გატაცებაში პანკისური კვალი შეიმჩნეოდა და გაერთიანებული სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე შოთა ჭიჭიაშვილის ჯგუფის მიერ იყო გატაცებული. მოგვიანებით კანონდამცველებმა ეს ვერსია უარყვეს.

რამდენიმე დღის წინ ოთხმა შეიარაღებულმა ნიღბოსანმა სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასში" განთავსებული"გაერთიანებული ქართული ბანკის" სერვის-ცენტრი დააყაჩაღა. მსგავსი ფაქტი 4 დეკემბერსაც მოხდა, როცა ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ბანკის ფილიალი დააყაჩაღეს. **პრაიმ-ნიუსი**

# პრეზიდენტობის კანდიდატი სახელმწიფო მინისტრს უჩივის

პრეზიდენტობის კანდიდატმა, „საქართველოს ადვოკატთა" გაერთიანების თავმჯდომარემ ქართლოს ღარიბაშვილმა გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს განცხადებით მიმართა და სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. ღარიბაშვილი ჟვანიას თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, ტერორში, ბიზნესმენებისა და თანამდებობის პირების დაშინებაში სდებს ბრალს.

ქართლოს ღარიბაშვილის განცხადებით, ზურაბ ჟვანია ყველა არჩევნების გაყალბების ორგანიზატორი იყო. პრეზიდენტობის კანდიდატი გენპროკურორისაგან მოითხოვს, სასწრაფოდ აღიკვეთოს ჟვანიას კრიმინალური საქმიანობა. „ჟვანია არის საქართველოსთვის საშიში ადამიანი, რომლის ადგილი ციხეშია", – მიაჩნია პრეზიდენტობის კანდიდატს. მისი აზრით, სახელმწიფო მინისტრ ჟვანიას ქვეყანა სამოქალაქო ომისკენ მიჰყავს, პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე კი „მისი პოლიტიკის მძევლები არიან".

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში სახელმწიფო მინისტრს 8-დან 10 წლამდე პატიმრობა ელის. გენერალურმა პროკურატურამ რეგისტრაციაში გაატარა ღარიბაშვილის განცხადება, ხოლო შემდგომი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება უკვე გენპროკურორის პრეროგატივაა. **მედია-ნიუსი**

# სამეგრელოს პოლიციის რევოლუციური გამოღვიძება

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"ბოლო 20 დღის განმავლობაში სამეგრელოს რეგიონში იმ რაოდენობის იარაღი და საბრძოლო მასალაა ამოღებული, რაც სამართალდამცველებმა უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე ამოიღეს",** - აცხადებს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ლერი ჭითანავა.

ოცდღიანი შედეგიანი მუშაობით კმაყოფილებას ვერ მალავენ რეგიონის სამართალდამცველებიც. მათი თქმით, განსაკუთრებით გააქტიურდა ბრძოლა აფხაზეთიდან უკანონო ტვირთის შემოტანისა და მისი აფხაზეთის გავლით საქართველოდან გატანის წინააღმდეგ. პოლიციელთა განმარტებით, ამ პროცესს ვერ შეეწინააღმდეგებიან ის შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც კონტრაბანდაში არიან ჩართულები.

21 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 6 შაშხანა, 2 გადაჭრილი თოფი - ეგრეთ წოდებული "აბრეზი", ერთი პისტოლეტი, ერთი ტყვიამფრქვევი, ერთი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი 7 ჭურვით – ეს გახლავთ ამოღებული იარაღის ის ჩამონათვალი, რომლითაც სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიცია იწონებს თავს.

**"მოსახლეობასთან ახსნა-განმარტებით სამუშაოებს ვატარებთ. თქვენ წარმოიდგინეთ, პატიოსანი ადამიანები, რომლებსაც ქვეყანაში მშვიდობა სურთ, თავადვე გვაბარებენ იარაღს. არც ერთ ყაჩაღს და დამნაშავეს ამ ხნის განმავლობაში ჩვენთვის იარაღი ნებაყოფლობით არ ჩაუბარებია. ყაჩაღებისგან, მკვლელებისგან და სხვა სახის დამნაშავეებისგან იარაღი ანტიკრიმინალური, პატარ-პატარა სპეცოპერაციების შედეგად ამოვიღეთ. ოც დღეში სხვადასხვა დანაშაულისთვის ძებნილი 27 პიროვნება დავაკავეთ, 18 მათგანზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დაკავებულებს შორის არიან მკვლელობის მცდელობასა და მკვლელობებში ეჭვმიტანილები,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის მოადგილემ სერგო ჩაჩიბაიამ, რომლის უწყებამაც ქვეყნის პირველ პოლიციელს, შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს მიბაძა და გუშინ მოსახლეობისგან ამოღებული საკმაოდ დიდი რაოდენობის ყაყაჩოს თესლი სახალხოდ, "ფეიერვერკის" თანხლებით დაწვა.

გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ბოლო დღეებში გატარებული პოლიციური აქტივობის შედეგად დაკავებულია სამი სერიოზული, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი - სამ-ოთხი კაცის შემადგენლობით. ჯგუფის წევრები სხვადასხვა დანაშაულში არიან მხილებულნი. არსებობს დაზარალებულების ჩვენებები, გარდა ამისა, მათთან უკვე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის - ამოცნობა.

**"ბოლო თვეებში მომხდარი და რეგისტრირებული 88 დანაშაულიდან უკვე გახსნილია 74",** - ასეთი გახლავთ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამართალდამცველთა ანგარიში.

რეგიონში ჩატარებულ სპეცოპერაციებში, ჩვენი ინფორმაციით, მონაწილეობენ ზუგდიდისა და გალის რაიონების შინაგან საქმეთა და უშიშროების სპეცდანაყოფები. **"სპეცსამსახურები ოპერატიულ ინფორმაციებს იარაღის სამალავების შესახებ ანონიმური ზარებითაც იღებენ. სპეცოპერაცია, სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაგრძელდება და იგი ზვიად გამსახურდიას მომხრეების შემორიგებით დასრულდება",** - აცხადებენ სამართალდამცველები.

სხვათა შორის, წლების განმავლობაში ტყეში გაჭრილ განაწყენებულებს, ჯერჯერობით, იარაღი არ ჩაუბარებიათ. ჩვენი ინფორმაციით ისინი, ცოტა ხნის წინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე შექმნილი ეროვნული თანხმობის კომისიის გადაწყვეტილებებსა და წინადადებებს ელიან.

# დასავლეთ საქართველო ანტიკრიმინალურ ფოკუსში

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

სამტრედიაში ბოლო პერიოდში კრიმინალური ვითარება ძალიან გართულდა. განსაკუთრებით გაიზარდა ყაჩაღობის ფაქტები. ბოლო ორი თვის განმავლობაში 15 ყაჩაღობაა დაფიქსირებული, გახსნილია 3. ადგილობრივი ხელისუფლება ამას საქართველოში განხორციელებულ პოლიტიკურ ცვლილებებს აბრალებს. **"სამტრედიაში არც მანამდე გვქონია მაინცდამაინც სახარბიელო კრიმინალური ვითარება. ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა, რის გამოც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად რამდენიმე დღეა რაიონში ოპერატიული პროფილაქტიკური ღონისძიებები ტარდება. ამ ორ დღეში სამი დანაშაული გაიხსნა. გაიხსნა სოფელ ღანირში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი, სადაც გრიგოლიას ოჯახს ექვსი პირი დაესხა თავს. ცხელ კვალზე გატარებული ღონისძიებების შედეგად ექვსივე პირის ვინაობა დადგენილია. მათ შორის ერთი დაკავებულია. ორი დღის წინ კი ავტომობილის გატაცების ფაქტს ჰქონდა ადგილი. სოფელ საჯავახოს ტერიტორიაზე პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა ორი ბოროტმოქმედიდან ერთ-ერთი დააკავა, მეორემ კი მიმალვა მოასწრო, თუმცა, ჩვენთვის მისი ვინაობა ცნობილია",** - აცხადებს სამტრედიის პოლიციის უფროსი ავთო ვასაძე.

სამტრედიის პოლიციამ გუშინ კიდევ ერთი ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი პიროვნება, გვარად ტაბიძე, აიყვანა. მისი სახლიდან გადაჭრილი თოფია ამოღებული. ამავე რაიონში მკვლელობის რამდენიმე ფაქტიცაა დაფიქსირებული. მაგალითად, სექტემბერში მომხდარი ორი მკვლელობიდან დღემდე არც ერთი არ არის გახსნილი.

ქუთაისში უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიას სტუმრობამ და იმერეთის რაიონების უშიშროების სამსახურების უფროსებთან სამუშაო თათბირმა პოლიტიკური შეფერილობაც მიიღო. თათბირის შემდეგ მას ხონის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე ეწვია. **"ხონში მოქმედებს 12 შეიარაღებული ბანდა. მათ წინააღმდეგ აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებების გატარება,"** - განაცხადა შეხვედრის შემდეგ ბობოხიძემ. რაც შეეხება უშიშროების მინისტრს, ჟურნალისტებთან საუბრისას იგი იმერეთში სამოქმედო გეგმის აფიშირებისგან თავს იკავებდა. **"ქუთაისში დღეს ოპერატიული ვითარება განვიხილეთ. გარკვეული ღონისძიებები იქნება გატარებული ქურდების წინააღმდეგ. იმერეთში ორგანიზებული დანაშაულისა და ენერგეტიკის სფეროში არსებული დარღვევების მხრივაც ძალზე რთული მდგომარეობაა. სამუშაო ამ მხრივაც ბევრია,"** - განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ.

მიუხედავად იმისა, რომ მინისტრი კონკრეტულ საკითხებზე არ საუბრობს, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ უახლოესი ორი-სამი დღის განმავლობაში იმერეთში რამდენიმე სპეცოპერაცია ჩატარდება. კონკრეტულ დეტალებს კი სამართალდამცავები არ ახმაურებენ.

# ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში გაერო-ს პოლიციელებს ითხოვს

გუშინ თბილისმა აფხაზურ მხარეს შესთავაზა, დაუბრუნდნენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაერო-ს საერთაშორისო-სამოქალაქო პოლიციელების გაგზავნის საკითხს.

"საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციელების ყოფნა კონფლიქტის ზონაში მხარეებისათვის აუცილებელი კომპონენტია", - აცხადებს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე. მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გაერო-ს უშიშროების საბჭოს დონეზე იყო მიღებული, მაგრამ ბოლო მომენტში აფხაზურმა მხარემ უარი თქვა მის რეალიზაციაზე. სამართალდამცველი ორგანოებისათვის საკონსულტაციო დახმარების გაწევის მიზნით, კონფლიქტის ზონაში 20 საერთაშორისო პოლიციელის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება მიმდინარე წლის ზაფხულში იყო მიღებული.

ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია დეკემბერში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სოხუმმა ამ ეტაპზე კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო პოლიციელების გაგზავნა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

ამჟამად სოხუმში გაერო-ს საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციის ორი წარმომადგენელი მუშაობს საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის კონსულტანტების რანგში. ისინი გაერო-ს გენმდივნის სპეცწარმომადგენლის პირადი მრჩევლები არიან სამართალდამცველ ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხებში. **პრაიმ-ნიუსი**

# სასაფლაო თუ პანთეონი

*მათუსალამ 969 წელი იცოცხლა, მაგრამ ბოლოს მაინც მოკვდა. იქიდან მოყოლებული კაცობრიობამ ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნა, რომ ყველა ადამიანი მოკვდავია და ამ სამწუხარო რეალობასთან შეგუება მოუწევდა.*

სოფიო თოდუა



დიდუბის პანთეონი.



გოჩიტა ბუხაიძის ფოტოები

რით განსხვავდება სასაფლაო პანთეონისაგან? ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება, მხოლოდ იმით, რომ ბოლო დროს პანთეონები პრესტიჟულ სასაფლაოებად ვაქციეთ და დახლოებით ისე დავახარისხეთ, როგორც ოთხ და ხუთვარსკვლავიანი ოტელები. რასაკვირველია, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რაიმე კანონი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა, ვინ და როდის უნდა დასაფლავდეს პანთეონში. მაგრამ გონიერი ხალხი ზედმეტი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამ მეტად დელიკატური საკითხის უმტკივნეულოდ გადაჭრას მაინც ახერხებს. მაგალითად, სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას, რომ ესა თუ ის პიროვნება პანთეონში გარდაცვალებიდან გარკვეული დროის შემდეგ დაიკრძალოს. ეს წესი ვრცელდება მათზეც, ვისაც ნამდვილად არ სჭირდებათ დროის გამოცდა. თუ ასეთი გადაწყვეტილება არ არსებობს, ცხადია, მაშინ პანთეონი მართლაც ჩვეულებრივი სასაფლაოა და როგორც ყველა სასაფლაო, აუცილებლად ქალაქიდან მოშორებით უნდა მდებარეობდეს.

როდესაც მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდუბეში, ღვთისმშობლის ეკლესიის შემოგარენში პანთეონს ხსნიდა, ალბათ ვერავის წარმოედგინა, რომ ოდესმე აქ ნაკლებად ცნობილი პირები დაიკრძალებოდნენ. ეს, რა თქმა უნდა, მოგვიანებით მოხდა, მაგრამ მაინც მოხდა, რის გამოც 1938 წელს ერთ დროს პანთეონად დაარსებული დიდუბის სასაფლაო საერთოდ გაუქმდა, თუმცა ის ადგილი, სადაც ცნობილი პიროვნებების საფლავები იყო, შემოიღობა და 1939 წელს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად გადაკეთდა. დიდუბის პანთეონი დღესაც იგივე მიზეზით იკეტება, მაგრამ ხმამაღლა ამაზე არავინ ლაპარაკობს. სალაპარაკო კი ისაა, რომ ამდენ "ცნობილ" მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს პანთეონი ვეღარ იტევს. რაც შეეხება მთაწმინდას, მას ჯერჯერობით დახურვა არ ემუქრება და მიუხედავად ამისა, აქაურობის დათვალიერების შემდეგაც ბევრი უპასუხო კითხვა ჩნდება.

ერთი შეხედვით შეიძლება საამაყოა, თუ ჩვენნაირ მცირერიცხოვან ერს იმდენი ღირსეული მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჰყავს, რომ პანთეონების დახურვის პრობლემა დაუდგა. მეც კარგად მახსოვს ერთი ლათინური გამონათქვამი, რომ მიცვალებულებზე ან კარგი უნდა ითქვას, ან არაფერი. მაგრამ, სულო ცოდვილო, ამ წუთებში რატომღაც "მგზავრის წერილები" გამახსენდა და იმ რუსი პოდპორუჩიკივით მინდა ვიკითხო: "უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში ხომ არ ვთვლით?"

პანთეონების პრობლემა საქართველოში მაშინაც ადარდებდათ, როცა მთელი ქვეყანა ჯერ რუსთაველზე, შემდეგ კი სამეგრელოსა და აფხაზეთში იბრძოდა. უკვე დახურულად გამოცხადებული დიდუბის პანთეონი სწორედ იმ წლებში გაფართოვდა უკანა მხრიდან. ეს ფაქტი მაშინ საზოგადოებამ ჩვეულებრივად აღიქვა, მხოლოდ მოგვიანებით გაირკვა, რომ გაფართოება სააქციო საზოგადოება "მერქანის" კუთვნილი ტერიტოსიის ხარჯზე მოხდა. შეიძლება ჩვენში ხე-ტყის წარმოება არც ისეა განვითარებული, ამ "მერქანს" მრავალსართულიანი კორპუსი და მისი მიმდებარე ტერიტორია რომ სჭირდებოდეს, მაგრამ ეს ან მისი წინამორბედი ორგანიზაცია საერთოდაც რომ არ იყოს და, შესაბამისად, არანაირი დაბრკოლებაც არ არსებობდეს, მაინც, სადამდე შეიძლება გაიზარდოს ცნობილი, პატივცემული, ღირსეული და ნიჭიერი მწერლებისა თუ საზოგადო მოღვაწეების სასაფლაო? ალბათ უსასრულოდ. ამას ისიც მაფიქრებინებს, რომ ხანგრძლივი დავის შემდეგ, როცა სააქციო საზოგადოება "მერქანს" ვერა და ვერ დააათმობინეს ეზოს ნაწილი, გადაწყდა, რომ პანთეონის გაფართოება ცენტრალური შემოსასვლელის მხრიდან, ამჯერად ტროტუარის ხარჯზე მოხდებოდა. ამიტომაა, რომ ბოლო დროს გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწეები ლამის ტროტუარზე დავკრძალეთ, თანაც თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი და ჭუჭყიანი პროსპექტის ტროტუარზე. მე თუ მკითხავთ, ეს გადაწყვეტილება სწორედ ჭირისუფლებს უნდა გაეპროტესტებინათ. მაგრამ რადგან ისინი ასე არ მოიქცნენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები საკამათო არ არის და ყველამ პირში წყალი უნდა ჩაიგუბოს. სხვათა შორის, იქვე, პანთეონის გვერდით ანთიმოზ ივერიელის სახელობის ლიცეუმი და ერთი საცხოვრებელი კორპუსი მდებარეობს. არა მგონია, ეკოლოგიური თვალსაზრისით ესეც გამართლებული იყოს და ჯანმრთელი ადამიანი, განსაკუთრებით მოზარდი, დიდხანს იქ უნდა იმყოფებოდეს, სადაც ახლადგარდაცვლილ ადამიანს კრძალავენ. თუ ასეთი რამ დღეს თბილისში სხვაგანაც ხდება, ესეც, რა თქმა უნდა, განუკითხაობის გამო ხდება, თორემ ისტორიულად ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ნაქალაქარს ან ნასოფლარს, სადაც მიცვალებულებს იქვე მარხავდნენ, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ.

ვინ უნდა დაიკრძალოს დიდუბეში და ვინ მთაწმინდაზე, ამას ოფიციალურად ორმოცდაათკაციანი მრჩეველთა საბჭო წყვეტს. მაგრამ არაოფიციალურად, როგორც ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში, ესეც ექსპრეზიდენტის გადასაწყვეტი იყო. ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ სწორ გადაწყვეტილებებს ზოგჯერ შევარდნაძეც იღებდა. ასე, მაგალითად, მისი განკარგულებით მთაწმინდაზე ამიერიდან მხოლოდ ის მწერლები და საზოგადო მოღვაწეები დაიკრძალებიან, ვინც 30 წლის წინათ და უფრო ადრე გარდაიცვალნენ. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ შევარდნაძემ ეს გადაწყვეტილება იმიტომაც მიიღო, რომ კანცელარიის მე-12 სართულზე ჭირისუფლების დიდი რიგი გაიჭიმა. მაგრამ კანონს, სამწუხაროდ, უკუქმედების ძალა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ვინც 30 წლის წინათ გარდაიცვალა და სხვაგან, ვთქვათ იმავე დიდუბის პანთეონშია დაკრძალული, მაგრამ მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით მთაწმინდას იმსახურებს, მათ გადასვენებას წინ არაფერი დაუდგება. ასე მოხდა უშანგი ჩხეიძის შემთხვევაში. ძალიან უვიცი და ბოროტი უნდა იყო კაცი, უშანგი ჩხეიძის ღვაწლი ჯეროვნად რომ ვერ შეაფასო, მაგრამ იმავე მიზეზით ტერენტი გრანელიც უნდა გაგახსენდეს, ნიკო ლორთქიფანიძეც და ბევრი სხვაც. რა ვქნათ ახლა, საფლავების რევიზია მოვახდინოთ? არადა, საკმარისია დაუშვა ერთი პრეცედენტი, მერე ამ პროცესს ვეღარაფრით შეაჩერებ. მომიტევეთ, მაგრამ ეს შიში განსაკუთრებით დიდუბის პანთეონის დახურვის შემდეგ გამიჩნდა. არ გამოვრიცხავ, რომ გამოთავისუფლებული საფლავების ხარჯზე პანთეონი კი არ მოწესრიგდება, არამედ მომავალი პრეზიდენტისა და მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით მათ ადგილას სხვები დაიკრძალებიან.

მოსაწესრიგებელი კი მართლაც ბევრია. მარტო ის რად ღირს, რომ შენთვის სასურველ საფლავზე ისე ვერ მიხვალ, სხვის სამარეს ფეხით თუ არ გადაუარე. ღმერთმა არ ქნას, რომელიმე ცნობილ მწერალზე ან საზოგადო მოღვაწეზე რაიმე გაგება მოგინდეს – ტყუილად გაირჯები, პასუხს ვერავინ გაგცემს. ამიტომაც იყო აუცილებელი, რომ დროითი ცენზი დიდუბის პანთეონშიც დაწესებულიყო.

არ ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაგრამ ცნობილი ადამიანები გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ ჭირისუფლებს არ ეკუთვნიან, ისინი მთელი ერის კუთვნილება ხდებიან და სწორედ ამიტომაც იკრძალებიან სხვებისაგან გამორჩეულად. რახან საქმე გვაქვს პანთეონთან და არა ჩვეულებრივ სასაფლაოსთან, აქაურობა ისევე მოვლილი და მოწესრიგებული უნდა იყოს, როგორც რომელიმე კულტურის ძეგლი. ამიტომაც მგონია, რომ პანთეონების ვიზუალურ მხარეზე უპირველესად სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს და არა - ჭირისუფალი. როგორც თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბადრი ქუთათელაძემ განგვიმარტა, წლეულს ბიუჯეტში პანთეონები საერთოდ არ გაუთვალისწინებიათ. გათვალისწინებაში კი ალბათ მხოლოდ ბოლო დროს გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწეების დაკრძალვა და მათი საფლავების მოწესრიგება იგულისხმება, თორემ გასულ საუკუნეში დაკრძალული დიდი ქართველების უკანასკნელი განსასვენებელი, ვგონებ, მას შემდეგ აღარ შეკეთებულა, რაც ნათესავებმა და ახლობლებმა ყვავილების თაიგული დადეს მათ სამარეზე. ეს ადამიანები საუკეთესო შემთხვევაში ოფიციოზს საიუბილეო დღეებში ახსენდება. დღეს მათი ერთადერთი ჭირისუფლები პანთეონების დამლაგებლები არიან - ცოლ-ქმარი დიდუბეში და ერთი ხანშიშესული მამაკაცი მთაწმინდაზე, რომელსაც სახელმწიფომ ხელფასად 18 ლარი დაუდგინა.

ამის მერე ნურც ის ეკლექტურობა გაგაკვირვებთ, რაც დღევანდელ პანთეონებში შეიმჩნევა და ნურც აშკარად თვალშისაცემი კონტრასტები: მერე რა, თუ ვიღაცას დიდი საფლავი ერგო, ვიღაცას კი – მომცრო (თუმცა მიწის ნაკვეთი აქაც ჩვეულებრივ სტანდარტს არ უნდა აღემატებოდეს); ვიღაც მეუღლის გვერდით განისვენებს, ვიღაც – მარტო; ვის ძეგლს უდგამენ, ვის კი მხოლოდ წარწერას უხერხებენ... საერთოდ დაიკარგა ეპიტაფიების კულტურა. არადა, რა კარგი იქნებოდა, შავი მარმარილოსა თუ კურსების ქვებზე ჩვენც ამოგვეკითხა ამ ტიპის წარწერა: "აქ განისვენებს ის, რაც მოკვდავია ვიქტორ ჰიუგოში". სამწუხაროდ, არც დიდუბეში და არც მთაწმინდაზე არსად არ არის მითითებული, ვინ არის საფლავის არქიტექტორი ან მასზე აღმართული ძეგლის ავტორი. სამაგიეროდ, ადვილად ამოიცნობთ ჭირისუფლების გემოვნებას და არც იმის დადგენა გაგიჭირდებათ, როგორ ცხოვრობენ ამ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების შთამომავლები დღევანდელ საქართველოში.

ექსკლუზიური უფლებით, მერიის კულტურის სამსახურში გაგვიმხილეს, რომ დიდუბის პანთეონის დახურვის შემდეგ ელიას მთაზე ახალი პანთეონი გაიხსნება და იქ მხოლოდ 20 წლის წინ გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწეები დაიკრძალებიან. მინდა მჯეროდეს, რომ კანონს ოდესმე ამ ქვეყანაშიც დაიცავენ და 20 წლის თავზე აღარვის მოუწევს თუნდაც ამ ტიპის საგაზეთო პუბლიკაციის მომზადება. მაგრამ, ჩვენი ამბავი რომ ვიცი, ვერც ელიას მთა გადაურჩება ჩვენს დაუოკებელ ამბიციებს. სხვა თუ არაფერი, იქ გაცილებით დიდ ფართობზეა ლაპარაკი, სადაც, ალბათ, პოლიტიკური მოღვაწეებისთვისაც გამოინახება უკანასკნელი განსასვენებელი.




შაბათს,
20 დეკემბერი - 3 იანვრის ნომერში
თქვენ იხილავთ

ნაწყვეტს აკა მორჩილაძის ახალი, გამოუქვეყნებელი რომანიდან
წლევანდელი ნობელის ლაურეატის, ჯონ მაქსველ კუტზეეს სანობელო ლექციას
ინტერვიუებს ნუგზარ შატაიძესთან და ბორის აკუნინთან
რეცენზიებს გერონტი ქიქოძის, დათო ტურაშვილის, ზაზა ბურჭულაძის წიგნებზე.
მსოფლიოს ახალ ამბებს
თვის ქართულ ბესტსელერებს

წიგნები

პროზა პოეზია კრიტიკა ინტერვიუ რეცენზია ბესტსელერი საგამომცემლო საქმე

www.24hours.ge 24 B

ისტორია

# ქებურია

*1903 წელს ამერიკელმა გამომგონებლებმა, ძმებმა რაიტებმა საკუთარი კონსტრუქციის საჰაერო პლანერზე დადგეს შიგაწვის ძრავა. ეს იყო პირველი თვითმფრინავი.*
*ძმები რაიტების შემდეგ საკუთარი კონსტრუქციების თვითმფრინავებით ჰაერში აფრინდნენ ბლერიო, ფარმანი, შანიუტი, მორანი...*
*1909 წლის 25 ივლისს ფრანგი ლუი ბლერიო ისე დაჯდა ბრიტანეთის ნაპირზე, რომ ზღვას არ შეხებია...*
*1910 წლის მაისში ორმოცს მიტანებულმა რკინიგზის ინჟინერმა ბესარიონ ქებურიამ გაყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, გამოემშვიდობა ცოლს და პარიზს გაემგზავრა ლუი ბლერიოს, იმ დროისთვის ფაქტობრივად ერთადერთ, საავიაციო სკოლაში.*
*იმავე წელს კი...*

ნანა ჭოხარიძე
ირაკლი ბერიაშვილი



- თქვენ მე მომწონხართ, ბატონო ქებურია! – ეს იყო მომავალი მასწავლებლის პირველი სიტყვები მას შემდეგ, რაც შორეული საქართველოდან ჩამოსულმა მოკლედ მოუთხრო საკუთარ თავზე და სამშობლოზე, – მაგრამ იმისთვის, რომ ჩემი სკოლის მოწაფე გახდეთ, აუცილებელია ფული და სურვილი. სამწუხაროდ, ფული პირველ ადგილზე დგას, რადგან სწავლების პერიოდში უამრავი თვითმფრინავი იმტვრევა. შეხედეთ ამ მანქანებს! ეს საუკეთესო მანქანებია, მაგრამ სრულყოფამდე ბევრი უკლია. ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი აფრენისთანავე ძირს ენარცხება. კარგია, თუ ავარია მხოლოდ პილოტის ტრავმით მთავრდება. არ დაგიმალავთ: დიდი სიმამაცეა საჭირო, რომ ასეთ პრიმიტიულ აეროპლანს ანდოთ თავი, – ბლერიომ გამომცდელად შეხედა თვალებში ქებურიას.

- მე ის არა ვარ, ვინც უკან დახევას არის შეჩვეული, – იყო მორიდებული პასუხი.

- მე გაგაფრთხილეთ. თქვენ კი, თუ მართლა გადაწყვიტეთ, ამ სარისკო საქმეს დაადგეთ, გირჩევთ, ახლავე იყიდოთ ჩემი ერთ-ერთი მანქანა "ბლერიო-XI". ამით თავიდან აიცილებთ იმ უეჭველ ჯარიმებს, თან რომ სდევს თვითმფრინავის ერთობ ხშირ დაზიანებას. და თუ საბოლოოდ არ მოუღებთ ბოლოს, იგი თქვენია და სკოლის დამთავრების შემდეგ თან წაიღებთ.

1910 წლის 29 აგვისტოს ლუი ბლერიომ ბესარიონ ქებურიას საზეიმოდ გადასცა ავიატორის დიპლომი.

■ ■ ■

ბესარიონ ქებურია დაიბადა 1870 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ქვედა ჩხოროწყუში. კიწიაში გაიარა ორწლიანი სკოლის კურსი. მერე სასულიერო განათლება მიიღო.

ერთხელ მწყემსებმა ჯოგის გადასარეკად ფოთში გაიყოლეს. იქ პირველად ნახა მატარებელი. იმდენად დაინტერესდა, რომ რკინიგზის მშენებლობაზე ინჟინერ სლივიცკის მიებარა. საქმეს მალე აუღო ალღო. მერე პეტერბურგს გაემგზავრა, ექსტერნად ჩააბარა გამოცდები და რკინიგზის მშენებლობის ტექნიკოსის წოდება მიიღო. ნიკოლოზ გარსევანიშვილმა, პეტერბურგის საგზაო-საინჟინრო ინსტიტუტის დამაარსებელმა, სთხოვა, დარჩენილიყო და ინჟინრის წოდებაც მიეღო, მაგრამ ბესარიონს სამშობლოში ეჩქარებოდა, არც ფული ჰქონდა და იძულებული გახდა, საქართველოში დაბრუნებულიყო.

ერთხანს ამიერკავკასიაში პირველი რკინიგზის გაყვანაზე მუშაობდა. ბოლოს თბილისში დასახლდა, დაოჯახდა, სამი ვაჟი შეეძინა.

1905 წელს დაიწყო პლანერების გაკეთება. საფრენ ადგილად საბურთალოს გორაკები შეარჩია. ესეც ძალიან სარისკო საქმე იყო, მაგრამ ბესარიონს არაფერი აშინებდა. ხვდებოდა: თუ ძრავა არ ექნებოდა, პლანერს მომავალი არ ეწერა. ამიტომ, როცა გაიგო სენსაციური ამბავი, ლუი ბლერიო საფრანგეთიდან ინგლისში გადაფრინდაო, პარიზს გაემგზავრა, შეხვდა ბლერიოს და სთხოვა, მის სკოლაში სწავლის ნება დაერთო.

სწავლის პირობები საკმაოდ მკაცრი იყო: თეორიული კურსის გარდა, მოწაფეს უნდა ჩაებარებინა გამოცდა – კომისიის წინაშე ცაში აფრენილიყო, შეესრულებინა მანევრები და ზუსტად დამჯდარიყო ასმეტრიან წრეში. იყო სხვა პრობლემაც: ხშირი ავარიების გამო თვითმფრინავი ზიანდებოდა, ჯარიმის ანგარიშს კი სტუდენტს წარუდგენდნენ. ბლერიომ იცოდა ბესარიონის ხელმოკლეობის ამბავი და ურჩია, საკუთარ თვითმფრინავზე ესწავლა ფრენა (საფრანგეთში გამგზავრების წინ იყო კიდევ ერთი სირთულე: როგორც მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელს, ქებურიას თავისი გვარით არ უშვებდნენ. თუმცა, მალე მოინახა გამოსავალი – იგი გაემგზავრა, როგორც ბესარიონ ქებუროვი).

პირველ თვითმფრინავებს სუსტი, 25-ცხენისძალიანი ძრავა ჰქონდა. ოდნავი ქარის დროსაც კი ფრენა სახიფათო იყო. ბესარიონს არც ეს აშინებდა, მაინც ადიოდა ცაში, მით უმეტეს, საჩვენებელ ფრენებზე, როცა ბილეთები გაყიდული იყო, თუმცა, ფათერაკსაც ბევრჯერ გადაურჩა.

1910 წელს, ზაფხულის მიწურულს, ბესარიონ ქებურიამ დაასრულა ლუი ბლერიოს სკოლა და მიიღო მსოფლიოში 210-ე მფრინავის დიპლომი (ერთი წლით ადრე სკოლამ გამოუშვა 16 მფრინავი. №1 დიპლომი თავად ლუი ბლერიოს ჰქონდა). აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას, რომ აქ დაეარსებინა საავიაციო სკოლა.

პირველი საჩვენებელი გამოსვლა ვარშავაში მოეწყო. ბესარიონის ფრენა წარმატებით დამთავრდა, თუმცა, მიწაზე მშვიდობით დაბრუნებული ქართველი მფრინავი დაიბარა ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა სკალონმა და მკაცრად უთხრა:

- ჯარიმა გეკუთვნით. 500 მანეთი ოქროთი უნდა გადაიხადოთ!

- რატომ? – გაუკვირდა ქებურიას.

- ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ცხენები დაფრთხნენ (იმ დროს აეროდრომები არ იყო და ფრენები, ძირითადად, იპოდრომზე იმართებოდა.-რედ.). მეორეც, რომ ჩამოვარდნილიყავით, ვინმე ხომ დაზიანდებოდა...

ამ დროს მფრინავს გამოესარჩლა ვიღაც მანდილოსანი:

- ცაში გამარჯვებულებს არ სჯიან!

ბესარიონს გაუკვირდა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს პატარა ქალი, რომელიც მეფისტოლა კაცთან კამათს ბედავდა. იგი გენერალ-გუბერნატორის ცოლი აღმოჩნდა. ქალმა იქვე სთხოვა, იქნებ მეც ამიყვანოთ ცაშიო. ბესარიონმა სკალონს შეხედა:

- დიდი სიამოვნებით, თუ თქვენი მეუღლე ნებას დამრთავს...

მოგვიანებით ბესარიონი ხუმრობდა, სკალონი ისე ადვილად დათანხმდა, ეტყობა, ცოლის მოცილება უნდოდაო.

როდესაც უკვე ღრმად მოხუცებულ ბესარიონ ქებურიას შვილიშვილები ეხუმრებოდნენ, ალბათ, გენერალ-გუბერნატორის ცოლს ცაში თავი მოაწონეო, ბესარიონი მტკიცედ უარობდა: იმ გასეირნების შემდეგ ქალმა შინ დამპატიჟა. ჩვენებური ხინკლის მსგავსი კერძი მოემზადებინა. ამ პატარა ქალმა ორმოცდაათი ცალი რომ შეჭამა, რა მომაწონებდაო...

■ ■ ■

იმ დროს პეტერბურგში ეწყობოდა მფრინავთა კვირეული. მიწვეული იყვნენ პარიზის საავიაციო სკოლებში აღზრდილი, უკვე სახელგანთქმული უტოჩკინი, ვასილიევი, ლებედევი, პოპოვი... ბესარიონსაც სურდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაფრენებში, რადგან დაწესებული იყო დიდი ფულადი პრიზები (ფული კი სკოლის გასახსნელად სჭირდებოდა), მაგრამ ვასილიევმა თავისი თვითმფრინავი არ ათხოვა, 25-ცხენისძალიანი მანქანით გაფრენას კი აზრი არ ჰქონდა. გულდაწყვეტილი ქებურია სარატოვში გაემგზავრა და იქ მოაწყო საჩვენებელი გაფრენა. სარატოვის იმდროინდელი გაზეთები წერდნენ: ქებურიას მსგავსი ფანატიკოსი არავის უნახავს. იგი საშინელ ქარში აიჭრა ცაში. ამას ვერც ერთი ძლიერი მფრინავი ვერ გაბედავდაო.

პირველი ავარიაც იქ შეემთხვა. თვითმფრინავი ჰაერში ამოტრიალდა. ბედად, ბესარიონი გადარჩა. შემდეგ გააგრძელა გასტროლები ასტრახანში, ყაზანში, ბაქოში...

1910 წლის 24 ოქტომბერს ქებურიამ პირველი გაფრენა მოაწყო თბილისში. მანამდე, ერთი კვირით ადრე, უტოჩკინი ჩამოვიდა თბილისში და მან "დაასწრო" ქებურიას.

მართალია, პირველი გაფრენები წარმატებით დამთავრდა, მაგრამ ვასილიევი მაინც არ დათანხმდა, რომ თბილისში საავიაციო სკოლა გაეხსნათ. მას ერჩია, გასტროლებზე ევლოთ, რადგან ამაში დიდ თანხას უხდიდნენ. თანაც, მათ გამოჩენას მაყურებელი დიდი აღტაცებით ხვდებოდა.

ვასილიევი რუსეთში დაბრუნდა, ქებურია საქართველოში დარჩა.

პირველი გაფრენების დროს რამდენჯერმე შეემთხვა ავარია. ერთ-ერთი ავარია მოხდა მუშთაიდთან, როცა ჰაერში ძრავა გაუჩერდა და საკმაოდ დიდი სიმაღლიდან ვარდებოდა. უცებ მოისაზრა და თვითმფრინავი ისე წარმართა, რომ ორ ხეს შორის ფრთებით გაიჩხირა.

იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები კი ბეჯითად ბეჭდავდნენ სურათებს, რომლებზეც გამოსახული იყო თვითმფრინავი, შიგ – მფრინავი და მის ზურგს ჩაბღაუჭებული სიკვდილი. ფრენის იდეამ ხომ ბევრი რომანტიკოსის სიცოცხლე იმსხვერპლა...

ბესარიონი შეუდგა თავისი თვითმფრინავის კონსტრუქციის დახვეწას. საჭირო იყო უფრო ძლიერი ძრავა. ამ დროს თბილისში ჩამოვიდა ერთი გასტროლიორი. საჩვენებელი გაფრენის დროს მისი თვითმფრინავი მწყობრიდან გამოვიდა, ძრავა კი სადღაც საწყობში ინახებოდა. ვიღაც მეცენატის დახმარებით ბესარიონმა შეიძინა ის 50-ცხენისძალიანი ძრავა და უკვე ძლიერი თვითმფრინავით გადაფრინდა ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სენაკში...

■ ■ ■

1911-1912 წლებში თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, თელაველ ასათიანს, მეტსახელად უტრუხუნეს, ჰქონდა სამიკიტნო, რომელშიც მუდამ ხალხმრავლობა იყო. სწორედ ამ დროს ბესარიონ ქებურია დიდუბის იპოდრომზე აწყობდა საჩვენებელ გაფრენებს. ადამიანის ზეცაში სეირნობას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. უტრუხუნეს სამიკიტნოშიც, ბუნებრივია, ამაზე ლაპარაკობდნენ. ზოგს "ქებურიას გამოგონილი საქმე" წარმოუდგენელ და საშიშ საოცრებად მიაჩნდა, ზოგს არ სჯეროდა ეს ამბავი და ირწმუნებოდა, "აეროპლანს ქებურია კი არა, გადაცმული ეშმაკი მართავსო", ზოგიც ღვთის საწინააღმდეგო საქმედ თვლიდა და მასზე ლაპარაკისაც ეშინოდა, ღმერთი არ გამიწყრესო.

თბილისელმა კინტოებმა, რომელთაც ქებურიას ფრენა ბევრჯერ ენახათ და ამაში შემაშფოთებელს ვერაფერს ხედავდნენ, მოილაპარაკეს და უტრუხუნეს სამიკიტნოს ხუმრობით "აეროპლანი" შეარქვეს.

უტრუხუნემ მოინდომა, თავისი სამიკიტნო რესტორანივით გაელამაზებინა, მდიდრული ფირნიში დაეკიდებინა, კედლები მოეხატვინებინა. ამ სამუშაოს შესრულება სთხოვა მხატვარ ნიკალას, რომელიც ყველაზე იაფად მუშაობდა. როცა ნიკალა მოსალაპარაკებლად მისულა, უტრუხუნეს უთქვამს:

- ცოტა დამაცადე, კარგად მოვიფიქრო, ისეთი სახელი უნდა დავარქვა, რომ მუშტარს არ ეწყინოს და არ ეთაკილებოდეს ჩემ ტრახტირში პურის ჭამაო.

ნიკალამაც დააცადა. როცა ხელმეორედ მისულა, უტრუხუნეს თავისი გეგმა გაუმჟღავნებია. განუზრახავს, რამდენიმე ავტორიტეტიანი კაცი გაეგზავნა დიდუბის იპოდრომზე, რომ იქიდან დაბრუნებულებს ხალხში ხმა გაევრცელებინათ, აეროპლანი ტრამვაისავით ახალი გამოგონებაა და საშიში არაფერიაო.

დათქმული დღეც დადგა. შერჩეული ოთხი კაცი (მათ შორის ერთი – ნიკო ფიროსმანაშვილი) სამიკიტნოს წინ ეტლში ჩაჯდა და იპოდრომისკენ წავიდა. გზად ორი ტომარა ბატიბუტი იყიდეს.

იპოდრომზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ქებურია თვითმფრინავზე ასულიყო და მოტორს ათვალიერებდა. უტრუხუნეს დესპანები ბესარიონთან მივიდნენ და მოსვლის მიზეზი უთხრეს. ქებურიამ გადაიხარხარა: "კარგად მიყურეთ, მეც თქვენსავით ადამიანი ვარ და არა ეშმაკიო". მერე ბატიბუტით სავსე ტომრები მიაწოდეს და სთხოვეს: "თუ ძმა ხარ, ზევით რომ ახვალ, იქიდან გადმოგვაყარეო".

ბესარიონი სიცილს ძლივს იკავებდა. მალე ყველას დაემშვიდობა და თვითმფრინავზე ავიდა. ძრავა ახმაურდა, აპარატი ამოძრავდა, ველოსიპედის მსგავსი თვლები ნელ-ნელა ადგილიდან დაიძრა. ოციოდე მეტრის გავლის შემდეგ მანქანა მიწას მოსწყდა.

უცებ ჰაერში წვრილი მარცვლები გაიფანტა. ცნობისმოყვარეები გაიქცნენ თეთრი ბურთების სანახავად. ახალგაზრდები ბატიბუტს აგროვებდნენ და ერთმანეთს უნაწილებდნენ.

იმხანად თბილისში ყველა ქებურიაზე და თვითმფრინავიდან გადმოყრილ ბატიბუტზე ლაპარაკობდა...

■ ■ ■

როცა მხოლოდ ნიჭზეა საქმე, ქართველები ლიდერებში ვართ, მაგრამ ორგანიზაცია და საქმისთვის თავის მობმა რომ გამოდის წინა პლანზე, აუტსაიდერებში აღმოვჩნდებით ხოლმე.

ამის არა ერთი და ორი მაგალითის გახსენება შეიძლება ნებისმიერი სფეროდან – ტექნიკა იქნება, სპორტი თუ სხვა რამ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველები, შეიძლება ითქვას, კვალში ვედექით ტექნიკის საერთაშორისო მიღწევებს. თავად განსაჯეთ: 1908 წლის 5 მაისს მახათას მთაზე ალექსანდრე შიუკაშვილმა თავისი პირველი გაფრენა შეასრულა პლანერით. იგი პირველი პლანერისტია რუსეთის იმპერიაში; სულ ერთი წელი გავიდა ლუი ბლერიოს მიერ ლა-მანშზე გადაფრენიდან და თბილისის ცაშიც აიჭრა თვითმფრინავი; მსოფლიოში პირველი საავიაციო სკოლის პირველ და მეორე გამოშვებაში სამი ქართველი იყო: ბესარიონ ქებურია, მიხეილ გრიგორაშვილი და ვლადიმერ ერისთავი. საქმე ის არის, რომ ეს ადამიანები ავიაკონსტრუქტორებიც იყვნენ. 19 წლის გრიგორაშვილმა პეტერბურგში პირველი საავიაციო წრეც დააარსა, 1910 წელს კი მონაწილეობდა რუსეთში პირველი თვითმფრინავების აგებაში. იმ წლებშივე იყო სრულიად რუსეთის საავიაციო სასწავლებლის ინსტრუქტორი.

მოდი და, ნუ იტრაბახებ კაცი, როცა ამ დროს პლანეტის ტექნიკურ პროგრესში სულ რამდენიმე ევროპული სახელმწიფო მონაწილეობს. მისი დიდი ნაწილი გაკვირვებული შესცქერის ცის პირველ დამპყრობთ. გაყურსულია სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია, აფრიკა, აზია, დღეს ყბადაღებული იაპონიაც კი. ქართველ ავიატორთა მაშინდელი საქმეები სამოციან წლებში ხელოვნური თანამგზავრების ორბიტაზე გაყვანის ტოლფასია. ჩვენდა სამწუხაროდ, საამისო არც უფლება გაგვაჩნდა, არც სახსრები, იქნებ არც საქმისთვის თავის მობმის უნარი...

ნიჭი? ნიჭი, იცოცხლე...

**P.S. რედაქციის აზრით, პირველმა ქართველმა ავიატორმა უთუოდ დაიმსახურა ის, რომ მისი სახელი, ქართულ ავიაკომპანიას თუ არა, დედაქალაქის აეროპორტს მაინც ერქვას.**





მოკლედ

## მთავარი სოპრანო ქორწინდება


ჯეიმს განდოლფინი

ამერიკელი მსახიობი ჯეიმს განდოლფინი, რომელსაც პოპულარულ სერიალში მთავარი მაფიოზის როლის შესრულებისთვის ტონი სოპრანოს სახელით უფრო იცნობენ (საუბარია სერიალზე "სოპრანოს კლანი") "მექსიკელის" გადაღებებზე ოთხი წლის წინათ დაუმეგობრდა რეჟისორის ასისტენტს ლორა სომოსს. ახლა კი მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, იქორწინოს. განდოლფინი ელოდება როდის გავა ყოფილ მეუღლესთან განქორწინებიდან ერთი წელიწადი. აღსანიშნავია, განდოლფინმა წინა ქორწინება და მომავალ მეუღლესთან დამეგობრება ერთი და იმავე პერიოდში მოახერხა. ამჟამად მთავარი სოპრანო ნიუ იორკის პრესტიჟულ საიუველირო მაღაზიებში დადის და რჩეულისთვის საუკეთესო ნაწარმს არჩევს.

## პრემიერა ახმეტელში

ახმეტელის თეატრში დღეს "საახალწლო ნაძვის ხის ისტორიის" პრემიერა გაიმართება. სპექტაკლის რეჟისორი და ავტორი ოთარ ბაღათურიაა, რომელმაც "საახალწლო ნაძვის ხის ისტორია" ახალი ინტერპრეტაციით დადგა. სპექტაკლში ნუგზარ ხიდურელი, მამუკა მაზავრიშვილი, ვაჟა ციცისაშვილი, ზვიად მებაღიშვილი, დათო წიქარაძე, თამარ ბეჟუაშვილი, რუსუდან ლორია და ნატო ფუტკარაძე მონაწილეობენ. სპექტაკლის სცენოგრაფია აივენგო ჭელიძეს ეკუთვნის, მუსიკა კი - გოგი მაჩაიძეს. "საახალწლო ნაძვის ხის ისტორია" ეკოლოგიის თემატიკაზეა შექმნილი და სასიამოვნო სანახავია როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის. **ინტერ-პრესი**

## ლამაზმანები ხელოვნებაში

"შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა", – ასეთი სახელწოდებით ჟურნალ "ომეგას" გალერეაში გუშინ მხატვართა და პოეტთა შთაგონების წყაროდ ქცეული 18 მანდილოსნის პორტრეტთა ექსპოზიცია გაიხსნა.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია როგორც მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული, ისე საგანგებოდ ამ გამოფენისთვის შექმნილი ნახატები: დიმიტრი ერისთავის "მერი შერვაშიძე", ვასილ შუხაევის "მედეა ჯაფარიძე", ლორეტა შენგელია-აბაშიძის "ლია ელიავა", ზურაბ ნიჟარაძის "ნატო ჩხეიძე", ქეთევან მაღალაშვილის "ნატო ვაჩნაძე", "თინათინ ჯიქია", "ვერიკო ანჯაფარიძე", ნატალია ფალავანდიშვილის "ნინო რამიშვილი" და სხვა. გამოფენაზე, ძირითადად, XIX-XX საუკუნის მშვენიერ ქალბატონთა პორტრეტებია წარმოდგენილი. ერთადერთი გამონაკლისი "სერაფიტაა", რომლის ავტორიც მხატვარი კარლო ფაჩულიაა.

გამოფენისთვის მომზადდა კატალოგი "შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა". აღსანიშნავია, რომ "ომეგა ჯგუფი" და ჟურნალი "ომეგა" ქალთა თემისადმი მიძღვნილი რამდენიმე გამოფენის ავტორები არიან და მომავალშიც აპირებენ ტრადიციის გაგრძელებას. **მედია-ნიუსი**

## ცქვიტინიძე მოსკოვში

დიზაინერი ავთო ცქვიტინიძე მომავალი წლიდან მოსკოვში ქურქების კერვა-გამოშვებას გეგმავს. როგორც დიზაინერმა განაცხადა, იანვრის ბოლოს იგი მოსკოველ პარტნიორებთან ერთად ბეწვეულის შესარჩევად ჩინეთში გაემგზავრება, შემდეგ მოსკოვში შექმნის მოდელებს, რომელთაც პერსონალური სამარკო ნიშნით გამოუშვებს. აღსანიშნავია, რომ აქამდე ცქვიტინიძეს ბეწვეულთან არ უმუშავია.

პარალელურად ავთო ცქვიტინიძე პარიზშია მიწვეული, სადაც ზამთრის კოლექციას წარმოადგენს, შემდეგ კი მილანსა და მოსკოვში გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის ჩვენებებს მოაწყობს. ამჟამად დიზაინერი სწორედ ამ კოლექციებზე მუშაობს. **ინტერ-პრესი**




# დიდი ეკრანი და პატარა ქართული კინო


მოკლემეტრაჟიანი ფილმი

თეონა ჯაფარიძე

ბოლო ათწლეულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახალი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმის წარმოებას საშუალოდ, სულ მცირე ათი წელი სჭირდება. "ვრცელი შემოქმედებითი პროცესის" მანძილზე, ყველაფერი შესაძლებელია მოხდეს: მთავარ გმირებს ასაკი ემატებათ, მთავრობები იცვლებიან, იცვლება ტექნოლოგიები და რაც მთავარია, ძველდება იდეები. ისეც ხდება, რომ ფილმის გასრულების დროს შესაძლებელია აღარც კი გახსოვდეს რისთვის დაიწყე მასზე მუშაობა. საბოლოოდ, თითქმის ყოველი ახალი ქართული ფილმი (და ის ალბათ სულ რამდენიმეა) ტყუპისცალივით გავს ერთმანეთს: არ არის გმირი, არ არის ფაბულა, სამაგიეროდ არიან უფუნქციოდ დარჩენილი ლამაზი და ნიჭიერი მსახიობები, იგრძნობა პროფესიონალი ოპერატორის ხელი და უაზროდ გაბნეული ლამაზი კადრები. საბოლოო ჯამში განყწობა ნიჰილისტური და ირეალურია, ოღონდ ეს განწყობა, ალბათ, აცდენილია რეჟისორის თავდაპირველ ჩანაფიქრს და სწორედ ამიტომ, მაყურებელი დაბნეულია, გულგრილია.

კინოთეატრ "ამირანში" 24 დეკემბრის ღამეს რეჟისორ გენო ცაავას სრულმეტრაჟიანი "6 და 7"-ისა და მოკლემეტრაჟიანი ფილმის – "მეოთხე თვის პირველი დღის პრემიერა გაიმართა. რეჟისორს სრულმეტრაჟიან ფილმზე მუშაობა 1993 წელს დაუწყია. ფილმში ქართველ მსახიობთა დიდი სპექტრია დაკავებული: ბატონ გოგი გეგეჭკორით დაწყებული, კარლო საკანდელიძითა და ედიშერ მაღალაშვილით დამთავრებული. მთავარ როლებში გოგოლა კალანდაძე და მიხეილ გომიაშვილი გვევლინებიან. მიხეილ მედნიკოვის ოპერატორული ნამუშევარიც ბრწყინვალეა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო, მაყურებელი ფილმის მიმართ გულგრილი რჩება.

მოკლემეტრაჟიანი ფილმი "მეოთხე თვის პირველი დღე" ხელწერით ძალიან წააგავს სრულმეტრაჟიან "6 და 7"-ს, ოღონდ აქ 80-იანი წლების ქართული კინოს ექსტრავაგანტული სახე - პაატა მოისწრაფაშვილი მეორდება. ფილმში ნინო თარხან-მოურავი და ია ფარულავა არიან დაკავებულნი. ფილმის ამ სიუჟეტზეც ვერაფერს მოგახსენებთ. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ მისი დასრულების შემდეგ რეჟისორმა ფილმის ფაბულის შესახებ გვიამბო: "ერთხელ მე და პაატა მოისწრაფაშვილმა სასტუმრო "ივერიის" წინ გოგონა დავინახეთ ვიოლინოთი ხელში. პაატას ვთხოვე, მის წინაშე ყრუ-მუნჯი გაეთამაშა და ასე ეიძულებინა ვიოლინოზე დაეკრა. გოგონამ პაატას თხოვნა შეუსრულა. ეს გახლავთ ფილმის ფაბულა."

ბოლოს კი კომენტარის გარეშე შეგახსენებთ, რომ ორივე ფილმი საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დაფინანსების შედეგად შეიქმნა. ცენტრში მსგავსი პროექტები კომისიის შერჩევის შედეგად ფინანსდება.


სრულმეტრაჟიანი ფილმი

# წითელი შარვალი

### ალტერნატიული წინასაახალწლო არტისტული კაპრიზები

ნინო ქანიშვილი

ჩვენს ფოტოგრაფს იურას, თურმე, წითელი შარვლის ჩაცმა უნდა, მაგრამ ვერ იცვამს. ამბობს, რომ ყველას კომპლექსები გვაწუხებს და შავები გვაცვია და თან ჩემი მისამართით იყურება. ასეთი აზრები იურას მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ნინო ნაცვლიშვილის აქცია-წარმოდგენაზე არავინ არ მოვიდა. წარმოდგენა გუშინ 3 საათსა და 15 წუთზე რუსთაველის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა დაწყებულიყო. როგორც სამართლიანად აღნიშნა იურამ, აი ეს "15 წუთზე" ძალიან საეჭვოდ ჟღერდა. არც 3-ის და არც 4-ის "15 წუთზე" არავინ არ მოსულა.

თავად ნინო, ნახევრად ჰიპურად და ნახევრად საკარნავალოდ გამოწყობილი თავს მშვენივრად გრძნობდა. თან საკარნავალო ატრიბუტიკას ალაგებდა რუსთაველის ძეგლის ფეხებთან და თან დათო ბუხრიკიძეს ურეკავდა – "რას შვებიო".

ნინო ნაცვლიშვილმა წარმოდგენა, რომლის ერთადერთი მონაწილე თავად აღმოჩნდა, ახალგაზრდა პენსიონერებს მიუძღვნა. 90-იანელებს, რომლებიც სახლში სხედან და ვერაფერს აკეთებენ; თან მიშასაც (მიხეილ სააკაშვილი) მიუძღვნა - ისიც ხომ 90-იანელია. მაგრამ მიშას არ დაურეკა – ეგენი, ხომ ტელეფონს არ იღებენო.


დამწყები ბერიკა - თემო თარხნიშვილი

ალტერნატიული წარმოდგენა-აქცია, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩაიშალა და არც ჩაიშალა. მასში მონაწილეობა მიიღო 15 წლის თემო თარხნიშვილმა მარნეულის სოფელ უმისიდან, რომელსაც ძალიან უყვარს რუსთაველი და მთელ დღეებს მის პოსტამენტთან ატარებს. თემომ თვლებით მორთული გვირგვინი დაიხურა და ჩვენი სიგარეტიც სიამოვნებით გააბოლა. თან იკითხა, ეს ყველაფერი უფასოაო. თემოს გარდა ნინო ნაცვლიშვილს სოლიდარობა პოლიტოლოგმა პაატა გურგენიძემაც გაუწია – რუსთაველის ძეგლის პოსტამენტი დაგავა და ერთ ლარად "მარადისის" (ასე ჰქვია შემოქმედებით კავშირს, რომელსაც ნინო ხელმძღვანელობს) ლექსიც იყიდა. ბატონ პაატას მეც მივბაძე და ერთი ლექსი, მხოლოდ უფრო დაბალ ფასში შევიძინე. აი ამონარიდი "მარადისის" "პოეზიიდან": **"ამბავს რომელიც დაიწყო არა აქვს ფორმა და დასასრული რადგანაც იგი შორიდან მოდის ფერების, ბგერების, სიტყვების ჯარით. სიჩუმე ახლავს ამ ამბის თხრობას სიჩუმის მუსიკა გაისმის მაინც..."**

წინასაახალწლო წარმოდგენაში, როგორც ნინო ამბობდა, მონაწილეობა უნდა მიეღოთ "მიმოდრამის" მსახიობებს და "მუსკომედიის" მუსიკოსებს. "კომპლექსები აწუხებთ და იმიტომ არ მოვიდნენ, თან ყველა ჰონორარს ითხოვს. მე მინდოდა ხალხისთვის განწყობა მეჩუქებინა, იმ ადამიანებისთვის, ვისაც თეატრში წასასვლელად 10 ლარი არა აქვს... საერთოდ, უსინდისობად მიმაჩნია გრანდიოზული საახალწლო პროექტის გაკეთება, რასაც 31-ში აპირებენ, მაშინ როცა პენსიებს ვერ არიგებენ. თითო მონაწილეს ათას დოლარს გადაუხდიან ორ წუთიან გამოსვლაში. ეს წარმოდგენა კი იმათთვისაცაა, ვინც კომერციულ ხელოვნებაში ვერ ჩაება... საერთოდ, კომპლექსები აწუხებს ხალხს და არ შეუძლიათ ერთი იდეის გარშემო გაერთიანება."

მიუხედავად ნინო ნაცვლიშვილის მიერ ინსპირირებული შემოქმედებითი ალილოობის პირველი მცდელობის ჩავარდნისა, ის ალბათ მაინც გაგრძელდება. წარმოდგენა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი დარჩება გრანდიოზული პროექტის ფონზე, რომელიც ახალი წლის ღამეს გაიმართება. ნინო ნაცვლიშვილს იმედი აქვს, რომ მოხალისეებს შემოიკრებს და 2 იანვარს, ბედობა დღეს, არტ-პერფორმანს გამართავს სახელწოდებით "სიყვარულის შადრევანი". მხატვრები და მოხალისეები დიდ ტილოზე დახატავენ, შემდეგ ამ ტილოს დაჭრიან და "სიყვარულის ნაპერწკლებს" აჭარაში გააგზავნიან.

მე და იურა კი ალბათ ისევ მივალთ არშემდგარი წარმოდგენის გაგრძელების სანახავად, რათა არაკომერციული სასაცილო განწყობა უფასოდ მივიღოთ. იმედია, იურა უკვე წითელ შარვალში იქნება.

# მსახიობი მიკროფონთან, ანუ "რუსთავი 2" წარმოგიდგენთ

### გივი ჩუგუაშვილი 55 წლისაა

დიმიტრი როგავა

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ერთ-ერთ წამყვან მსახიობს, ბატონ გივი ჩუგუაშვილს ორმოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა.

თანამედროვეობის დიდი მაესტრო, მიხეილ თუმანიშვილი ყოველი ახალი ჯგუფისაგან, თეატრალურ ინსტიტუტში, პატარა თეატრს აყალიბებდა. ნიჭიერი ადამიანის მოხვედრა ამ რანგის პედაგოგთან უკვე დიდი გამართლებაა... ბატონ გივისაც გაუმართლა და გახდა ე.წ. "მე-12 აუდიტორიის თეატრის" მსახიობი. სწორედ მისი ჯგუფი წარმოადგენდა თეატრს... ამ ჯგუფის სტუდენტებმა შემდგომში არაერთხელ გაუმართლეს იმედები თავის პედაგოგს.

შემდეგ ძალების მოსასინჯად და ერთგვარ ტრამპლინად დიდი სახეებისაკენ მიმავალ გზაზე რუსთავის თეატრი იქცა. იყო სპექტაკლები ("ჰამლეტი", "რევიზორი", "ცილინდრი"...), სადაც აშკარა იყო მსახიობის მრავალფეროვანი აქტიორული შესაძლებლობანი.

დაინიშნა თუ არა მარჯანიშვილელთა ხელმძღვანელად, თემურ ჩხეიძემ სხვადასხვა თეატრებიდან სულ სამი მსახიობი გადმოიყვანა დასში, მათ შორის გივი ჩუგუაშვილიც და პირველსავე სეზონში ნათამაშევი მაგოემონი ("შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე") სერიოზულ განაცხადად ჩაითვალა, თუმცა წინ უფრო დიდი სიმაღლეები იყო "დასალაშქრი"...


გივი ჩუგუაშვილი ჯაყოს როლში

მარჯანიშვილის თეატრს 80-იანი წლების დასაწყისში, ცნობილი პოლონელი რეჟისორი ბოგდან ჰუსაკოვსკი ეწვია თადეუშ რუჟევიჩის კლასიკად ქცეული დრამის "კარტოთეკის" დასადგმელად. გაეცნორა დასს, გმირის მთავარ როლზე გივი ჩუგუაშვილი შეარჩია. ბრწყინვალე სპექტაკლი გამოვიდა, თუმცა მაყურებელი მაშინ მზად არ იყო ახლებული თეატრალური ფორმების მისაღებად და სპექტაკლი მალე ჩამოშორდა რეპერტუარს, თუმცა თეატრმცოდნეებისათვის წარმოდგენას უკვალოდ არ ჩაუვლია... ბევრი დაიწერა "კარტოთეკაზე" და განსაკუთრებით ბატონ გივიზე.

მსახიობმა კიდევ ერთი დიდი გამოცდა ჩააბარა წარმატებით - ავთანდილ მახარაძის მიერ განხორციელებული ჯაყოს შემდეგ (სატელევიზიო სპექტაკლი "ჯაყოს ხიზნები"), თეატრის სცენაზე გივი ჩუგუაშვილს მოუწია ამ სახის შესრულება. სკეპტიკოსები მახარაძის შემდეგ წარმოუდგენლადაც თვლიდნენ ჩუგუაშვილის წარმატებას, მაგრამ შედეგი სასიხარულო აღმოჩნდა. მისმა ჯაყომ მრავალი ქვეყნის სცენა მოიარა და ყველგან აღფრთოვანებაში მოჰყავდა მაყურებელი.

ჯაყოს შემდეგ მსახიობის თეატრალური წარმატებები მოულოდნელი არავისთვის გამხდარა. ნიკოლოზ ცეხოვოის - აფინოგენოვის "შიშში", დე სანტოსს - გუცკოვის "ურიელ აკოსტაში", პედროს - კაკაბაძის "პორტოპოლოს ტუსაღებში", გარსენს - სარტრის "დახურულ კარს მიღმაში", ნიკოლოზ ხიმშიაშვილს - იოსელიანის "საქართველოს უკანასკნელ დედოფალში", კენტს - "მეფე ლირში", ლოდოვიკოს - "ოტელოში", პეპეს - "მილიონერ ნეაპოლში", ჯონ პროქტორს - მილერის "სეილემის პროცესში" მაყურებლის ოვაცია და დამსახურებული სიყვარული ხვდათ წილად.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო გივი ჩუგუაშვილის კინომოღვაწეობაც, რომელიც დღესაც წარმატებით გრძელდება. ქართულ კინოს დღეს უჭირს, თუმცა ბატონ გივის აქვს მიწვევები სხვადასხვა ქვეყნის კინოსტუდიებიდან.

მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი და გამოცდილება საგამხმოვანებლო საქმიანობაში. "რუსთავი 2"-ის ეთერში ბატონი გივის მიერ ამეტყველებულია მარლონ ბრანდოს, ჟან გაბენის, ფილიპ ნუარეს, უგო ტონიაცის გმირები, პერსონაჟები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სერიალიდან "სოპრანოს კლანი".

ცნობილმა თეატრმცოდნემ ნათელა არველაძემ მაღალი შეფასება მისცა გივი ჩუგუაშვილს, მის მიერ გახმოვანებულ კორლეონე - მარლონ ბრანდოს "ნათლიაში". შეადარა რა ამ ფილმის რუსულ დუბლირებას, აღნიშნა, რომ თუ რუსი გამხმოვანებლები კორლეონეს დამნაშავეთა სამყაროს ტიპურ წარმომადგენლად წარმოგვიდგენდნენ, ჩუგუაშვილის შემთხვევაში, ბრანდოს გმირი, უპირველესად ძალიან საინტერესო პიროვნებაა, ძლიერიც, მკაცრიც, ადამიანურიც, სამართლიანიც... მასშტაბურიც.

ბატონო გივი! სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" და გაზეთი "24 საათი" გილოცავთ საიუბილეო თარიღს.

# ამერიკულ-ბრიტანული ვარიაციები შობაზე







*31 დეკემბრის ჩათვლით ბეკინგემის სასახლე ასე გამოიყურება*

ბრიტანული გაზეთის, "გარდიანის" წინასაშობაო ნომერს ჩვეულებრივზე უფრო ირონიული ტონი დაჰკრავდა. ირონია, ძირითადად, ჯორჯ ბუშისა და ტონი ბლერისადმი იყო მიმართული. ეს განწყობა გაზეთის ცნობილმა კარიკატურისტმა სტივ ბელმა თავის მორიგ შარჟში გამოხატა: სანტა კლაუსის ფორმაში გამოწყობილ ჯორჯ ბუშს ხელში უჭირავს ლანგარზე დადებული ინდაური, რომელსაც ტონი ბლერის თავი აქვს, ყელზე კი ბრიტანეთის დროშის ფერებში გაწყობილი ყელსახვევი უკეთია. ბუში გვეუბნება: ღმერთმა დაგვლოცოს ჩვენ – თითოეული ჩვენგანი. ამ ფრაზაში სასაცილო სიტყვების თამაშია: us – როგორც "ჩვენ" და us – როგორც ამერიკის შეერთებული შტატების აბრევიატურა (ამ შემთხვევაში კი წარწერა ასე წაიკითხება: "ღმერთმა დალოცოს აშშ – ჩვენ და თითოეული ჩვენგანი").

თუ სტივ ბელმა "გარდიანის" მკითხველს კარიკატურის სახით საშობაო მისალოცი ბარათის ალტერნატივა შესთავაზა, იმავე ნომერში ჯულიან ბორგერმა აშშ-ს პრეზიდენტის მიერ დაგზავნილი ნამდვილი მისალოცი ბარათები მიმოიხილა.

საუბარია იმ მილიონნახევარ საშობაო ბარათზე, რომელიც ბუშმა თავის ახლო მეგობრებს, კეთილის მსურველებსა და მხარდამჭერებს გაუგზავნა. ცხადია, ფოსტაში თეთრი სახლიდან გამოგზავნილი კონვერტის აღმოჩენამ ყველა სიამაყით აღავსო, მაგრამ როდესაც ადრესატებმა შეიტყვეს, რომ მთელი მილიონნახევრიანი მასის რიგითი წევრები იყვნენ, აღტაცება გაუქრათ.

თუმცა, მეორე მხრივ, ის, რომ ბუში რეკორდული რაოდენობის ბარათებს აგზავნის მის პოპულარობაზე მიუთითებს. ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ-ს პრეზიდენტს, მართლაც, მრავალი მხარდამჭერი ჰყავს.

ეს საქმე კი – პრეზიდენტის მისალოცი ბარათების დაგზავნა, თავის დროზე, დუაიტ ეიზენჰაუერმა დაიწყო. დაახლოებით 50 წლის წინ, მან თავად დახატა აბრაამ ლინკოლნის პორტრეტი და შობის მისალოცი ბარათების სახით ათას ასს ადრესატს გაუგზავნა.

წელს კი, ბუშმა ეს ციფრი, როგორც ხედავთ, რეკორდულად გაზარდა. მან შეგნებულად არ მიბაძა ტონი ბლერს, რომელმაც საშობაოდ თავისი ოჯახის ფოტო გაუგზავნა ახლობლების ვიწრო წრეს და თავის ბარათზე თეთრი სახლის პეიზაჟი გადაიტანა. ასე რომ, წარწერას "გილოცავთ შობის დღესასწაულს" ბუშის ბარათზე ცეცხლთან დადგმული ორი ყვითელი სავარძლის სურათი ამშვენებს. იქვეა ბიბლიური იობის ფრაზაც: "შენ მე სიცოცხლე და სიკეთე მაჩუქე და შენმა ზრუნვამ სული გადამირჩინა" (You have granted me life and loving kindness; and your care has preserved my spirit).

ასე რომ, წელს ჯორჯ ბუში მისალოცი ბარათების ამბიდან სკანდალის გარეშე გამოძვრა (რასაც ვერ ვიტყვით შარშანდელ წელზე, როცა მის მისალოც ბარათზე აღბეჭდილმა პრეზიდენტის პიანინომ საზოგადო უკმაყოფილება გამოიწვია); თუმცა, წელს ყურადღების ცენტრში მოექცა ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი. მან თავის ბარათში ფრანკლინის ციტატა მოიყვანა, რომელშიც ორი მტკივნეული სიტყვა დომინირებს – "იმპერია" და "მოკლული ბეღურა". პირველმა სიტყვამ, ცხადია, პოლიტიკური მიმომხილველები გააღიზიანა. მათ სურთ, გაიგონ, თუ რომელ იმპერიაზე გვესაუბრება ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი. ბეღურების გამო კი ხმა ველური სამყაროს დამცველებმა აიმაღლეს. მათ ისიც გაიხსენეს, რომ ბეღურების ციდან ჩამოგდება დიკ ჩეინის არა მარტო ქაღალდზე, არამედ ცხადშიც იტაცებს: ნოემბერში პენსილვანიაში გამართული ნადირობის დროს გალიებიდან 500 ხოხობი გამოუშვეს, მათგან მხოლოდ ასი გადარჩა. ველური სამყაროს დამცველმა აქტივისტებმა ჩათვალეს, რომ ეს უფრო "მასობრივი მკვლელობა" იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ნადირობა...

თუმცა, ასეა თუ ისე, შობა გუშინ ბრიტანეთშიც და ამერიკაშიც მშვიდობიანად დადგა. განსაკუთრებული სანახაობა ლონდონში მოეწყო. იქ 2 დეკემბერს ბობ გელდოფის მიერ დაწყებული ტრადიცია გაგრძელდა და ველინგტონის თაღთან ერთად ბეკინგემის სასახლეც შთამბეჭდავი ვიდეო-პროექციის საშუალებით ბოლომდე განათდა. ამ პროექტს მობილური ტელეფონების ქსელი "ორინჯი" და ბობ გელდოფი ერთად ახორციელებენ. მათი ჩანაფიქრის მიხედვით, ახალი წლის დადგომამდე ყოველ ღამით განათდება ლონდონის ყველაზე ღირსშესანიშნავი შენობები, მათ შორის: ბეკინგემი, ველინგტონის თაღი, იმპერიული ომის მუზეუმი, ტეიტი, ნაციონალური თეატრი და დედოფლის სახლი გრინვიჩში. ილუმინაციებიდან ყველაზე შთამბეჭდავი კი, მზესუმზირების გამოსახულებაა, რომელიც პირველად ველინგტონის თაღზე გამოჩნდა, ახლა კი ბეკინგემსაც დაამშვენებს. სამეფო სასახლეს ძალიან უხდება მთელ სიგრძე-სიგანეზე გადაჭიმული ბრიტანეთის დროშის ილუმინაციაც. ასე რომ, დღესასწაული გრძელდება. 31 დეკემბრამდე საჩუქრების ყიდვისა და მისალოცი ბარათების დასაგზავნად დრო კიდევ რჩება.

# საუბარი ედგარ ალან პოზე

ციკლიდან "ახალი განზომილება"

ნანა ბასილაშვილი

"მე მიყვარს ყველაფერი აკადემიური ზუსტი და ნაღდი და არ მიყვარს არაფერი, რაც მოკლებულია ჭეშმარიტებას", - ეს განმარტება დავით-დეფი გოგიბედაშვილმა გუშინ, "წიგნის სახლის" საანონსო დაფასთან გააკეთა (არა საჯაროდ), სადაც დათო გოგიბედაშვილისა და ედგარ პოს ნაცვლად, დავით-დეფი გოგიბედაშვილი და ედგარ ალან პო დაიწერა. ეს ორი სახელი ერთმანეთს იმ მიზეზით დაუკავშირდა, რომ ზაალ სამადაშვილის შემოქმედებითი საღამოების ციკლის - "ახალი განზომილება", მორიგმა სტუმარმა, თავის მხრივ, საღამო ედგარ ალან პოს მიუძღვნა.

ვიდრე გოგიბედაშვილი პოს შესახებ დაიწყებდა საუბარს, თავად დეფიზე ზაალ სამადაშვილი გაგვესაუბრა. "მე ვპატიჟებ იმ ადამიანებს, რომლებიც გარდა იმისა, რომ ჩემი მეგობრები არიან, იმ მწერალთა და პოეტთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომელთა კრებულებისა თუ წიგნების კითხვა არა მხოლოდ მე, არამედ ძალიან ბევრს, ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებს. დათოსთან არც ისე დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, თუმცა მის შემოქმედებას ყოველთვის თვალს ვადევნებ, ჩვენ "ვარდების რევოლუციამ" დაგვამეგობრა და რასაკვირველია,



*გოგიბედაშვილი, სამადაშვილი და ედგარ ალან პო*

პოსტრევოლუციურ მეგობრობასაც ვაგრძელებთ", - ზაალ სამადაშვილმა სიტყვა კოლეგას გადასცა. ვიდრე დეფი, უშუალოდ, პოს პიროვნებასა და შემოქმედებაზე საუბარს დაიწყებდა, მან დამსწრე საზოგადოებას მოკრძალებულად, ისევ და ისევ პოს შემოქმედების პატივსაცემად, მობილურების გამორთვა სთხოვა. პოს სევდიან და საოცარ სამყაროში (რომელიც ქართველმა მწერალმა ძალზედ საინტერესოდ დახატა) მობილურების წკრიალის გარეშე მოგზაურობა მართლაც სასიამოვნო იყო.

"ედგარ ალან პოს მსოფლიო თანამედროვე ლიტერატურის, აზრის, ჟანრების, დამოკიდებულებების, პოეზიის პრინციპების საწყისად მივიჩნევ. მე პოს გენიალურზე მაღლა ვაყენებ. დიდი სურვილი მაქვს, იმისა, რომ თითოეული მკითხველი ძალიან ახლოს მივიდეს ედგარ ალან პოს გენიალურ პიროვნებასა და შემოქმედებასთან, ძირისძირობამდე გაიცნოს, შეიყვაროს და დააფასოს იგი", - დავით-დეფი გოგიბედაშვილის საღამო ამ "უბრალო" სურვილის განსახორციელებად, საუკეთესო საშუალება იყო. ყოველ შემთხვევაში, სტუმრების შეფიქრიანებული სახეები, საინტერესო კითხვები და მასპინძლის მისამართით გულწრფელი მადლობები, ამის თქმის საშუალებას იძლევა.

# CD მიმოხილვა

Red Hot Chili Peppers

By The Way




უკვე ოცი წელია "პეპერსები" მუსიკას ქმნიან – დაიწყეს პანკის ტრადიციიდან, შოკში აგდებდნენ პუბლიკას თავიანთი საკონცერტო გამოსვლებითა და ალბომების ყდებით (კლასიკურად მიიჩნევენ ერთ-ერთ ალბომს, რომლის გარეკანზეც მუსიკოსები შიშვლები დგანან და მამაკაცურ ღირსებაზე გრძელი თეთრი წინდები აქვთ ჩამოცმული). ჯგუფი ხშირად იცვლიდა როგორც შემადგენლობას, ასევე მუსიკალურ მიმართულებასაც. ამ ხნის განმავლობაში ჩაწერილი ათეულობით ალბომის შემდეგ, რომლებიც, ძირითადად, ფანკის, როკის, რეპისა და მეტალის ნარევია, 1995 წელს ალბომ One Hot Minute-ის წყალობით, ჯგუფმა როგორც იქნა, საკუთარი ორიგინალური ჟღერადობა იპოვა. კიდევ უფრო წარმატებული გამოდგა 1999 წლის Californication – ალბომის გამოსვლისთანავე მუსიკალური სამყარო "კალიფორნიზაციით" დაავადდა.

გაყიდული 12 მილიონი დისკი უკვალოდ არ ჩაივლის (დისკი მთელ მსოფლიოში 12 მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა). მსოფლიო ტურნეებისა და მდიდარი როკერების ცხოვრებით ტკბობის შემდეგ "პეპერსებმა" სიმღერების წერა გააგრძელეს. და აი, სამი წლის შემდეგ გამოდის Californication-ის ერთგვარი გაგრძელება საკმაოდ თავმდაბლური სახელწოდებით: By the way (სხვათა შორის).

დისკი კარგად დაწერილი სიმღერების ერთობლიობაა; ეს სიმღერები, ერთი მხრივ, ადრეული nu-metal ჯგუფების ჰიტებს მოგვაგონებენ, მეორე მხრივ, არ ივიწყებენ ელემენტარულ მელოდიურობას. პირველი სინგლი By the way სწორედ ასეა დაწერილი და თუკი იგი მოგეწონებათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მთელი დისკიც ასევე ესიამოვნება თქვენს გულს. "პეპერსები" თავიანთ ახალ სიმღერას "პომპეზურ, მაგრამ მელოდიურად" მიიჩნევენ. "By the Way – ეს არის ჩვენი საყვარელი ლოს ანჯელესის პეიზაჟი," - ამბობს ენტონი კიდისი. "ამავე დროს სიმღერა იმაზეცაა, რომ ადამიანები ყიდულობენ და ყიდიან ნარკოტიკებს, პროსტიტუციით ირჩენენ და ირთობენ თავს, თამაშობენ აზარტულ თამაშებს. აი, ასეთი მრავალფეროვანია ეს სიმღერა -ყველაფერია შიგ". თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ალბომი ერთ-ერთი საუკეთესოა ჯგუფის მთელ კარიერაში. მუსიკოსები აგრძელებენ ექსპერიმენტებს ჟღერადობაში, რითაც აოცებენ აუდიტორიას და იპყრობენ იმ მოზარდების გულებს, რომლებიც დაიღალნენ უამრავი ერთფეროვანი nu-metal ჯგუფებით.

ბოლო ალბომით "პეპერსები" ლათინური მუსიკის სიყვარულშიც გამოუტყდნენ მსმენელს. როგორც მოგვიანებით აღიარეს, სტუდიაში მუშაობისას მათი შთაგონების წყარო სწორედ ეს რიტმები იყო. შედეგად კი მივიღეთ By The Way-ში ლათინურმისამღერიანი Cabron; თუკი მაინც შესაძლებელია ამ ალბომიდან რომელიმე ცალკეული სიმღერის გამორჩევა, სიამოვნებით ავირჩევდი "პეპერსებისეული" ენერგიით სავსე Can`t Stop-ს.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს პირველივე სინგლზე გადაღებული კლიპი, რომელმაც ეკრანებზე გამოჩენისთანავე ამაყად აალაპარაკა "პეპერსომანები". მუსიკალური ვიდეორგოლის ავტორები მუსიკოსებთან ერთად არიან რეჟისორები - ჯონათან დეიტონი და ვალერი ფარისი. მანამდე ისინი Korn-თან და Smashing Pumpkins-თან თანამშრომლობით გაიცნო მუსიკალურმა მსოფლიომ. მოკლედ, ამ ყველაფრის შემდეგ აღარაა გასაკვირი, რომ By The Way გამოსვლისთანავე 16 ქვეყნის ჰიტ-აღლუმების სათავეებში მოექცა.

# ახალი ამერიკული კითხვა: ვინ გინდა იყო შენ?

რა სურთ ქალებს? – მელ გიბსონის ამ პოპულარული კომედიის შემდეგ ჰოლივუდმა კითხვა ქალების შესახებ ახლებურად დასვა: რა უნდა აკეთონ ქალებმა? ანუ, ამჯერად ამერიკელებს სურთ, საბოლოოდ გაიგონ: ქალები, პირველ რიგში, კარგი ცოლები და დედები უნდა იყვნენ, თუ წარმატებული საქმოსნები; დამოუკიდებლობის სურვილით სავსე, თუ სიყვარულისთვის თავგადადებულნი.

1970-80-იან წლებში ქალებს სჯეროდათ, რომ ბოლომდე უნდა ებრძოლათ იდეალური შედეგის მისაღწევად. შესაბამისად, თუ ვერ ახორციელებდნენ მიზანს – ვერ იკეთებდნენ შესანიშნავ კარიერას, ვერ ჰყავდათ მოსიყვარულე ქმარი, შინაური ცხოველი, ჭკვიანი და უზრუნველი შვილები, მაშინ თავიანთი სქესის შემარცხვენლად ითვლებოდნენ. დღეს, რა თქმა უნდა, ასე აღარ არის.

სწორედ ქალის როლზე ამახვილებს ყურადღებას 2003 წლის ბოლოს გამოსული ორი ფილმი: "მონა ლიზას ღიმილი" (ჯულია რობერტსის მონაწილეობით) და "რაღაც შენც უნდა გაიღო" (ჯეკ ნიკოლსონი და დაიან კიტონი). ერთი მოგვითხრობს დროზე, როდესაც საზოგადოება ქალისგან ოჯახის შექმნისა და დედობის მეტს არაფერს მოითხოვდა, მეორე კი წარმოგვიდგენს წარმატებულ, კარგი სამსახურის მქონე შუახნის ქალს, რომელიც მოულოდნელად ახალ რომანს გააბამს.

"მონა ლიზაში" მოქმედება 1953 წელს ხდება. ქეთრინ უატსონი (ჯულია რობერტსი) ხელოვნების მასწავლებელია, რომელიც უელესლის ქალთა კოლეჯში ასწავლის და თანდათან ხვდება, რომ თავის ნიჭიერ სტუდენტ გოგონებს სარფიანად გათხოვებისთვის ამზადებენ და მეტი არაფერი. მთელ დაწესებულებაში არსებობს ერთადერთი პრიორიტეტი – ქორწინების ბეჭედი და მარტოდ დარჩენისა და საზოგადოებრივი ნორმებიდან ამოვარდნის დაუძლეველი შიში. რობერტსი ამ იდეალებს თავის ნონკონფორმისტულ იდეებს უპირისპირებს და იწყება ბრძოლა დამკვიდრებულ დოგმებსა და ახალ იდეებს შორის.

რაც ყველაზე მთავარია, ფილმში მოთხრობილ ამბებს უელესლის კოლეჯის რეალური კურსდამთავრებულებიც ეხმიანებიან. როგორც 1954 წლის გამოშვების ქალბატონები ახლა იხსენებენ: მაშინ კარგი განათლების მიღებას ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა – კარგად გათხოვება. კოლეჯის დასრულების დროს გოგონების 90 პროცენტი ან დანიშნული იყო, ან უკვე გათხოვილი.

რაც შეეხება "მონა ლიზას ღიმილს", ყველამ იცის, როგორ დამთავრდა უელესლის კოლეჯში განვითარებული ისტორია: ძალიან ბევრმა გოგონამ არჩევანი განათლებასა და იძულებით (იგულისხმება პრესინგი, რომელიც საზოგადოებრივი ნორმებისგან მოდიოდა) გათხოვებას შორის, პირველის სასარგებლოდ გააკეთა – სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა, ერთ-ერთმა მათგანმა კი იელის დიპლომი მოიმარჯვა, ბილ კლინტონზე გათხოვდა, თეთრ სახლში იცხოვრა, ქმრის გამო დიდი სირცხვილი გადაიტანა, და ბოლოს, სენატორი გახდა. ჰილარიმ ერთხელ თქვა კიდეც: "რა თქმა უნდა, შემეძლო, შინ ჩავმჯდარიყავი, ნამცხვრები მეცხო და ჩაი მესვა, მაგრამ მე ვარჩიე ჩემი პროფესიული ზრდისთვის ყველაფერი გამეღო".

თუმცა, ეს ცალკეული მაგალითები საკითხს მაინც არ წყვეტს. ქალებმა დღემდე არ იციან, სად არის მათი ბედნიერება – ოჯახში, სამსახურში, თუ ამ ყველაფრის ნაზავში. სხვათა შორის, "მონა ლიზას" პროდიუსერიც ქალია – ელაინ გოლდსმიტ-ტომასი. სანამ სურათი დიდ ეკრანზე გამოვიდოდა, მან ფილმი რამდენიმე კოლეჯში უჩვენა. "გოგონებმა თქვეს, რომ "მონა ლიზაში" იგივე თემებია წამოჭრილი, რაც მათ აღელვებთ. კითხვა მათთვის ასე კი არ ისმება – შეიძლება, ყველაფერი მქონდეს? არამედ ასე – რასაც ვაკეთებ, საკუთარი სურვილით ვაკეთებ? ჩემი თაობის ქალები, რომელთაც 80-იან წლებში შინ დარჩენა არჩიეს, დანარჩენებმა სასტიკად გააკრიტიკეს. ასე რომ, თუ არჩევანის თავისუფლებისთვის ვიბრძვით, მაშინ დიასახლისი ქალების არჩევანსაც ხომ უნდა ვცეთ პატივი? პირადად ჩემთვის - გქონდეს ყველაფერი, ნიშნავს საკუთარი გზით სიარულს. თორემ არჩევანის გაკეთება ხომ საკითხს არ წყვეტს – პირიქით, ყველაფერი მერე იწყება", - აცხადებს გოლდსმიტ-ტომასი.

ვთქვათ და, 50-იან წლებში უელესლის კოლეჯის კურსდამთავრებული წარმატებული სცენარისტი გამოვიდა, გააჩინა ქალიშვილი და შემდეგ გაეყარა ქმარს – ამ ფორმულით მივიღებთ მეორე ჰოლივუდური ფილმის "რაღაც შენც უნდა გაიღო" მთავარ გმირს – დაიან კიტონის პერსონაჟს ერიკა ბერის.

ერიკა ბედს არ უჩივის: შესანიშნავად გამოიყურება, თავის ქალიშვილთან გადასარევი ურთიერთობა აქვს, სამსახურში ყველა პატივს სცემს და ფუფუნებით ცხოვრებისთვის ფულიც ჰყოფნის. თუმცა, ეს მისთვის ყველაფერი მაინც არ არის, მას სიყვარული აკლია და ბოლოს თავისი ქალიშვილის საყვარელთან, ჰარი სენბორნთან (ჯეკ ნიკოლსონი) გააბამს რომანს...

ასე რომ, რა ქნან – ქალებს, მართლაც, ყველაფერი უნდათ და სწორედ ეს იგრძნობა ამ ორ ახალ ამერიკულ ფილმში. თუმცა, სანამ მანდილსონები ამ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ და ცდილობენ პასუხი უპოვონ კითხვას – რა მინდა ვიყო მე? ორივე სურათი კინო-თეატრებს იპყრობს და ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეულშიც ლიდერობს. როგორც ჩანს, ეს თემა ამერიკელი ქალებისთვის, მართლაც, მნიშვნელოვანია.

ფეხბურთი

# გაზაევი კვლავ უმუშევარია



გაზაევი წარუმატებლობას "ცსკ"-ს აბრალებს.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში, ვალერი გაზაევი დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა. მოსკოვის "ცსკ"-ში და რუსეთის ნაკრებში მის მუშაობას მეტად წარმატებულად აფასებდნენ და გაზაევს "მხსნელს" უწოდებდნენ. საქართველოს წინააღმდეგ თბილისში განცდილი მარცხის შემდეგ გაზაევის საქმეები ცუდად წავიდა. ის რუსეთის ნაკრებიდან დაითხოვეს, შემდეგ კი "ცსკ"-ს მწვრთნელობაზეც თქვა უარი.

გაზაევი ამჟამად უმუშევარია და ახალ სამსახურს ეძებს. მანამდე კი რუსეთის ნაკრებში საკუთარ მოღვაწეობას აფასებს:

- ჩემს მოღვაწეობას ობიექტურად ვაფასებ. ერთის მხრივ, ჩვენ ირლანდიის ნაკრების დამარცხება მოვახერხეთ და ეს მეტად დამაჯერებლად გავაკეთეთ. მეორეს მხრივ, დავმარცხდით ალბანელებთან. უნდა აღვნიშნო, რომ ორი საქმის შეთავსება რთული აღმოჩნდა. სწორედ "ცსკ"-ში პარალელურად მუშაობა მიმაჩნია იმ წარუმატებლობების მთავარ მიზეზად, რომლებიც კარგი სტარტის შემდეგ იწვნია ჩვენმა ნაკრებმა. ამიტომაც გადავდექი. ვხედავდი, ნაკრებს შანსი ჰქონდა და ჩავთვალე, რომ ახალი მწვრთნელი გუნდისათვის დამატებითი მოტივაცია იქნებოდა. გულითადად ვულოცავ გიორგი იარცევს ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას.

# საახალწლო საჩუქარი ბექჰემს

ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი არასოდეს მალავს, რომ გუნდის წამყვან ფეხბურთელთან, კაპიტან დევიდ ბექჰემთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს. სულ ახლახან, ერიქსონმა განაცხადა, რომ ფეხბურთელებისადმი მისი დამოკიდებულება წმინდა პროფესიულ ურთიერთობებს სცილდება. "მე და ბექჰემი ნამდვილი ძმებივით ვართ", - ამბობს ერიქსონი.

ინგლისის ბულვარული პრესა ამტკიცებს, რომ ერიქსონისა და ბექჰემის ასეთი შეხმატკბილებული ურთიერთობა მეტად აღიზიანებს დევიდის მეუღლეს, ვიქტორია ადამსს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვიქტორია ძალიან ეჭვიანია.

მაგრამ, ინგლისის პრესას ხშირად არ დაეჯერება. ის, რომ ვიქტორია ერიქსონზე ეჭვიანობს, ალბათ, არ იქნება მართალი. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომელსაც ჩვენი ინგლისელი კოლეგები იშველიებენ. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ვიქტორია ერიქსონში თავის კონკურენტს ხედავს და ყველაფრით ცდილობს, რომ მეუღლე ნაირ-ნაირი სიურპრიზებით გააოცოს.

აკეთებს თუ არა ამას ვიქტორია ერიქსონის გამო, უცნობია. მაგრამ მისი საახალწლო საჩუქარი ნამდვილად ორიგინალურია. "დევიდს ყველაფერი აქვს. მისთვის საჩუქარი რომ შევარჩიო, ტვინს ვიჭყლეტ ხოლმე. ახლაც ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ საახალწლოდ მას საკუთარი თავი ვაჩუქო", - ამბობს ვიქტორია.

ახალი წლის ღამეს, ვიქტორია სასაჩუქრე ყუთში ჩაძრომას აპირებს, შემდეგ კი იქიდან ამოხტება, სრულიად შიშველი...

## TV-სპორტი

### პარასკევი. 26 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: რიკ ბერი
08:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები" წელი 2002. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. DALLAS MAVERICKS - SACRAMENTO KINGS. მე-4 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
15:15 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები
15:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. "ბავარია" – "ანდერლეხტი"
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 FUTBOL MUNDIAL
17:30 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები
19:15 "პოსტსკრიპტუმი"
19:45 "გამჟღავნება" არაბულად. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები
20:30 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
21:00 თავისუფალი დარტყმა
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
23:10 თავისუფალი დარტყმა
23:30 იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები
01:25 "გამჟღავნება" არაბულად. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები
02:10 02:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV – NBA შიგნიდან
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. დღიური
05:30 NBA TV. SAN ANTONIO SPURS - ORLANDO MAGIC. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 16:30, 19:55 პრესცენტრი
11:15, 20:10 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 "მოტოვებული კვირა"
12:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
13:00 "თოვლის სამყარო"
13:30 "ჩქაროსნული სამყარო"
14:40 "Power week – NHL-ის კვირა"
15:05 სნოუბორდი. მსოფლიო თასი შვედეთში
15:35 ტაილანდური კრივი
16:50 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის ფინეთში. სლოვაკეთი – რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 მოტოსპორტი. შოუ მოტოსპორტის ვარსკვლავთა მონაწილეობით
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის ფინეთში. კანადა – ფინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:50 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
23:20 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
00:05 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:30 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე
01:15 ახალი ამბები
01:30 ამერიკული ფეხბურთის ფანკლუბი
02:00 02:00-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. ST. LOUIS BLUES - COLORADO AVALANCHE. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 სნოუბორდი. შეჯიბრება ავსტრიაში
12:00 ექსტრემალური სპორტი
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი აშშ-ში
14:00 სპორტული ცეკვები. ლათინური ცეკვების მსოფლიო ოსტატები ავსტრიაში
15:00 ფეხბურთი. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
18:30 მულტისპორტი
19:00 ფეხბურთი. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგა
00:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
02:00 ფიტნესი. მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში
03:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. გრან-პრი აშშ-ში
04:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

# მნიშვნელოვანი წელი „კაიზერ ფრანცისთვის"

*2003 წელი მნიშვნელოვანი იყო სპორტის სამყაროს წარმომადგენელთათვის. ზოგმა დიდ გამარჯვებებს მიაღწია, ზოგმაც მარცხი იწვნია. 2003 წლის გამარჯვებულთა სიას ფრანც ბეკენბაუერიც განეკუთვნება. მან შეძლო, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება გერმანიას მოეპოვებინა. მიუნხენის "ბაიერნის" პრეზიდენტობასთან ერთად ბეკენბაუერი მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტსაც უდგას სათავეში.*



2004 წელს ბეკენბაუერი დიდ იმედებს უკავშირებს.

**- ბატონი ფრანც, იქნებ შემდეგი წინადადება დაასრულოთ: "შობა ულამაზესი დღესასწაულია ჩემთვის, რადგან ..."**

- ...რადგან საშუალება მეძლევა, რომ გარკვეული ხნით ყველაფერს გამოვეთიშო, განვიტვირთო. არ უნდა ვიფიქრო მეორე დღეს დაგეგმილ შეხვედრებზე.

**- შობას და ახალ წელს შორის პერიოდს მე ვიყენებ ...**

- ... ჩემი ოჯახის წევრებთან საურთიერთოდ.

**- რა იყო თქვენთვის 2003 წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა?**

- ჩემი ქალიშვილის ფრანჩესკა ანტონის დაბადება.

**- და რა იყო ზედმეტი?**

- ზედმეტი იყო ყველაფერი ის, რისთვისაც გაბრაზება მიწევდა. თუმცა, ახლავე ვიცი, რომ გასაბრაზებელი 2004 წელსაც ბევრი მექნება.

**- რომელმა სპორტულმა მიღწევამ დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება 2003 წელს?**

- ცხადია, გერმანიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრების გამარჯვებამ აშშ-ში, მსოფლიო ჩემპიონატზე და იმ დახვედრამ, რომელიც მათ ფრანკფურტში მოუწყეს.

**- და რამ გაგიცრუათ იმედები?**

- იმან, რომ წლის პირველ ნახევარში, ჩემპიონთა ლიგის დასკვნით ფაზაში "ბაიერნი" აღარ მონაწილეობდა.

**- როგორ ანაწილებთ ძალებს, "ბაიერნში" მოღვაწეობის პარალელურად, მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად?**

- 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჩემი დიდი მიზანია. ფეხბურთელობისა და ნაკრების მწვრთნელობის შემდეგ მომავალი ჩემპიონატი ახალი, უდიდესი გამოწვევაა ჩემთვის. ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ, თუ როგორ ახარებს ხალხს ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატს გერმანია უმასპინძლებს. "მსოფლიო სტუმრად მეგობრებთან", - ჩვენი ეს დევიზი რეალურ ცხოვრებაში უნდა გავატაროთ და ამაზე მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ფრანკფურტში გამართული კენჭისყრისას კარგად დავინახეთ, რომ სწორ გზას ვადგავართ. ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს. ამ ადამანებთან ერთად მუშაობა იმდენად სასიამოვნოა, რომ დროის უქონლობის პრობლემა საერთოდ აღარ მაწუხებს. ასეა "ბაიერნშიც", სადაც, ასევე, შესანიშნავი გუნდი მუშაობს. ჩვენ ისე კარგად ვართ შეთამაშებულები, რომ ეს "ორმაგი თამაში" არავითარ პრობლემას არ მიქმნის.

**- რას ისურვებდით მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით 2004 წელს?**

- იმას, რომ ყველაფერი ისევე მშვიდად გაგრძელდეს, როგორც აქამდე მიდის.

**- რა ნაბიჯები უნდა გადადგათ და რა ღონისძიებები გაქვთ დაგეგმილი მომავალ წელს?**

- 2004 წელი ჩვენთვის მხოლოდ გარდამავალი წელი არ იქნება. სწორედ ამ წელს უნდა ჩაიყაროს მომავალი წარმატებების საძირკველი. ჩვენ კარგად დავიწყეთ - მოვიპოვეთ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება, უკვე მოვაგვარეთ მატჩებზე დასასწრები ბილეთების საკითხი, შევადგინეთ თამაშების კალენდარი. დაწყებული საქმე ასეთივე შემართებით უნდა გავაგრძელოთ. მოსაგვარებელი იქნება - ბილეთების რეალიზაციის საკითხები, ცალკეულ სტადიონებთან და ქალაქებთან მჭიდრო თანამშრომლობა. წინ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გველის.

**- რა გეგმები გაქვთ 2004 წელს როგორც "ბაიერნის" პრეზიდენტს?**

- *ჩვენ ამჟამად სამ ქორწილში* (გერმანიის ჩემპიონატი, გერმანიის თასი და ჩემპიონთა ლიგა. რედ.) *ვცეკვავთ. გვინდა, რომ ერთ-ერთ მათგანზე მაინც ვიზეიმოთ გამარჯვება.*

# „სკუადრა აძურა", „ოქროს ბურთი" და „ნამდვილი რომაელი"

ნინო პირველი

იტალიაში ანეგდოტების მოყოლა ძალიან უყვართ. განსაკუთრებით დიდი პოპულარულობით სარგებლობს სამი სახის ანეგდოტები: პირველ ადგილზე იტალიის სკანდალური პრემიერ-მინისტრის, ევროპის ყველაზე არაორდინარული პოლიტიკოსის, სილვიო ბერლუსკონის შესახებ შეთხზული სახუმარო ამბებია, მეორე პოზიცია კარაბინერებს უკავიათ, მესამე ადგილზე კი იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი ფრანჩესკო ტოტი ბრძანდება. მაინც რას ერჩიან იტალიელები "რომას" გრძელთმიან კაპიტანს? რატომ გარიეს ის ამ ტრიუმვირატში? სილვიო ბერლუსკონი თავისი უცნაური გამოხდომების გამო იქცა ხალხის დაცინვის საგნად, კარაბინერებს გონებაშეზღუდულებს ეძახიან და მხოლოდ კუნთების მასად მიიჩნევენ, საბრალო ტოტის კი გაუნათლებლობაში სდებენ ბრალს. ნებისმიერი იტალიელისთვის, თუ ის "რომას" თავგამოდებული ფანი არ არის, ფრანჩესკო ტოტი უვიცი, უსწავლელი, უზრდელი ინდივიდია, რომელმაც თავისი მშობლიური ენაც კი არ იცის, ვერ ახერხებს აზრების დალაგებას, უჭირს დაწყობილი ინტერვიუს მიცემა და ყოველი მეორე სიტყვის შემდეგ იბნევა. ვისაც არ უნდა ჰკითხო, ტოტი ზარმაცი და ჭირვეულია; საკუთარ თავში იდიოტურადაა დარწმუნებული და ყოველგვარ რჩევა-დარიგებას თუ შენიშვნას უკადრისობს. საშინელი გემოვნება აქვს და არასოდეს იცის, სად რა უნდა ჩაიცვას. იმდენად ტვინშეზღუდულია, რომ დღემდე ვერ მიმხვდარა, "რომაში" თამაშით მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავი რომ ვერ გახდება - ფრანკო სენსის არეულ-დარეული კლუბი ხომ ვერასოდეს აღწევს დიდ წარმატებას ევროსარბიელზე. "რომას" არასოდეს მოუგია ჩემპიონთა ლიგა და, საერთოდ, სერია ა-ს თუ გასცდა, საშინლად გამოიყურება. ჩემპიონთა ლიგაში ზოგჯერ სულაც ვერ ხვდება, ზოგჯერ კი პირველივე ეტაპზე ამთავრებს ასპარეზობას. აბა, როგორ უნდა გახდეს ამ გუნდის კაპიტანი "ოქროს ბურთის" მფლობელი? არადა, ტოტის ნამდვილად ექნებოდა ამ პრესტიჟული ჯილდოს მიღების შანსი სხვა კლუბში, მაგალითად, ტურინის "იუვენტუსში", ან სილვიო ბერლუსკონის "მილანში" რომ თამაშობდეს. ასე ფიქრობენ ტიფოზები და, ალბათ, არც ცდებიან. "ლაციოს" თავკაცი რობერტო მანჩინიც მიიჩნევს, რომ ტოტის არ გაუჭირდებოდა "ოქროს ბურთის" მოპოვება, "იუვენტუსში" რომ იყოს. მაგრამ, ტოტის არაფრის გაგონება არ სურს. ის ნამდვილი რომაელია და რომში უნდა თამაშობდეს! მორჩა და გათავდა, მას არ უნდა რომის დატოვება! შეუძლებელია მისი ცდუნება. ტოტის არც "მილანი" მოსწონს, არც "ინტერი" და არც "იუვენტუსი". ის რომში დაიბადა და აქვე უნდა დაასრულოს კარიერა. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მილანელები და ტურინელები მხრებს იჩეჩავენ და კიდევ ერთხელ რწმუნდებიან, რომ "რომას" ლიდერი, მართლაც, იდიოტია. რომაელებს კი ამ განცხადებების მოსმენის შემდეგ თავიანთი პატრიოტი კაპიტანი კიდევ უფრო მეტად მოსწონთ და ქება-დიდებას არ იშურებენ მისთვის. "რომას" ტიფოზებს არც ტოტის განათლება აინტერესებთ და არც მისი მჭერმეტყველების ხელოვნება. მათთვის ტოტი, უბრალოდ, "რომას" სიმბოლოა.

სერია ა-ს ბოლო ტურის შემდეგ, როცა ტოტიმ "ემპოლის" ორი გოლი გაუტანა და "რომამ" შემოდგომის სეზონი პირველ ადგილზე დაასრულა, ტოტის სახელი იტალიაში ყველას პირზე ეკერა. რომაულმა გაზეთმა "მესაჯერომ" ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა ტოტის, რომელმაც პირველად თავის სიცოცხლეში საკმაოდ ნათლად და გასაგებად გადმოსცა თავისი აზრები, რითაც დიდად გააოცა იტალიელები. და რა გგონიათ, რა თქვა ტოტიმ ამ საახალწლოდ? - რა და, თავისი უკმაყოფილება გამოახატა ყველას და ყველაფრის მიმართ. თურმე, "რომას" კაპიტანს არაფერი მოსწონს - არც ეროვნული ნაკრები, არც ჯოვანი ტრაპატონი და არც "ოქროს ბურთის" წლევანდელი მფლობელი. "ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შეიძლება უარი ვთქვა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე და აღარ მოვემზადო 2006 წლის მუნდიალისთვის. პორტუგალიაში ჩემი ოთხი ძალლისა და ფიზიკური მომზადების ხელმძღვანელის ვიტო სკალას თანხლებით ჩავალ. არ ვიცი, რას მივაღწევთ ამ ჩემპიონატზე. სამი წლის წინ ფინალში განცდილი მარცხი ჯერ კიდევ საშინელ მოგონებებს იწვევს ჩემში. ეს ჩემი ცხოვრების უდიდესი იმედგაცრუება იყო. "სკაუდრა აძურას" ყველაზე საუკეთესო მატჩი? ალბათ, იმავე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი ჰოლანდიის ნაკრებთან, როცა ჩვენ ათნი დავრჩით თორმეტი ჰოლანდიელის წინააღმდეგ. გერმანელი მსაჯი მარკუს მერკი ხომ ჰოლანდიელების მეთორმეტე მოთამაშედ იქცა. გადამწყვეტი პენალტი რომ გავიტანე, დინო ძოფს შევხედე. უძრავად იდგა. მის გარშემო ყველა დახტოდა და ყვიროდა, ის კი ხმას არ იღებდა. სიხარულის გამოხატვა უკვე აღარაც კი შეეძლო, ისე იყო დაძაბული. ტრაპატონი? ის რატომღაც არ მენდობა. არ ვიცი - რატომ. ალბათ, იმიტომ, რომ რომაელი ვარ", - ბრძნულად ასკვნის ტოტი. რა შუაშია აქ რომაელობა, კაცმა არ იცის; იქნებ ტრაპატონის ბავშვობიდანვე სძულდა რომაელები?

რაც შეეხება "ოქროს ბურთს", ტოტის ამაზე საკუთარი მოსაზრებები აქვს - აბსოლუტურად განსხვავებული "ფრანს ფუტბოლის" ჟურნალისტებისაგან, რომელთაც პირველი ადგილი ტურინის "იუვენტუსის" ჩეხ ნახევრამცველ პაველ ნედვედს მიანიჭეს. ტოტის არ უყვარს ნედვედი. ეს არც არის გასაკვირი - ჩეხი ფეხბურთელი ჯერ "ლაციოში" თამაშობდა და "რომას" მოსისხლე მტერი იყო, მერე კი "იუვენტუსში" წავიდა და "რომას" ტიფოზებს კიდევ უფრო შეაჯავრა თავი. როცა ნედვედი რომში ჩამოდის და ტოტის გუნდს ხვდება, "ლაციოს" გულშემატკივრები რომის ოლიმპიურ სტადიონზე მიდიან და "იუვენტუსს" უჭერენ მხარს. აბა, როგორ ეყვარება ნედვედი ტოტის? სამაგიეროდ, სიმპათიებითაა გამსჭვალული "მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელი ფორვარდის რუუდ ვან ნისტელროის მიმართ, რომელიც მას არაფერში არ უშლის ხელს. ტოტის აზრით, "ოქროს ბურთი" ან ნისტელროის უნდა მიეღო, ანდა ლონდონის "არსენალის" ფრანგ თავდამსხმელ ტიერი ანრის. საკუთარ თავზე არაფერს ამბობს, მაგრამ, მის ნაცვალდ, სხვები ლაპარაკობენ. რობერტო მანჩინის მსგავსად, მიშელ პლატინიც ფიქრობს, რომ ტოტი "ოქროს ბურთს" ნამდვილად იმსახურებს. "ტოტი "ოქროს ბურთს" აუცილებლად მოიგებს, ოღონდ - ევროპის ჩემპიონატის შემდეგ. ის კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ გმირი ვერ გახდა, რადგან "რომამ" ჩემპიონთა ლიგაში აქამდე თავი ვერაფრით გამოიჩინა. პორტუგალიაში იტალიის ნაკრებს უთუოდ დასჭირდება გმირი. აი, სწორედ აქ ეძლევა ტოტის შანსი. თუ ის თავს არ დაზოგავს, "ოქროს ბურთი" მისი იქნება", - ამბობს პლატინი. ვნახოთ, პორტუგალიაში მაინც თუ გაულიმებს ბედი რომაელთა "გაუნათლებელ" და "უვიც" კაპიტანს...



რომაელების გარდა ტოტი არავის უყვარს.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ინგლისური "მანჩესტერ სიტის" მწვრთნელმა კევინ კიგანმა განაცხადა, რომ, მისი კლუბის წარუმატებელი თამაშის მიუხედავად, დაკავებული თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს. "მე ჩავამთავრებ მიმდინარე სეზონს და, როგორც კონტრაქტში წერია, "სიტიში" კიდევ ორ წელს დავრჩები. რაც უნდა ილაპარაკოს ხალხმა, ამ კლუბზე მე გული შემტკივა და აქ წარმატების მიღწევა მსურს", - განაცხად კიგანმა. "მანჩესტერ სიტი" ამჟამად ინგლისის ჩემპიონატის ცხრილის შუაგულში იმყოფება და გასავარდნი ზონას მხოლოდ 4 ქულა აცილებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ოსერისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა ჯიბრილ სისემ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს კლუბის შეცვლას აპირებს. "მე წასვლას ვაპირებ, თუმცა მსურს, რომ მიმდინარე სეზონი წარმატებით დავასრულო. ეს იქნება ჩემი ბოლო სეზონი "ოსერში" და მინდა, რომ გუნდი ევრო-თასებზე გავიდეს. სხვა კლუბში გადასვლა შარშანაც შემეძლო, თუმცა მე და გი რუ შევთანხმდით, რომ ეს მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ აჯობებდა. ამჟამად არ ვიცი, რომელ კლუბში გადავალ", - განაცხადა სისემ. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს "ლივერპულში" სურს გადასვლა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუნდის შეცვლის შესახებ განცხადება ჰოლანდიური ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა რაფაელ ვან დერ ვაარტმაც გააკეთა. სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთელი "აიაქსის" მიტოვებას და უცხოურ კლუბში გადასვლას გეგმავს. "ვფიქრობ, მზად ვარ, რომ ჰოლანდია მივატოვო და ევროპის რომელიმე სუპერ-კლუბში გავაგრძელო თამაში. თუ ესპანეთში მომიწევს თამაში, "ბარსელონაში" ვისურვებდი გადასვლას. ესპანეთის ჩემპიონატი ყველაზე მეტად მიზიდავს. ჰოლანდიისაგან განსხვავებით, იქ სამ გუნდზე მეტი იბრძვის ჩემპიონობისათვის", - ამბობს ვან დერ ვაარტი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა რამდენიმე დღეში გაიხსნება. ვარაუდობდნენ, რომ ლონდონის "ჩელსი" ამ პერიოდში ყველაზე აქტიური იქნებოდა და კიდევ რამდენიმე ხმაურიან ტრანსფერს განახორციელებდა. თუმცა, ლონდონელთა იტალიელი თავკაცი კლაუდიო რანიერი ამტკიცებს, რომ "ჩელსი" არც ერთი ფეხბურთელის შეძენას არ აპირებს. მისივე განცხადებით, იგი გუნდის ამჟამინდელი შემადგენლობით კმაყოფილია და ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებას არ აპირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტურინის "იუვენტუსსა" და ფორვარდ დავიდ ტრეზეგეს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მხარეები პირობებზე ვერ თანხმდებიან. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "იუვენტუსი" ტრეზეგესთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს. ამ ეჭვს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ტურინული კლუბი უკვე შეუდგა ტრეზეგეს შემცვლელის ძიებას. "იუვენტუსის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში ბერნარდო კორადის ("ლაციო"), კრისტიან ვიერის ("ინტერი") და ზლატან იბრაჰიმოვიჩის გვარები ფიგურირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიური "სან პაულუს" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ რივალდოს გადაბირების ყოველგვარი იმედი დაკარგა. ბრაზილიური კლუბი იუწყება, რომ რივალდოსთვის ხელფასის გადახდას ვერაფრით მოახერხებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** როდესაც ევროპის წამყვანი ჩემპიონატები საშობაო და საახალწლო დღესასწაულების პერიოდში დროებით წყდება, ინგლისის პრემიერ-ლიგა სრული დატვირთვით განაგრძობს თავის "მოღვაწეობას". "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი ზამთრის არდადეგების შემოღებას ინგლისშიც მოითხოვს. შოტლანდიელი მწვრთნელის აზრით, ინგლისის პირველობა ზამთარში უნდა შეწყდეს, თუმცა იანვრის მეორე ნახევარში და არა - შობის და ახალი წლის დღეებში, როგორც სხვა ქვეყნებშია მიღებული. საქმე ისაა, რომ შობის დღესასწაულის დღეებში მატჩებს კიდევ უფრო მეტი ქომაგი ესწრება, ვიდრე სხვა დროს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიმდინარე წლის 23 დეკემბერს, მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ მატჩის შემდეგ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ "ბარსელონას" კუთვნილ სტადიონ "ნოუ კამპს" ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია "მიუსაჯა". "რეალის" წინააღმდეგ მატჩში ბარსელონელი ქომაგები სხვადასხვა სახის საგნებს ესროდნენ ლუიშ ფიგუს. "ბარსელონამ" ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილების გასაჩივრება გადაწყვიტა და სადისციპლინო კომიტეტში სააპელაციო საჩივარი შეიტანა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მოსკოვის "ლოკომოტივის" ნახევარმცველი დიმიტრი ლოსკოვი ყველა რუსული გამოცემის მიერ 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელად სახელდება. ლოსკოვი გასული წლის რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელად ახლა უკვე ჟურნალმა "Футбол"-მაც მიიჩნია.

### ინფოთეკა

**კალათბურთი.** არბიტრის შეურაცხყოფის გამო, "საკრამენტო კინგზის" ფორვარდი პრედრაგ სტოიაკოვიჩი ერთი მატჩით დისკვალიფიცირებულია. ინციდენტი "დალას მავერიქსთან" შეხვედრისას მოხდა. მოგვიანებით სტოიაკოვიჩმა ბოდიში მოიხადა.

■■■

**კალათბურთი.** "მინესოტა ტიმბერვულვზის" ლიდერმა ლეტრელ სპრიუელმა იმდენი მოახერხა, რომ "ნიუ-იორკ ნიქსის" პრეზიდენტ ჯეიმს დოლანს შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც შეუპოვარი კალათბურთელი 25 000 დოლარით დააჯარიმეს. აღსანიშნავია, რომ ადრე სპრიუელი სწორედ "ნიქსის" შემადგენლობაში გამოდიოდა.

■■■

**ჩოგბურთი.** პროფესიონალ ჩოგბურთელთა მესამე ნომერმა, ესპანელმა ხუან კარლოს ფერერომ განაცხადა, რომ სურს, ათენის, ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მიიღოს მონაწილეობა. "მე მსურს, ამ ტურნირში ვითამაშო, რადგან მომავალი თამაშებისთვის უკვე 28 წლის ვიქნები. ვფიქრობ, შანსი მაქვს, ოლიმპიური მედალი მოვიგო," - განაცხადა ფერერომ.

■■■

**კრივი.** უახლოეს დღეებში გამოცხადდება დღე, როცა სუპერქვესაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისთვის ერთმანეთს შეხვდებიან - WBA-ისა და WBC-ის ვერსიებით, მსოფლიო ჩემპიონი შეინ მოსლი და, IBF-ის ვერსიით, პლანეტის უძლიერესი მოკრივე რონალდ "ვინკი" რაიტი. მატჩი 13 მარტისთვის იგეგმება და მას უკვე ახლავე ასახელებენ 2004 წლის საუკეთესო მატჩობის პრეტენდენტად.

■■■

**კრივი.** სუპერქვესაშუალო წონით კატეგორიაში, WBO-ის ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონი დენიელ სანტოსი 27 თებერვალს კენტუკის შტატის ქალაქ ლუისვილში დაიცავს თავის ქამარს. მისი ოპონენტის ვინაობა ჯერ გაურკვეველია. პრომოუტერული კომპანია "სტრეიტ აუტ პრომოუშენის" ხელმძღვანელმა კრის ვებმა განაცხადა: "ჩვენ "ვინკი" რაიტს შევთავაზეთ ბრძოლაში მონაწილეობა, მაგრამ მისგან პასუხი ვერ მივიღეთ. ამჟამად მოლაპარაკებები დივიზიონის საუკეთესო მოკრივეთა ფართო წრესთან მიმდინარეობს - ისეთებთან, როგორებიც არიან: ბრონკო მაკკარტი, შეინ მოსლი, ფერნანდო ვარგასი, ოსკარ დე ლა ჰოია და ვერნონ ფორესტი. დანიელი მზად არის ნებისმიერ მათგანთან იჩხუბოს.

■■■

**ფორმულა 1.** ფორმულა 1-ის პილოტები აპირებენ, შობას ოჯახურ წრეში შეხვდნენ. მათ სურთ, დროებით მაინც გამოეთიშონ ფორმულა 1-ის პერიპეტიებსა და ამბიციურ მიზნებს. გამონაკლისი არც რალფ შუმახერია. ის შობა-ახალ წელს თავის სამშობლოში, გერმანიაში ხვდება. მისი ძმა მიხაელი საახალწლო დღესასწაულებს, ტრადიციულად, ნორვეგიაში ხვდება, მაგრამ რალფი გერმანიას ამჯობინებს: " პირადად მე ნორვეგია ძალიან მოსაწყენი მგონია. ჩვენ დღესასწაულს გერმანიაში ოჯახისა და მეგობრების წრეში შევხვდებით. საახალწლო დღესასწაულს სიამოვნებით ველოდები, - ამბობს რალფი, - ფორმულა 1-ის გარეშე, ეს თავისუფალი დღეები ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან დასვენება სიმშვიდითა და ენერგიით მავსებს, რაც ტრასაზე აუცილებლად დამჭირდება. საშობაოდ ჩემი ოჯახის ყველა წევრისთვის ჯანმრთელობას ვისურვებდი, პროფესიული კუთხით კი - ჩემპიონატში გამარჯვებას. მე ისლა დამრჩენია, მეუღლეს საჩუქარი ვუყიდო და თავისუფალი ვარ. დანარჩენებისთვის კორა ზრუნავს. მას ეს პროცესი სიამოვნებას ჰგვრის - მოთმინებით იძენს ყველა საჩუქარს. ყოველთვის მეღიმება, როცა ვხედავ, თუ როგორი სისწრაფითა და გულმოდგინებით ხევს ჩვენი შვილი დევიდი ფუთას, რაც შეიძლება სწრაფად რომ შეეხოს საჩუქარს".

■■■

**ფორმულა 1.** ფორმულა 1-დან ჟაკ ვილნევის წასვლამ, ავტოსპორტის მოყვარულების გარდა, სხვებიც დაამწუხრა - ამას წინათ თავისი წუხილი გამოხატა "რენოს" ბოსმა ფლავიო ბრიატორემ. ახლახან კი ჟანის წასვლაზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდაც ალაპარაკდა. "ვწუხვარ, რადგან ჟაკი ფორმულა 1-ს სჭირდებოდა, - ამბობს ლაუდა, - "ბარს" რომ მისთვის ადრე ეთქვა, - მომავალ სეზონში აღარ დაგვჭირდებიო, - ის ფორმულა 1-ში დარჩებოდა. ვილნევი ახალი გუნდის მოძებნას მოასწრებდა, მაგრამ ყველაფერი მაშინ აუხსნეს, როცა უკვე ძალიან გვიანი იყო".

■■■

**მძლეოსნობა.** 400 მეტრზე სირბილში მსოფლიოსა და პანამერიკული თამაშების ჩემპიონი ანა გაბრიელა გევარა მექსიკის წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. გაზეთ "მილენიოს" ცნობით, ასეთი დიდი აღიარება მას წლის მიხედვით მიღწეულმა შედეგებმა მოუტანა. მათ შორის, უმთავრესია მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, რომელიც მორბენალმა 27 აგვისტოს პარიზში მოიპოვა. თავის საფირმო დისტანციაზე გარბენი 48,89 წამში შეასრულა. გაზეთი იმასაც იუწყება, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გევარას მეტოქეთათვის არც ერთი ტიტული არ დაუთმია და, მთლიანობაში, 26 გამარჯვება იზეიმა. ამჟამად სპორტსმენის წინაშე ერთი უმთავრესი ამოცანა დგას - დაამხოს ლეგენდარული მარია კოხის მიერ 20 წლის წინათ დამყარებული მსოფლიო რეკორდი (47,60). "მილენიო" გამოთქვამს იმედს, რომ ანას ეს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გამოუვა, სადაც ის აშკარა ფავორიტად არის მიჩნეული.

# გახმაურებული 2003 წელი

*2003 წელი მსოფლიო სპორტისთვის მრავალმხრივ საინტერესო გამოდგა - გახმაურებული შედეგებითა თუ წარუმატებლობებით, უნიკალური მიღწევებითა თუ სკანდალებით. ბი-ბი-სი-ს მეშვეობით, შევეცადეთ, ყველაზე გახმაურებული მოვლენებიდან რამდენიმეზე ჩვენც გაგვემახვილებინა ყურადღება.*



ანიკა სორენსტამი მიხვდა, რომ მამაკაცებს შორის არაფერი ესაქმებოდა

ექსპერტები ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევენ რუსი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის მიერ ლონდონის "ჩელსის" შეძენას.

ჩუკოტკის გუბერნატორმა ლონდონურ კლუბში, დაახლოებით, 250 მილიონი ფუნტ სტერლინგი ჩადო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზაფხულში 11 მოთამაშის შესაძენად 111 მილიონი გაიღო. ამბობენ, - აბრამოვიჩი ამაზე შეჩერებას არ აპირებსო.

იმასაც ამბობენ, რომ ზოგ უცხოელ ბიზნესმენს "ბლექბერნის", "ფულჰემისა" თუ "ლიდსის" შეძენა სურს. თუმცა, ამგვარი ინფორმაცია, ჯერჯერობით, ჭორის დონეზეა გავრცელებული.

■■■

მიმდინარე წლის ზაფხულში "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველ დევიდ ბექჰემთან დაკავშირებული ყბადაღებული სატრანსფერო აჟიოტაჟი დასრულდა.

ერთნი მიიჩნევენ, რომ ინგლისელი ვარსკვალვის მადრიდის "რეალში" გაყიდვის ერთგვარ კატალიზატორად ნახევარმცველის ალექს ფერგიუსონთან გაფუჭებული ურთიერთობები იქცა. მეორენი თვლიან, რომ ესპანელების ბექჰემით დაინტერესებას აზიის ბაზარზე მაისურების გაყიდვასთან მივყავართ. თუმცა, სამეფო კლუბში გადასულმა ინგლისის კაპიტანმა უმალ გამონახა საერთო ენა ზიდანთან, ფიგუსთან, რაულთან და რონალდოსთან.

■■■

კამერუნის ნაკრების ნახევარმცველი მარკ-ვივიენ ფოე საფრანგეთში კონფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალურ დაპირისპირებისას გარდაიცვალა. მოგვიანებით სიკვდილის მიზეზიც დასახელდა - ფეხბურთელს გული გაუჩერდა.

მოხდა ისე, რომ კონფედერაციის თასის გათამაშების ფინალში ფოეს თანამემამულეებმა თამაშის უფლება მოიპოვეს. ფინალში გასულ მასპინძლებთან მატჩი დაღუპული კამერუნელი ფეხბურთელის ხსოვნას მიეძღვნა. კონფედერაციის თასის მესვეურებმა კი გადაწყვიტეს, რომ მომდევნო გათამაშებამ მარკ-ვივიენ ფოეს სახელი ატაროს.

■■■

ინგლისის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველ რიო ფერდინანდს, დოპინგ შემოწმების გამოტოვების გამო, რვა თვით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

თავად ფეხბურთელმა კი თავი იმართლა, - ტესტირება დამავიწყდაო, - რაზეც მოგვიანებით უპასუხეს, რომ გულმავიწყობა გამართლება არაა.

ამჟამად "მანიუს" სასამართლოსთვის მიმართვა სურს. ფიფა-ს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი კი გადაკვრით მიანიშნებს, რომ ფერდინანდზე პასუხისმგებელი გუნდი ამგვარი საქციელისთვის, შესაძლოა, შეჯიბრებებიდან მოხსნან კიდეც.

■■■

მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი ფრანგი ზინედინ ზიდანი მესამედ დაასახელეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად.

გამოკითხვაში, რომელშიც მსოფლიოს ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელები მონაწილეობდნენ, ზიდანი საუკეთესოდ იქნა აღიარებული. მან უკან მოიტოვა "არსენალის" თავდამსხმელი თანამემამულე ტიერი ანრი და "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო.

აღსანიშნავია ზიდანის პირობა, - იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთის ნაკრები პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონობას მოიპოვებს, მაშინ ეროვნული ნაკრების მაისურას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე არ გავიხდიო.

■■■

პირველად რაგბის ისტორიაში მსოფლიო თასს ევროპის წარმომადგენლები დაეუფლნენ. ავსტრალიაში გათამაშებული მსოფლიო თასი ინგლისის ნაკრებმა მოიპოვა.

ფინალში ალბიონელებმა მასპინძლებს - მოქმედ ჩემპიონებს - ავსტრალიელებს (20:17) სძლიეს. დამატებითი დროის ამოწურვამდე რამდენიმე წამით ადრე გადამწყვეტი ქულა ინგლისელებს ჯონი უილკინსონმა მოუტანა, რომელიც აღნიშნული დაპირისპირების გმირად დასახელდა კიდეც. ისე კი, ამგვარი წარმატება ინგლისს 1966 წლის შემდეგ არ ჰქონია. მაშინ ბობი მურის თავგამოდებამ ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრებს მსოფლიო თასი მოაპოვებინა.

■■■

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) 115-ე სესიაზე, 2 ივლისს, რომელსაც ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა მასპინძლობდა, ოლიმპიზმის მამებმა 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი დაასახელეს. პატივი კანადის ვანკუვერს ხვდა. აღსანიშნავია, რომ ვანკუვერელებს 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური დედაქალაქის სტატუსის მოსაპოვებლად ავსტრიის ზალცბურგი და სამხრეთ კორეის პხენიანი ეცილებოდნენ. იმავე სესიაზე გაირკვა იმ პრეტენდენტთა ვინაობა (ლონდონი, პარიზი, მადრიდი, ნიუ იორკი, რიო-დე-ჟანეირო, მოსკოვი, ლაიფციგი, სტამბოლი, ჰავანა), რომლებიც 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილს გამოთქვამენ.

■■■

მიმდინარე წლის ყველაზე გახმაურებული სამძლეოსნო დოპინგ სკანდალი ბრიტანელი სპრინტერის დუეინ ჩემბერსისა და რამდენიმე ამერიკელი ათლეტის მიერ ჩაგდებულ დოპინგ ტესტებს უკავშირდება. აჟიოტაჟის სიმძაფრე იმანაც გამოიწვია, რომ დოპინგის ხმარებაში მხილებულნი მსოფლიო ჩემპიონატზე (პარიზი) გამოვლინდნენ. ყველაფრის თავი და თავი ახლახან აღმოჩენილი სტეროიდ ტეტრაჰიდროგესტრინონია (THG). ამჟამად მეცნიერები პარიზის მსოფლიო ჩემპიონატზე აღებული ანალიზების შესწავლით არიან დაკავებულნი.

■■■

ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა 2003 წელი მსოფლიოს ჩემპიონის რანგში დაასრულა; თუმცა, საკმაო ოფლის ღვრა დასჭირდა იმისთვის, რომ კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) სუპერმძიმეწონოსანთა უმთავრესი ქამარი შეენარჩუნებინა. უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან 21 ივნისის დაპირისპირების შემდეგ ერთნი იმასაც ამბობდნენ, - დროა, ლუისმა ხელთათმანები გაიძროსო. მიუხედავად ამისა, დღემდე აქტუალურად რჩება ბრიტანელისა და უკრაინელის მატჩ-რევანშის საკითხიც. თუმცა, ბევრი რამ მაინც ფინანსებზეა დამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლუისის რინგიდან წასვლა არავის გაუკვირდება.

■■■

ამერიკელმა ველომრბოლმა ლენს არმსტრონგმა ზედიზედ მეხუთედ მოიგო უპრესტიჟულესი "ტურ დე ფრანსი". 31 წლის არმსტრონგი, რომელმაც კიბო დაამარცხა და ყველასთვის სანიმუშო პიროვნებაა, "ტურ დე ფრანსის" ისტორიაში შექნა მეორე მრბოლელი, რომელმაც აღნიშნული ველორბოლა ზედიზედ ხუთჯერ მოიგო. ის მეხუთე ველომრბოლია, რომელსაც "ტურ დე ფრანსის" გზატკეცილები ამდენჯერვე აქვს დაპყრობილი. 2003 წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ წელს ასპარეზობის 100 წლის იუბილე აღინიშნებოდა; ანუ ამიერიდან საიუბილეო ველორბოლა არსმტრონგის სახელთანაც ასოცირდება.

■■■

დასრულებული სეზონი უნიკალური გამოდგა ფორმულა 1-ის ისტორიაში. "ფერარის" გერმანელმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა სამეფო რბოლების ჩემპიონობა მეექვსედ მოიპოვა. თუმცა, 2002 წლის სეზონისგან განსხვავებით, წელს იტალიური საჯინიბოს გამწევ ძალას საკმაო ძალისხმევა დასჭირდა ტიტულის დასაუფლებლად. უმთავრესი ჯილდოს ბედი მხოლოდ ბოლო ეტაპზე - იაპონიის გრან-პრიზე გაირკვა.

2003 წელი სამეფო რბოლებისთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ "ფორმულამ," ფინელი კიმი რაიკონენის ("მაკლარენ-მერსედესი"), კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოიას ("უილიამსი") და ესპანელი ფერნანდო ალონსოს ("რენო") სახით, ვარსკვლავები შეიძინა. თამამად შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ახლო მომავალში სამივე მათგანი შუმახერს შეავიწროებს.

■■■

ვაჟთა ჩოგბურთში, საკმაო ხანია, თაობათა ღირსეულ ცვლას, უფრო სწორედ, ახალ ვარსკვლავებს ელოდებოდნენ. წელს, ამ მხრივ, აშკარად იგრძნობოდა ძვრები.

წლის საუკეთესო ჩოგბურთელებად დასახელდნენ - ამერიკელი ენდი როდიკი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი და ესპანელი ხუან კარლოს ფერერო, რომლებიც შესაბამისი თანმიმდევრობით უდგანან კიდეც სათავეში რეიტინგს. პირველ სამეულში მათი ყოფნა არცაა გასაკვირი. ფერერომ - როლან გაროსი, ფედერერმა - უიმბლდონი, ხოლო როდიკმა აშშ-ის ღია ჩემპიონატები მოიგეს - ანუ დიდი სლემის სამი ტურნირი, თანმიმდევრობით, მათი გამარჯვებებით დასრულდა.

■■■

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მსოფლიო გოლფის ლიდერმა ამერიკელმა ტაიგერ ვუდსმა სეზონი ისე დაასრულა, რომ ოთხიდან ერთი მნიშვნელოვანი ტურნირიც ვერ მოიგო. ასეთი წარუმატებლობით ვუდსის საგოლფო კარიერა 1998 წელს გამოირჩეოდა.

მიმდინარე წელი უიღბლო გამოდგა შვიდი ტიტულის მფლობელ კოლინ მონტგომერისთვისაც. პირველად 1992 წლის შემდეგ მონტგომერმა ვერც ერთი ტურნირის მოგება ვერ შეძლო. ასე რომ, 2003 წელი წარმატებებთან ერთად წარუმატებლობებითაც იყო აღსანიშნავი.

ტრადიციებით გაჯერებულ გოლფში ამას არავინ მოელოდა. პირველად ვაჟთა საგოლფო სამყაროში ყვანჯის მოქნევა და ბურთის ფოსოში ჩაგდება ქალმა გაბედა - 58 წლის განმავლობაში ვაჟთა საგოლფო ტურნირში სუსტი სქესის წარმომადგენელმა ითამაშა. მართალია, შვედი ანიკა სორენსტამის დებიუტი ვაჟთა საგოლფო ტურნირ Colonial-ში წარუმატებელი გამოდგა, ფაქტი აღნიშვნად მაინც ღირს. თავად შვედმა მეგოლფემ კი წარუმატებლობის შემდეგ განაცხადა, - დროა, იქ დავბრუნდე, სადაც ჩემი ადგილიაო.

### ჭადრაკი

# ეძებენ კასპაროვის მეტოქეს

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ, მისი პრეზიდენტის კირსან ილიუმჟინოვის ხელმძღვანელობით, შანსი არ დატოვა, რომ მომავალ წელს ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართოს. ფიდე-მ გამოაცხადა იმ ქალაქებს შორის კონკურსის გახსნის შესახებ, რომლებიც ამ ტურნირის ორგანიზებას დაყაბულდებიან. ფიდე მომავალი წლის 20 თებერვლამდე მიიღებს პრეტენდენტი ქალაქების განაცხადს და გამარჯვებულს სამ დღეში გამოაცხადებს.

ამასთან, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია აპირებს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ეგრეთ წოდებული პრაღის შეთანხმებისა, ამიტომ მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული ნოკაუტსისტემით ჯერ გარი კასპაროვს შეხვდება, შემდეგ კი, წარმატების შემთხვევაში, გაეჯიბრება ვლადიმირ კრამნიკსა (მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში) და უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოს შორის გამარჯვებულს. მთელი ამ საჩემპიონო ციკლის გამარჯვებული გახდება მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულის მფლობელი.

თუმცა, თავიდან, პრაღის შეთანხმების მიხედვით, საჭადრაკო სამყაროს გაერთიანება უნდა მომხდარიყო კრამნიკ - ლეკოსა და კასპაროვი - რუსლან პონომარიოვს შორის გამარჯვებულთა გადამწყვეტ შეხვედრაში. კრამნიკმა ორი წლის წინათ დაამარცხა კასპაროვი მატჩში, რომელიც "ბრეინ გეიმზის" კომპანიის ეგიდით გაიმართა და, რომელიც, თავის მხრივ, "ეინშტეინ გრუპში" შედის. სწორედ ამ ჰოლდინგმა გამოაცხადა კრამნიკი მსოფლიო ჩემპიონად. არადა, ჩემპიონის ტიტულის მინიჭების ყველა უფლება ფიდე-ს ეკუთვნის.



კასპაროვი მომავალი მეტოქის მოლოდინშია

პარალელურად, ილიუმჟინოვის ინიციატივით, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია საკუთარ ჩემპიონატს ნოკაუტ-სისტემით ატარებდა. შედეგად, მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: ანატოლი კარპოვი, ინდოელი ვიშვანათან ანანდი, ალექსანდრ ჰალიფმანი და ბოლოს რუსლან პონომარიოვი, რომელმაც მოსკოვში თანამემამულე ვასილი ივანჩუკი დაამარცხა. იმავე წლის გაზაფხულზე კი მოჭადრაკეები პრაღაში შეთანხმდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონი ერთი უნდა იყოს. კასპაროვს, როგორც რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეს, შესთავაზეს პონომარიოვთან შეხვედრა, ხოლო კრამნიკი, პარალელურად, ლეკოს დაუპირისპირდებოდა, რომელმაც დორტმუნდის შესარჩევი ტურნირი მოიგო.

თუმცა, მატჩები დღემდე ვერ გაიმართა. აგვისტოს ბოლოს ილიუმჟინოვმა მოსკოვში გამოაცხადა, რომ კასპაროვსა და პონომარიოვს შორის იალტაში, ფიდე-ს ეგიდით დაგეგმილი მატჩი აღარ გაიმართებოდა. პონომარიოვმა კონტრაქტზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა. ილიუმჟინოვმა იქვე განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც კასპაროვის მომავალ მეტოქეს გამოავლენდა (პონომარიოვი ამ ტურნირზე ჩვეულებრივი მონაწილის სტატუსით ითამაშებდა და არავითარი სატურნირო პრივილეგიით არ ისარგებლებდა), საორიენტაციოდ, 30 ნოემბერს დაიწყებოდა - არ გამოვიდა.

ახლა ისღა დაგვრჩენია, თებერვლის ბოლოს დაველოდოთ. კრამნიკ-ლეკოს მატჩთან დაკავშირებული მდგომარეობა კი "ეინშტეინ გრუპის" გაკოტრების შემდეგ, საერთოდ, კატასტროფულია. ასე რომ, საჭადრაკო სამყარომ იქნებ ფიდეს მხრიდან მაინც გამოავლინოს ნამდვილი ჩემპიონი, რადგან, კასპაროვის გარეშე, მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკის დასახელება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ, უსამართლობა იქნება. ილიუმჟინოვმა პირობა დადო, რომ ფიდე კრამნიკ-ლეკოს მატჩის ორგანიზებასაც დაეხმარება. მთავარია, რომ პრაღის შეთანხმებამ ბოლოს და ბოლოს მოქმედება დაიწყოს. თუმცა, ყველაფერი მაინც ფინანსურ საკითხს ეყრდნობა.

ილიუმჟინოვის თქმით, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩის მსურველი ყოველთვის საკმარისია. კონკრეტული წინადადებები კი არავის აქვს. ბოლო დროს ყველაზე აქტიურები არგენტინა და უკრაინა იყვნენ. თუმცა, სამხრეთ ამერიკული ქვეყანა ამჟამად ფინანსურ კრიზისს განიცდის (ჭადრაკი კი ქვეყანაში პოპულარობით ერთ-ერთ პირველ პოზიციაზეა და მხოლოდ ფეხბურთსა და კალათბურთს ჩამოუვარდება) და საქმე ბუენოს-აირესში მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა ნახვის სურვილზე შორს არ წასულა. უკრაინაში კი მას შემდეგ, რაც პონომარიოვი კასპაროვის მეტოქეობიდან "ჩვეულებრივ პრეტენდენტად" გადაიქცა, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი თანდათან განელდა.

თუ ფიდე მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელს ღირსეული საპრიზო ფონდით მიიღებს, მაშინ ტურნირში 128 მოჭადრაკე ჩაებმება. უკვე ცნობილია, რომ ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღეს - პონომარიოვმა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ივანჩუკმა, ანანდმა და პეტრ სვიდლერმა, აგრეთვე - ფიდე-ს რეიტინგის მიხედვით, 20-მა საუკეთესო მოჭადრაკემ.

სპეცმოზაიკა

## შეხვდა თუ არა სტალინი აგენტ 007-ის "მამობილს"?



აგენტ 007-ის - ჯეიმს ბონდის ავტორი იან ფლემინგი (1908-1964 წწ) ბავშვობიდან დიპლომატობაზე ოცნებობდა, შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები. მაგრამ, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შესარჩევ წერით კონკურსში ვერ გაიმარჯვა და იძულებული იყო, სააგენტო "როიტერში" რეპორტიორად დაეწყო მუშაობა.

1933 წელს ოცდახუთი წლის იან ფლემინგს მოსკოვში სპეციალური დავალებით გზავნიან. მას უნდა გადაეცა რეპორტაჟები იმ სასამართლო პროცესიდან, რომელზეც ინგლისური ფირმა "მეტრო-ვიკერსის" ექვს თანამშრომელს ინგლისის დაზვერვასთან (მი-6) კავშირში ადანაშაულებდნენ. გავრცელებული მოსაზრებით, ნორჩი რეპორტიორი თავისი ქვეყნის სპეცსამსახურის პირველ, გამოსაცდელ დავალებას ასრულებდა.

იან ფლემინგი სასამართლო პროცესის გაშუქების გარდა დაწვრილებით სწავლობდა საბჭოთა სოციალისტურ სინამდვილეს. ამ ისტორიაში არაფერი იქნებოდა განსაკუთრებული, რომ არა ფლემინგის ავანტიურისტული გადაწყვეტილება - ინტერვიუ ჩამოერთმია საბჭოთა ბელადისათვის. ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს ინიციატივა მომავალი მზვერავის ან მხოლოდ "როიტერის" ყოფილიყო, აქ აშკარად მი-6-ის კვალი ჩანს.

მაგრამ მცდელობა, როგორც ოფიციალური წყაროები ადასტურებენ, უშედეგოდ დასრულდა. სტალინმა უდროობა მოიმიზეზა და ზრდილობიანი უარი შემოთვალა.

ზუსტად ოცი წლის შემდეგ, 1953 წელს იან ფლემინგმა გამოსცა პირველი წიგნი ჯეიმს ბონდზე - "კაზინო "როიალი", სადაც აგენტი 007 იოლად უსწორდებოდა საბჭოთა სამხედრო დაზვერვის ("გრუ"-ს) თანამშრომლებს. ასე რომ, ჯეიმს ბონდი ჯერ მხოლოდ 50 წლისაა.

## საჰაერო მძევლები

მძევლების აყვანა, როგორც ირკვევა, მხოლოდ ტერორისტების საქმე როდი ყოფილა. საბჭოთა ლიდერებიც წარმატებით იყენებდნენ ამ მეთოდს საკუთარი საჰაერო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ცნობილია, რომ სტალინი თვითმფრინავით არ მგზავრობდა. ნიკიტა ხრუშჩოვი კი, რომელსაც ბოშასავით უყვარდა მსოფლიოში ხეტიალი, მხოლოდ თვითმფრინავით და ისიც რეაქტიული სამგზავრო ტუ-104-ით მოგზაურობდა. ნიკიტას უსაფრთხოების გარანტად და "ნებაყოფლობით მძევლად" თან ამ თვითმფრინავის კონსტრუქტორი ტუპოლევი დაჰყავდა.

ხრუშჩოვის ტრადიცია ბრეჟნევმაც გააგრძელა. თვითმფრინავით მგზავრობისას მისი "მძევალი" ავიაციის მინისტრი, ავიაციის მარშალი ბუგაევი იყო.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, "მძევლის აყვანის" პრაქტიკა დიდი წარმატებით გრძელდება დსთ-ს საჰაერო სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც ექსპრეზიდენტ შევარდნაძის დროს.

## საბედისწერო ყვითელი ფეხსაცმელები

1956 წელს უნგრეთში სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა. კომუნისტური სისტემის მოწინააღმდეგეებმა ქვეყნის ხელმძღვანელი პარტიული "ბოსები" 40-იან წლებში რეპრესირებული იმრე ნადით შეცვალეს, რომელმაც ლიბერალური რეფორმების გატარება მოინდომა. მაგრამ ვინ დააცალა. უნგრეთში საბჭოთა ელჩის იური ანდროპოვის დაჟინებული მოთხოვნით, ბუდაპეშტში საბჭოთა ტანკები შეიყვანეს, რასაც შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვა.

ქუჩის ბრძოლებში მოსახლეობა განსაკუთრებით არ ინდობდა უნგრეთის უშიშროების სამინისტროს იმ თანამშრომლებს, რომლებიც სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულნი საბჭოთა სპეცსამსახურებთან ერთად მონაწილეობდნენ ოპერატიულ-აგენტურულ ღონისძიებებში.

ბუდაპეშტელები ერთი, მხოლოდ მათთვის გასაგები ნიშნით შეუცდომლად ცნობდნენ უშიშროების თანამშრომლებს და სასტიკად უსწორდებოდნენ მათ.

ყველაფრის მიზეზი კი იყო... ყვითელი ფეხსაცმელები, რომლებიც უნგრეთის უშიშროების სამინისტროს სამეურნეო სამსახურმა თანამშრომლებს რამდენიმე დღით ადრე დაურიგა.

## ლენინის დიდი მაგნიტები

"პროლეტარიატის დიდი ბელადი" საკმაოდ უცნაური ადამიანი იყო. სოციალისტური გადატრიალების შემდეგ თითქოს სხვა საქმე არ აქვსო, ცდილობდა აქტიურად ჩარეულიყო "ჩეკას" ოპერატიულ საქმიანობაში. 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ ბოლშევიკების დიდი ტერორი დაიწყო.

რუსეთის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბინების ჩხრეკა გადამალული იარაღის აღმოსაჩენად. იარაღის მფლობელებს ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ადგილზე დახვრეტა ემუქრებოდათ. "ჩეკა" საქმეს ვერ აუდიოდა და ლენინმაც ამ "კეთილშობილური" მისიის შესრულებაში მათი დახმარება გადაწყვიტა.

ისტორიას არ შემოუნახავს, რამდენი ხნის ფიქრი დასჭირდა ბელადს და შესძახა თუ არა "ევრიკა", მაგრამ მისმა იდეამ ჩხრეკების დროს დიდი ელექტრომაგნიტების გამოყენების შესახებ "ჩეკას" თავმჯდომარე ფელიქს ძერჟინსკი ნამდვილად არ მოიყვანა აღტაცებაში.

მათ შორის ალბათ ასეთი დიალოგი იმართებოდა:

**"ფელიქს ედმუნდოვიჩ, გამოიყენეთ მაგნიტები და უფრო ბევრ კონტრრევოლუციონერს მოვუღებთ ბოლოს ! "** – არ ისვენებდა ლენინი.

**"ვლადიმირ ილიჩ, იდეა შესანიშნავია, მაგრამ..."**

**"არავითარი მაგრამ! "**-თავისას არ იშლიდა ლენინი.

ძერჟინსკიც იძულებული იყო, "ჩეკისტებს" ჩხრეკებისას თან ეტარებინათ დიდი მაგნიტები, ალბათ ბევრჯერაც შეუკურთხეს გულში "ილიჩს". მხოლოდ მაშინ, როდესაც ლენინის "ჩეკისტური" ახირება უშედეგოდ დამთავრდა, ძერჟინსკიმ ჩუმად შეაჩერა ეს ექსპერიმენტი.

გვერდი მოამზადა გიორგი აბესაძემ

# სრული სვლით ნატო-სკენ

### რამდენადაა დაცული კონტრდაზვერვითი ღონისძიებებით ეს მარში?

საქართველოში ერთადერთი საკითხი, რომელზეც "ერი და ბერი" ერთსულოვანია, ნატო-ს სრულფასოვანი წევრობაა. მართალია, ერაყის ომთან დაკავშირებით ორგანიზაციის შიგნით გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა, მაგრამ მარკ ტვენის ცნობილი გამონათქვამისა არ იყოს: ხმები ნატო-ს გარდაცვალების შესახებ ოდნავ გაზვიადებულია.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ ორგანიზაციის წევრობა უპირობოდ რჩება სასიცოცხლო ამოცანად. ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი ექსპერტის აზრს იმის შესახებ, რომ აშშ-სთან ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებას შეუძლია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შეცვლა. ამის ძირითადი მიზეზი კი აშშ-ს პოლიტიკური ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა. კერძოდ, ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებში პირველად გამარჯვებული პრეზიდენტი (მით უფრო, თუ ის დემოკრატიული პარტიიდანაა) საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, პირველ რიგში რუსეთთან ურთიერთობისას, მეტად ფრთხილია (მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ კლინტონის პრეზიდენტობის პირველი ვადა, როდესაც საქართველოსადმი სამხედრო-პოლიტიკური დახმარება მეტად უმნიშვნელო იყო, განსაკუთრებით აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის დროს).



აქედან გამომდინარე, აშშ-ს ერთ პოლიტიკურ ფიგურაზე - პრეზიდენტზე, მის სუბიქტურ შეხედულებებზე და პიროვნულ თვისებებზე ძალზე ძნელია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხანგრძლივვადიანი სტრატეგიის აგება.

ამის საპირისპიროდ კი, ნატო გამოირჩევა გაცილებით მეტი მდგრადობით, ევროპასა და მის მიმდებარე რეგიონებში საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების რეალური ძალით.

ამიტომ, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება და აშშ-სთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება პარალელურად მიმდინარე პროცესები უნდა იყოს.



### რას ნიშნავს საქართველოს ნატო-ში ფორსირებული ინტეგრაცია?

ალბათ იგულისხმება ის, რომ ალიანსი ჩვენთვის გარკვეულად შეასუსტებს საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს - პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური სტანდარტებიდან. მაგრამ, არსებობს ნატო-ს ერთი მოთხოვნა, რომელსაც შეღავათები ნამდვილად არ შეეხება - ესაა ალიანსის საიდუმლო სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ. ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილება.

ეს, ერთი შეხედვით ადვილად გადასაწყვეტი პრობლემა, უკავშირდება საქართველოსთვის ურთულეს საკითხს - უცხო სპეცსამსახურების გალაღებულ ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში.



რა კონტრდაზვერვით ღონისძიებებს დაუპირისპირებენ ჩვენი სპეცსამსახურები იმ მოწინააღმდეგეს, რომელსაც ნატო-ს საიდუმლოებებზე ნადირობის (ხშირად ძალზე წარმატებული) ორმოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს?

"ცივი ომის" პერიოდში ნატო წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების მთავარ სამიზნეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ "კგბ"-სა და "გრუ"-ს პარიზის და ბრიუსელის რეზიდენტურები, სადაც ნატოს შტაბ-ბინაა განთავსებული.

ამავე დროს, აღმოსავლეთ გერმანიის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის სატელიტი სპეცსამსახურები, რომლებიც "კგბ"-ს და "გრუ"-ს მიერ იყვნენ "გამოზრდილნი", აქტიურად მონაწილეობდნენ ნატო-ს დანაყოფებში აგენტურული და ფიზიკური (ანუ ფარულად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით) შეღწევის მოსკოვის მიერ დაგეგმილ ოპერატიულ ღონისძიებებში და მოპოვებულ მონაცემებს "უფროს კოლეგებს" გადასცემდნენ.

### ნატო-ში ყველაზე მნიშვნელოვანი საბჭოთა აგენტების მოკლე სია ასეთია:

*ჯონ კერნკროსი (1913-1995)* - შოტლანდიელი, "კგბ"-ს აგენტი 1937 წლიდან, ე.წ. "კემბრიჯის ხუთეულის" წევრი, ოპერატიული ფსევდონიმი "კარელი". ნატო-ს დაარსების დღიდან რამოდენიმე წლის მანძილზე საბჭოთა კავშირს აწვდიდა ალიანსის საიდუმლო სამხედრო დოკუმენტებს.

*ჟორჟ პაკი,* ფრანგი, 1943-1963 წლებში იყო "კგბ"-ს პირველი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) აგენტი. 1958 წელს დაინიშნა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ საპასუხისმგებლო პოსტზე, მაგრამ საბჭოთა დაზვერვის ხელშეწყობით მალევე გადაიყვანეს ნატო-ს პრეს-სამსახურის უფროსად, რაც აძლევდა საშუალებას, მოსკოვისთვის გადაეცა ალიანსის სრულიად საიდუმლო სამხედრო და პოლიტიკური ინფორმაცია. პაკი იყო საფრანგეთში მოქმედი საბჭოთა აგენტურული ქსელის (კოდური სახელწოდება "საფირი") ერთ-ერთი წევრი. დააპატიმრეს და გაასამართლეს 1963 წელს. მიესაჯა შვიდი წელი.

*ჰიუ ჯორჯ ჰემბლტონი,* დაიბადა 1922 წელს კანადაში. გადმობირებული იყო "კგბ"-ს პარიზის რეზიდენტურის მიერ 1950-იანი წლების დასაწყისში. საბჭოთა დაზვერვის დახმარებით სორბონაში მიიღო უმაღლესი განათლება და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკის განხრით. ნატო-ს შტაბ-ბინაში მუშაობდა სპეციალობით. ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა დაზვერვას გადასცა რამოდენიმე ათასი საიდუმლო დოკუმენტი გრიფით "კოსმიკი", რაც ნატო-ს სტანდარტებით საიდუმლოების ერთ-ერთ უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნება. მის მიერ გამოტანილი დოკუმენტაციის სწრაფი დამუშავების მიზნით, პარიზის რეზიდენტურამ ერთი მეტად ეშმაკური ხერხი მოიფიქრა.

ჰემბლტონის სამსახურთან ახლოს, პარიზის ერთ-ერთ ქუჩაში მდგომი შავი ფერის მიკროავტობუსი ყურადღებას არ იქცევდა, შიგნით კი ტექნიკის უმაღლეს დონეზე აღჭურვილ ფოტოლაბორატორიაში ნატო-ს საიდუმლო დოკუმენტების კოპირება ხდებოდა. ამოსუნთქვის დროც არ იყო, რადგან საბჭოთა აგენტს შესვენების დამთავრებამდე სეიფში უნდა დაებრუნებინა ნატოს საიდუმლო სამხედრო გეგმები და ეკონომიკური პროგნოზები. ჰემბლტონის, როგორც საბჭოთა აგენტის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის უნიკალური ფაქტიც, რომ 70-იან წლებში ის სპეციალურად ჩამოიყვანეს მოსკოვში "კგბ"-ს თავმჯდომარე იური ანდროპოვთან შესახვედრად.

ჰემბლტონი დააპატიმრეს და გაასამართლეს 1982 წელს - ნატო-ს დატოვებიდან 21 წლის შემდეგ. მიესაჯა ათი წელი.

*რაინერ რუპი,* გერმანელი. ოპერატიული ფსევდონიმი "ტოპაზი". გადმობირებული იყო დიუსელდორფის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. მეუღლესთან (ოპერატიული ფსევდონიმი "ტიურკისი") ერთად 1970-1989 წწ. მუშაობდა აღმოსავლეთ გერმანიის დაზვერვაზე (შტაზი). მათ წლების მანძილზე ნატო-ს შტაბ-ბინიდან გამოიტანეს დაახლოებით 10000 საიდუმლო დოკუმენტების ასლები (მათ შორის მც-161 - სპეციალური გამოკვლევა, სადაც გაანალიზებული იყო საბჭოთა ბლოკის სამხედრო პოტენციალი, ნაჩვენები იყო მისი ძლიერი და სუსტი მხარეები). ამ დოკუმენტების მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ნატო-ს ექსპერტთა განცხადებით იმ პერიოდში სამხედრო დაპირისპირება რომ მომხდარიყო, ალიანსი დამარცხებისათვის წინასწარ იყო განწირული. რუპი გაასამართლეს 1994წ. მიუსაჯეს თორმეტწლიანი პატიმრობა.

### ნატო-ს სტანდარტებით საიდუმლო ინფორმაცია ოთხ კატეგორიად იყოფა:

*სამსახურებრივი; საიდუმლო; მკაცრად საიდუმლო (ე.წ."კოსმიკი") და სრულიად საიდუმლო.*

ნატო თავს იზღვევს და პირველ ეტაპზე ალიანსის ახალ წევრებს მხოლოდ სამსახურებრივი და საიდუმლო კატეგორიის ინფორმაცია გადაეცემათ. ნატო-ს სამხედრო და პოლიტიკური საიდუმლოებების მოპოვება ამჟამადაც ბევრი ქვეყნის სპეცსამსახურების სანუკვარი ოცნებაა.

ხომ არ გახდება საქართველონატო-ს თანამშრომლობის გაღრმავება ალიანსის საიდუმლოებების გადინების ახალ არხად?

მხედველობაში თუ მივიღებთ საკითხის სირთულეს, სავარაუდოდ, ნატო-სთან ურთიერთობების ეს მხარე შეიძლება გადაულახავი ზღუდეც გახდეს ჩვენი ქვეყნისთვის.

ანალოგიურ პრობლემებს წააწყდნენ ალიანსში გაწევრიანების სხვა მსურველებიც: ლატვია, ბულგარეთი და სლოვენია. ნატო-მ მათ წაუყენა სპეცსამსახურების სტრუქტურული და ფუნქციონალური რეორგანიზაციის, აგრეთვე, სახელმწიფო საიდუმლოებების დაცვის მოთხოვნა.

ჩეხეთის ხელისუფლებამ ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ ძალზე აქტიურად დაიწყო არსებული თუ პოტენციური აგენტურისაგან თავდაცვის სამინისტროს, საგარეო უწყების და სპეცსამსახურების წმენდა.

რუმინეთში გამოქვეყნდა "ნატო-ს საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ნორმები", ანუ ის სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც გაიცემა ე.წ. "უსაფრთხოების სერთიფიკატი". ეს დოკუმენტი წარმოადგენს ნატო-ს საიდუმლო ინფორმაციასთან დაშვების ნებართვას და მის მისაღებად აუცილებელია მთელ რიგ კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელთა სისწორესაც შემდგომ რუმინეთის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ღია და ფარული მეთოდებით შეამოწმებს.

ესტონეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი და ამჟამინდელი გენპროკურორი იური პიჰლი პირდაპირ აცხადებს, რომ ესტონეთის ნატო-ში შესვლის შემდეგ ამ ქვეყნის შიგნით რუსეთის დაზვერვა ძალზე გააქტიურდა და ტალინში რუსეთის საელჩოში რუსი მზვერავების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში სპეცსამსახურებს გაცილებით დიდი ყურადღება ექცევა ხელისუფლების მხრიდან, როგორც სანდო კადრების შერჩევის, ასევე ფინანსური უზრუნველყოფის კუთხითაც, ვიდრე საქართველოში, მაშინ ნათელი გახდება, თუ რა ურთულესი დღეები ელის ჩვენს სპეცსამსახურებს.

სავარაუდოა, რომ მათ პოტენციურ მოწინააღმდეგეებს უკვე მონიშნული აქვთ ის ოპერატიული წერტილები, საიდანაც ნატო-ს საიდუმლოებებს უნდა შეუტიონ, შერჩეული იქნებიან და ალბათ ამ წუთში, თქვენ რომ ამ სტატიას კითხულობთ, "დავერბოვკების" მიზნით შესაბამის დამუშავებასაც გადიან საქართველოს სამინისტროებისა და სამსახურების მაღალი თანამდებობის პირები - მომავალი შემსრულებლები.

ასე რომ, დანარჩენი, როგორც იტყვიან, "ტექნიკის" (ანუ მოტივაციის: კომპრომატების, ფინანსების, კარიერული წინსვლის ა.შ.) საქმეა.

მკითხველო, თქვენ როგორ ფიქრობთ, გაუძლებენ კი ამ ცდუნებას საქართველოს თავდაცვის, უშიშროების და საგარეო საქმეთა სამინისტროების ის თანამშრომლები, სადაც მინისტრის ხელფასი 190-230, ხოლო "ოპერის" 80-130 ლარია?

სადაც კადრების უმრავლესობას, ერთად მუშაობის, სწავლის თუ სპეცმომზადების გამო, ჯერ კიდევ ძალზე ახლო კონტაქტები აქვთ ყოფილ საბჭოთა (ამჟამად რუსულ) ანალოგიურ სტრუქტურებთან?

სადაც კადრების დანიშვნა-დაწინაურება თითქმის არასდროს განხორციელებულა პროფესიონალური დამსახურებების და კვალიფიკაციის მიხედვით?

ამ რთულ კითხვებზე პასუხის გაცემა და პრობლემების მოგვარება ახალ ხელისუფლებას მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნატო-ს კარებზე "კაკუნი" კი არა, "ბრახუნიც" აღარ გვიშველის.

# ტელე კვირეული



## ორშაბათი 29.12

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **09.30** მულტფილმი "ჰერკულესის თავგადასავალი" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** კურიერი **11.10** მხ. ფილმი "ოპერაცია "ი" **13.10** მხ. ფილმი "ძვირფასო, ბავშვები დავაპატარავე" **15.20** ა. ვივალდი "წელიწადის დროები" (გაზაფხული) **15.30** მხ. ფილმი "წითელქუდა" **16.00, 17.00, 18.00, 21.00** კურიერი **17.10** მხ. ფილმი "იმერული ესკიზები" **19.00** მხ. ფილმი "ძარცვა იტალიურად" **22.00** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა **23.00** მხ. ფილმი "ნდობა"

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **10.10** მხ. ფილმი "არლეტი" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** დოკ. ფილმი "სტანისლავსკის საუკუნე" **15.15** არჩევნები **17.15** რამპა **17.20** 50-50 **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** მრავალჟამიერ **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** "იმღერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **22.00** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში"(კევინ სპეისი) **22.30** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "არხების გადართვისას"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "სოლ ბიანკა". ანიმაციური ფილმი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "ანტიკილერი 2" მთ.რ-ში გოშა კუცენკო, ალექსეი სერებრიაკოვი. **01.40** "ღამურა" "ობობა". მთ.რ-ში რეიფ ფაინსი, მირანდა რიჩარდსონი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "თაგვზე ნადირობა" (ნათან ლეინი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ირმებზე მონადირენი" (რობერტ დე ნირო)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პოკაჰონტასი" **19.35** კინოსეანსი "ამელი" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი "მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში"

### კავკასია

**12.00** ინდური მხ. ფილმი "სიყვარული" **15.00** მხ. ფილმი "გასეირნება ამერიკაში" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "მულანი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მარტის კატები" **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00** დოკ. ფილმი.

### იბერია

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი "ოქროს ციებ-ცხელება" **10.20** მხ. ფილმი "აუზი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.10** დოკ. ფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **19.45** მუსიკა **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** დოკ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" 1ს

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი **10.15, 13.15, 14.15, 17.50, 20.15** მუსიკა **10.30** რუს. სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" **11.20** მულტფილმი "ათი მცნება" **12.15** დოკ. სერიალი "ქალაქი ლუვრი - უდიდესი მუზეუმები" **13.40** "ბელისიმო" - განუმეორებელი ლუჩიანო **14.50** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.20** მხ. ფილმი "აფონია" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტფილმი "კასპერი საშობაო მოჩვენება" **18.30** მუს. ფილმი "ეს სანახაობაა" 1-ლი ნ. **19.00** სერიალი "ზამთრის ალუბალი" 1-ლი ს. **20.00** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-76. **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.15** "ღამის მატარებელი". **00.30** მხ.ფილმი "მებრძოლთა კლუბი"

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00** ქრონიკა **07.15, 11.25, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის"დილა **10.05** დროება **12.10** სერიალი "კლონი" **13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** ქრონიკა **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "კლონი" **15.10** მხ. ფილმი "ინკოგნიტო" **17.25** ჩ -კლუზივი **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.00, 21.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **22.50** მხ. ფილმი "წვიმიანი კაცი ფეხსაცმელებში" **00.40** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** მულტსერიალი "აბა, დამაცადე!" **10.00** მუსიკა **10.10** სათავგადასავლო ფილმი "მაიმუნთა მეფე" 1 ს. **11.30, 12.20** მუსიკა **12.25** კომედია "ციხესიმაგრე" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხატვრული ფილმი "დიდი ლებოვსკი" **16.20** მულტფილმი "ახალი ბრემენელი" **17.15** ვიდეოარტი **17.20** დრამა "საბინა" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30, 21.50, 01.00, 02.50, 05.30** მუსიკა **20.00** ფანტასტიკა "ტერმინატორი 3" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "ექსკლუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.10** თრილერი "მიტოვებული" **03.40** დრამა "ზღვა"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Мелодрама "Ночь вопросов" 12.10** Док. детектив "Вердикт охранников" **12.40** "Следствие ведет Колобков" **13.20 Комедия "Спортлото-82" 15.10** Шоу "Город женщин" **16.20** "Угадай мелодию" **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** "Большая стирка" **19.30** "Просто смех!" **20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00** "Время" **22.30 Детектив "Участок". 23.40 Боевик "Конец света" 01.50 Комедия "Поиски и ошибки" 03.30 Триллер "Лунатики" 04.50 Комедия "Провинциалы"**

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Худ.фильм "Брат 2" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30, 00.00** "Местное время. Вести - Москва" **12.50** "В Городке" **13.00** Прямая трансляция открытия первого заседания Гос. Думы Российской Федерации **14.00** Ток-шоу "Короткое замыкание" **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30 Комедия "Леди на день", 1 с. 18.10** "Комната смеха" **19.05 Мелодрама "Ундина" 20.00 Сериал "Русские амазонки" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Мелодрама "Четвертое желание", 1 с. 23.45** "Вести. Дежурная часть" **00.20** "Мой серебряный шар. Игорь Ильинский" **01.15 Комедия "Агент в мини-юбке" 02.15** "Синемания" **02.45 Худ.фильм "Сон в летнюю ночь" 04.45** "Дорожный патруль"

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.45** "Растительная жизнь". Л. Ахеджакова и А. Будницкая **10.25** "Без рецепта" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Намедни" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30** "Профессия - репортер". "Через три моря" **13.55 Комедия "Хорошо сидим" 15.35** "По праву" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.25 Сериал "Она написала убийство" 19.30** "Внимание! Розыск!" "Влюбленная зомби" **20.35 Комедия "О'Кей!" 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45 Худ.фильм "Америкэн бой"**

## სამშაბათი 30.12

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **09.30** მულტფილმი "დინოზავრი" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** კურიერი **11.10** მხ. ფილმი "ჰუსარული ბალადა" **13.10** მხ. ფილმი "როგორ მოიპარა გრინჩმა შობა" **15.20** ა. ვივალდი "წელიწადის დროები" (ზაფხული) **15.30** მხ. ფილმი "ძვირფასო ბავშვები გავადიდე" **16.40** მხ. ფილმი "წითელქუდა" **17.00, 18.00, 21.00** კურიერი **18.20** მხ. ფილმი "მხიარული რომანი" **19.30** მხ. ფილმი "აგენტი ჯონი ინგლიში" **22.00** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა **23.00** მხ. ფილმი "ხელოვნური ინტელექტი"

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **10.05** მხ. ფილმი "არხების გადართვისას" **11.45** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერის შოუ **15.15** არჩევნები **17.15** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.30** ჩვენი ფეხბურთი **22.30** დოკ. ფილმი **00.00** კრიმინალური ქრონიკა **00.10** მხ. ფილმი "დოყლაპია"

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "სანამ შენ გეძინა" მთ.რ-ში სანდრა ბალოკი, ბილ პულმანი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ფრანგული ამბორი" მთ.რ-ში მეგ რაიანი, კევინ კლაინი. **01.40** "ღამურა" "სასტიკი თამაშები" მთ.რ-ში რაიან ფილიპე, რიზ უიზერსპუნი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მზის საახალწლო სერენადები **09.30** მულტფილმი "წაღებულნი" 1-ლი ნ. **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "მაგარი ბიჭები" (ბარი პეპერი, უინ დიზელი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ერინ ბროკოვიჩი" (ჯულია რობერტსი)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პოკაჰონტასი" **19.35** კინოსეანსი "გალია ბოცვერებისთვის" **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "გატეხილი ნალი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მარტის კატები" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.00** მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "პინოქიო" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "მულენ რუ:ჟ" **23.10** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** მულტფილმი **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** ტელე-სინე ვიდეო **14.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" 1ს. **17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **18.00** დოკ. ფილმი **20.00, 21.00** დოკ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" 2ს. **00.55** მუსიკა

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 13.35, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "მებრძოლთა კლუბი" **14.00** დოკ. ფილმი "ცირკის ხელოვნება" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-76. **15.10** მხ. ფილმი "ნამცეცა და ანტონი" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "კასპერი საშობაო მოჩვენება" **18.30** მუს. ფილმი "ეს სანახაობაა" მე-2 ნ. **19.00** სერიალი "ზამთრის ალუბალი" მე-2 ს. **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი "ჰენრის მეფე" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "მედოლეთა მწკრივი"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 16.40, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "წვიმიანი კაცი ფეხსაცმელებში" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. ფილმები "ჯერ შეიცადეთ", "რეისებს შორის" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "მთამსვლელი"

### არხი

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** მულტსერიალი "აბა, დამაცადე!" **10.00, 11.35, 13.45, 15.50** მუსიკა **10.10** სათავგადასავლო ფილმი "მაიმუნთა მეფე" 2 ს. **12.20** კომედია "დიდი არდადეგები" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხატვრული ფილმი "სახელოვან ჯენტლმენთა ლიგა" **16.20** მულტფილმი "პიტერ პენი 2" **17.30** მხატვრული ფილმი "კურიერი" **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00, 21.00** მუსიკა **20.20** კომედია " თავდავიწყებული სიყვარული" **21.50** "გალერეა" **23.00** "Пресс-папье" **23.05** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** Праздничный декор **23.50** "რა არ ხდება" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.20** კომედია "ფანფან ტულპანი" **03.35** მელოდრამა "მოსკოვს ცრემლების არ სჯერა"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Детектив "Участок" 11.30, 20.000 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Комедия "На кого Бог пошлет" 14.40** Шоу "Город женщин" **15.40** "Ералаш" **16.20** "Угадай мелодию" **16.50 Сериал "Берег мечты" 17.50** "Большая стирка" **19.30** "Смехопанорама" **20.50** "Поле чудес". Празд. выпуск **22.00** "Время" **22.30 Детектив "Участок" 23.40 Худ.фильм "Участок" и соучастники" 00.10 Комедия "Пока ты спал" 02.00** "Кинодвижение" **02.30 Боевик "Американский ниндзя" 04.10 Худ.фильм "Русалки"**

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Мелодрама "Четвертое желание", 1 с. 11.25** Маленькие комедии "Ха" **11.40** Мультфильмы "Пластилиновая ворона", "Зимняя сказка" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** "Сам себе режиссер" **14.45** "Вести. Дежурная часть" **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30 Комедия "Леди на день", 2 с. 18.10** "В поисках приключений" **19.05 Мелодрама "Ундина" 20.00 Сериал "Русские амазонки" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Мелодрама "Четвертое желание", 2 с. 23.40 Худ.фильм "Неспящий в сиэтле" 01.45 Боевик "Бессмертные" 03.35** "Дорожный патруль" **03.50** "Горячая десятка" **04.45 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

